გ. ამყოლაძე, მ. ფირცხალავა, მ. ლომსაძე-კუჭავა,
გ. კიკნაველიძე, ი. ამყოლაძე, ნ. გიორგიშვილი, თ.
სოზიაშვილი, მ. ჩხენკელი, თ. ხვიჩია, მ. ხაჩიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რეკრეაციული ობიექტები

(სამეცნიერო-მეთოდური და საცნობარო ნაშრომი)

(წიგნი I)

თბილისი 2009

Ф99.451
3

გ. ამყოლაძე, მ. ფირცხალავა, მ. ლომსაძე-კუჭავა,
გ. კიკნაველიძე, ი. ამყოლაძე, ნ. გიორგიშვილი, თ.
სოზიაშვილი, მ. ჩხენკელი, თ. ხვიჩია, მ. ხაჩიძე

საქართველოს რეკრეაციული ობიექტები

(სამეცნიერო-მეთოდური და საცნობარო ნაშრომი)

(წიგნი I)

თბილისი 2009

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაშრომი შედგენილია ავტორთა ჯგუფის მიერ შემდეგი შემადგენლობით: გ. ამყოლაძე, მ. ფირცხალავა, მ. ლომსაძე-კუჭავა, გ. კიკნაველიძე, ი. ამყოლაძე, ნ. გიორგიშვილი, თ. სოზიაშვი-ლი, მ. ჩხენკელი, თ. ხვიჩია, მ. ხაჩიძე.

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

„აღნიშნული ნაშრომი განხორციელდა სსიპ- ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდში (რუსთაველის ფონდი) მოპოვებული გრანტის მეშვეობით (გრანტი №252-08-2-166) წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი აზრი ეკუთვნის ავტორთა ჯგუფს და შესაძლოა არ არასახედეს სსიპ-ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდის (რუსთაველის ფონდი) შეხედულებებს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

შესავალი ---------- 5

საქართველოს კანონი - დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ ---------- 6

საქართველოს კანონი - ტურიზმისა და კურორტების შესახებ ---------- 17

საქართველოს კანონი - იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ -------- 29

საქართველოს კანონი - თბილისის ეროვნული პარკის შესახებ ---------- 37

საქართველოს კანონი - მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ ---------- 46

სოფლების, თემების და დაბების ჩამონათვალი, რომლებზედაც ვრცელდება "მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მოქმედება ---------- 51

საქართველოს კანონი - საქართველოს ტყის კოდექსი --- 81

საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ --------- 168

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესავალი

რეკრეაციული ობიეტქების მრავალფეროვნება მოითხოვს თითოეული მიმართულების გამოყენების სამართლებრივ უზრუნველყოფას.

ინვესტორთა ინტერესისას და მოთხოვნილების საფუძველზე დადგენილი უნდა იქნას მათი მოთხოვნების სამართლიანობა და კანონიერება საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო ბაზის შესაბამისად ანუ ინვესტორის მოთხოვნის იურიდიული უზრუნველყოფა შესაბამისობაში უნდა იყოს ქვეყნის ინტერესებსა და კანონებთან. ამისათვის სამეცნიერო გარანტის შესრულების წინაშე დადგა მნიშვნელოვანი პრობლემა, შესაბამისობაში მოგვეყვანა ჩვენს მიერ დამუშავებული სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო პროექტის ,,ჯანდაცვის, გამაჯანსაღებელ-პროფილაქტიკური და რეკრეაციული ობიექტების მენეჯმენტის, მარკეტინგული მიმზიდველობისა და ეკონომიკური მექანიზმის დამუშავება'' ძირითადი ეკონომიკური, მენეჯმენტის თუ მარკეტინგული მიმზიდველობის მაჩვენებლები და პარამეტრების მოქმედი კანონმდებლობის ნორმების შესაბამისად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კანონი
დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონის რეგულირების სფერო

ეს კანონი არეგულირებს „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე საქართველოს სსრ-ისა და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მიერ შექმნილი დაცული ტერიტორიების სტატუსთან, ფართობთან და საზღვრებთან, მართვისა და ფუნქციონირების თავისებურებებთან დაკავშირებულ სამართლებრივ საკითხებს.

მუხლი 2. კანონში გამოყენებული ტერმინები

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვს ისეთივე მნიშვნელობა, როგორიც „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ტერმინებს.

თავი II
„დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე შექმნილი დაცული ტერიტორიების სტატუსი, ფართობი და საზღვრები დაცული ტერიტორიების კატეგორიების მიხედვით

მუხლი 3. ალგეთის ეროვნული პარკის სტატუსი, ფართობი და საზღვრები

1. შეიქმნას ალგეთის ეროვნული პარკი 6822 ჰა ტერიტორიაზე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული დაცული ტერიტორიის ფართობი და საზღვრები დადგენილია „ალგეთის სახელმწიფო ნაკრძალის ტყის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეურნეობის ორგანიზაციისა და განვითარების“ 1998–2008 წლების პროექტით.

მუხლი 4. აჯამეთის აღკვეთილის სტატუსი, ფართობი და საზღვრები

1. შეიქმნას აჯამეთის აღკვეთილი 5117 ჰა ტერიტორიაზე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული დაცული ტერიტორიის ფართობი და საზღვრები დადგენილია „აჯამეთის სახელმწიფო ნაკრძალის ტყის მეურნეობის ორგანიზაციისა და განვითარების პროექტის განხილვის შესახებ“ 1997–2007 წლების პროექტით და საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 12 სექტემბრის N404 ბრძანებულებით დამტკიცებული „ყოფილი საკოლმეურნეო ტყეებისა და საბჭოთა მეურნეობების გამგებლობაში არსებული ტყის ფონდის მიწების სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოებისათვის გადაცემის წესის და ვადების შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე მიღებული ბაღდათის რაიონის გამგეობის 2005 წლის 23 აგვისტოს N95 დადგენილებით.

მუხლი 5. კინტრიშის დაცული ტერიტორიების სტატუსი, ფართობი და საზღვრები

1. შეიქმნას კინტრიშის დაცული ტერიტორიები 13893 ჰა ტერიტორიაზე.

2. კინტრიშის დაცული ტერიტორიები მოიცავს:

ა) კინტრიშის სახელმწიფო ნაკრძალს;

ბ) კინტრიშის დაცულ ლანდშაფტს.

3. კინტრიშის სახელმწიფო ნაკრძალი მოიცავს „კინტრიშის სახელმწიფო ნაკრძალის ტყის მეურნეობის ორგანიზაციისა და განვითარების“ 1994–2004 წლების

პროექტით განსაზღვრულ ტერიტორიას, გარდა ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ფართობისა, და შეადგენს სულ 10703 ჰა-ს.

4. კინტრიშის დაცული ლანდშაფტი, რომლის საერთო ფართობია 3190 ჰა, მოიცავს:

ა) მდინარე კინტრიშის კალაპოტის კიდიდან ორივე მხარეს 500 მეტრს (სულ 2490 ჰა-ს);

ბ) მდინარე ხეკნარის კალაპოტის კიდიდან ორივე მხარეს 100 მეტრს (სულ 130 ჰა-ს);

გ) მდინარე ჭერულის ღელის კალაპოტის კიდიდან ორივე მხარეს 300 მეტრს (სულ 570 ჰა-ს).

5. ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით განსაზღვრული დაცული ტერიტორიების კვარტალები და ლიტერები დადგენილია „კინტრიშის სახელმწიფო ნაკრძალის ტყის მეურნეობის ორგანიზაციისა და განვითარების“ 1994–2004 წლების პროექტით.

მუხლი 6. ყაზბეგის ეროვნული პარკის სტატუსი, ფართობი და საზღვრები

1. შეიქმნას ყაზბეგის ეროვნული პარკი 8707 ჰა ტერიტორიაზე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული დაცული ტერიტორიის ფართობი და საზღვრები დადგენილია „ყაზბეგის სახელმწიფო ნაკრძალის ტყის მეურნეობის ორგანიზაციისა და განვითარების“ 1997–2007 წლების პროექტით.

მუხლი 7. ლიახვის სახელმწიფო ნაკრძალის სტატუსი, ფართობი და საზღვრები

1. შეიქმნას ლიახვის სახელმწიფო ნაკრძალი 6388 ჰა ტერიტორიაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული დაცული ტერიტორიის ფართობი და საზღვრები დადგენილია „ლიახვის სახელმწიფო ნაკრძალის ტყის მეურნეობის ორგანიზაციისა და განვითარების“ 1998–2008 წლების პროექტით.

მუხლი 8. ფსხუ-გუმისთის სახელმწიფო ნაკრძალის სტატუსი, ფართობი და საზღვრები

1. შეიქმნას ფსხუ -გუმისთის სახელმწიფო ნაკრძალი 40819 ჰა ტერიტორიაზე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული დაცული ტერიტორიის ფართობი და საზღვრები დადგენილია „ფსხუ-გუმისთის სახელმწიფო ნაკრძალის ტყის მეურნეობის ორგანიზაციისა და განვითარების“ 1985–1995 წლების პროექტით.

მუხლი 9. ბიჭვინთა-მიუსერის სახელმწიფო ნაკრძალის სტატუსი, ფართობი და საზღვრები

1. შეიქმნას ბიჭვინთა-მიუსერის სახელმწიფო ნაკრძალი 3645 ჰა ტერიტორიაზე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული დაცული ტერიტორიის ფართობი და საზღვრები დადგენილია „ბიჭვინთა-მიუსერას სახელმწიფო ნაკრძალის ტყის მეურნეობის ორგანიზაციისა და განვითარების“ 1984–1994 წლების პროექტით.

მუხლი 10. რიწის სახელმწიფო ნაკრძალის სტატუსი, ფართობი და საზღვრები

1. შეიქმნას რიწის სახელმწიფო ნაკრძალი 16289 ჰა ტერიტორიაზე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული დაცული ტერიტორიის ფართობი და საზღვრები

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილია „რიწის სახელმწიფო ნაკრძალის ტყის მეურნეობის ორგანიზაციისა და განვითარების“ 1984–1994 წლების პროექტით.

მუხლი 11. მარიამჯვრის სახელმწიფო ნაკრძალის სტატუსი, ფართობი და საზღვრები

1. შეიქმნას მარიამჯვრის სახელმწიფო ნაკრძალი 1040 ჰა ტერიტორიაზე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული დაცული ტერიტორიის ფართობი და საზღვრები დადგენილია „მარიამჯვრის სახელმწიფო ნაკრძალის ტყის მეურნეობის ორგანიზაციისა და განვითარების“ 1992–2002 წლების პროექტით.

მუხლი 12. ყორუღის აღკვეთილის სტატუსი, ფართობი და საზღვრები

1. შეიქმნას ყორუღის აღკვეთილი 2068 ჰა ტერიტორიაზე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული დაცული ტერიტორიის ფართობი და საზღვრები დადგენილია „ყორუღის სახელმწიფო სატყეო-სამონადირეო მეურნეობის ორგანიზაციისა და განვითარების“ 1987–1997 წლების პროექტით.

მუხლი 13. ჭაჭუნის აღკვეთილის სტატუსი, ფართობი და საზღვრები

1. შეიქმნას ჭაჭუნის აღკვეთილი 5200 ჰა ტერიტორიაზე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული დაცული ტერიტორიის ფართობი და საზღვრები დადგენილია „ჭაჭუნის სახელმწიფო სატყეო-სამონადირეო მეურნეობის ორგანიზაციისა და განვითარების“ 1987–1997 წლების პროექტით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 14. ივრის აღკვეთილის სტატუსი, ფართობი და საზღვრები

1. შეიქმნას ივრის აღკვეთილი 1336 ჰა ტერიტორიაზე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული დაცული ტერიტორიის ფართობი და საზღვრები დადგენილია „ივრის სახელმწიფო სატყეო-სამონადირეო მეურნეობის ორგანიზაციისა და განვითარების“ 1987–1997 წლების პროექტით.

მუხლი 15. კაცობურის აღკვეთილის სტატუსი, ფართობი და საზღვრები

1. შეიქმნას კაცობურის აღკვეთილი 295 ჰა ტერიტორიაზე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული დაცული ტერიტორიის ფართობი და საზღვრები დადგენილია „კაცობურის სახელმწიფო სატყეო-სამონადირეო მეურნეობის ორგანიზაციისა და განვითარების“ 1990–2000 წლების პროექტით.

მუხლი 16. ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილის სტატუსი, ფართობი და საზღვრები

1. შეიქმნას ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილი 22000 ჰა ტერიტორიაზე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული დაცული ტერიტორიის ფართობი და საზღვრები დადგენილია „დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბების ხელშემწყობი ღონისძიებებისა და ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის შექმნის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 28 ივლისის N447 დადგენილების მე-6 პუნქტის საფუძველზე დამტკიცებული ბორჯომ-ხარაგაულის

ეროვნული პარკის მენეჯმენტის გეგმით განსაზღვრული საზღვრების ფარგლებში მოქცეულ ტერიტორიაზე.

მუხლი 17. თეთრობის აღკვეთილის სტატუსი, ფართობი და საზღვრები

1. შეიქმნას თეთრობის აღკვეთილი 3100 ჰა ტერიტორიაზე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული დაცული ტერიტორიის ფართობი და საზღვრები დადგენილია „დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბების ხელშემწყობი ღონისძიებებისა და ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის შექმნის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 28 ივლისის N447 დადგენილების მე-6 პუნქტის საფუძველზე დამტკიცებული ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის მენეჯმენტის გეგმით განსაზღვრული საზღვრების ფარგლებში მოქცეულ ტერიტორიაზე.

მუხლი 18. გარდაბნის აღკვეთილის სტატუსი, ფართობი და საზღვრები

1. შეიქმნას გარდაბნის აღკვეთილი 3484 ჰა ტერიტორიაზე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული დაცული ტერიტორიის ფართობი და საზღვრები დადგენილია „გარდაბნის სახელმწიფო სატყეო-სამონადირეო მეურნეობის ტყის ორგანიზაციისა და განვითარების“ 1995–2005 წლების პროექტით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი III
დაცული ტერიტორიების მართვა

მუხლი 19. დაცული ტერიტორიების სახელმწიფო მართვა

1. დაცული ტერიტორიების სახელმწიფო მართვა ხორციელდება „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

2. სხვა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები დაცული ტერიტორიების მართვაში მონაწილეობენ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან კოორდინირებულად მოქმედების საფუძველზე.

მუხლი 20. დაცული ტერიტორიების ზონირება

ამ კანონით დადგენილი დაცული ტერიტორიების (გარდა სახელმწიფო ნაკრძალისა) ზონირება ხორციელდება მენეჯმენტის გეგმებით, რომლებსაც ამტკიცებს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი.

თავი IV
დასკვნითი დებულებანი

მუხლი 21. ნორმატიული აქტები და ნორმატიული აქტის ნაწილი, რომლებიც ძალას კარგავს

კანონის ამოქმედებისთანავე ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი:

ა) საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წლის 4 ნოემბრის N92/1514 დადგენილება „ნაკრძალების, ბუნების

ნაკრძალი გეგმების და დაცვითი ნაკვეთების ქსელის დამტკიცების შესახებ“ (საქართველოს სსრ მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული, 1935 წ., N31, მუხ. 200);

ბ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 10 აპრილის N196 დადგენილება „საქართველოს სსრ ზოგიერთი ნაკრძალის აღდგენის შესახებ“ (საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი, 1957 წ., N4);

გ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 22 იანვრის N45 დადგენილება „საქართველოს სს რესპუბლიკაში ზოგიერთი ნაკრძალის მოწყობის, აღდგენისა და გაფართოების შესახებ“ (საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი, 1959 წ., N1);

დ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 29 აგვისტოს N603 დადგენილება „საქართველოს სსრ ზოგიერთი ნაკრძალის აღდგენის, გაფართოებისა და შექმნის შესახებ“ (საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი, 1960 წ., N3);

ე) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 13 აპრილის N205 დადგენილება „თეთრიწყაროს სატყეო მეურნეობის ნაძვნარი ტყის კორომების სახელმწიფო ნაკრძალად გამოცხადების შესახებ“ (საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი, 1965 წ., N4);

ვ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 6 თებერვლის N98 დადგენილება „ყაზბეგის სახელმწიფო ნაკრძალის შექმნის შესახებ“ (საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი, 1976 წ., N2);

ზ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 19 აგვისტოს N594 დადგენილება „გუმისთის სახელმწიფო ნაკრძალის აღდგენის შესახებ“ (საქართველოს მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი, 1976 წ., N8);

თ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 10 იანვრის N24 დადგენილება „ლიახვის სახელმწიფო ნაკრძალის შექმნის შესახებ“ (საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი, 1977 წ., N1);

ი) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 4 ოქტომბრის N688 დადგენილება „ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალის ნაძვნარების მასობრივი ხმობით შექმნილი ხანძარსაშიში მდგომარეობის თავიდან აცილების ღონისძიებათა შესახებ“ (საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი, 1977 წ., N10);

კ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 23 ივნისის N416 დადგენილება „ფსხუს სახელმწიფო ნაკრძალის შექმნის შესახებ“ (საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი, 1978 წ., N6);

ლ) საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 22 მაისის N372 დადგენილება „საგურამოს ეროვნული პარკისათვის სახელის გადარქმევის შესახებ“ (საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი, 1979 წ., N5);

მ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 16 დეკემბრის N869 დადგენილება „ახმეტის სახელმწიფო ნაკრძალის შექმნის შესახებ“ (საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი, 1980 წ., N12);

ნ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1992 წლის 12 მაისის N12 დადგენილება „იშვიათი და გადაშენების პირას მყოფ ცხოველთა სახეობების აღდგენის რესპუბლიკური სამეურნეო საწარმოო ცენტრის „ნოეს კიდობანის“ (თრიალეთის რეგიონული პარკი) შექმნის შესახებ“ (საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ნორმატიული აქტების კრებული, 1975 წ., თავი I, მუხ. 32);

ო) საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 14 სექტემბრის N923 დადგენილება „რესპუბლიკური

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამეცნიერო-საწარმოო ცენტრის – „თრიალეთის ქედის რეგიონული პარკის ტერიტორიული საზღვრების დამტკიცების შესახებ“ (საქართველოს მთავრობის დადგენილებანი, 1992 წ., N9);

პ) „დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბების სახელმწიფო ღონისძიებებისა და ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის შექმნის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 28 ივლისის N447 დადგენილების (საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებანი, 1995 წლის ივლისი, N7) მე-4 პუნქტი.

K285.149
3

მუხლი 22. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტის
მოვალეობის შემსრულებელი *ნინო ბურჯანაძე*
თბილისი,
2007 წლის 22 ნოემბერი.
N 5486 – IIს

საქართველოს კანონი ტურიზმისა და კურორტების შესახებ

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. კანონმდებლობა ტურიზმისა და კურორტების შესახებ

1. საქართველოს კანონმდებლობა ტურიზმისა და კურორტების შესახებ არეგულირებს ტურიზმისა და საკურორტო საქმიანობის სფეროში არსებულ ურთიერთობებს.

2. საქართველოს კანონმდებლობა ტურიზმისა და კურორტების შესახებ შედგება საქართველოს კონსტიტუციის, ამ კანონის და მათ შესაბამისად მიღებული სხვა ნორმატიული აქტებისაგან.

მუხლი 2. ძირითადი ცნებების განმარტებანი

1. ტურიზმი _ ადამიანის თავისუფალი, ნებაყოფლობითი, დროებითი გადაადგილება თავისი საცხოვრებელი ადგილიდან დასვენების, გაჯანსაღების, ისტორიისა და კულტურის ძეგლების დათვალიერების და ან სხვა მიზნით.

2. ტურისტი _ პირი, რომელიც იმყოფება მუდმივი საცხოვრებელი გარემოს ფარგლებს გარეთ დასვენების, გაჯანსაღების, ისტორიისა და კულტურის ძეგლების დათვალიერებისა და/ან სხვა მიზნით ერთი დღე-ღამით მაინც.

3. სამკურნალო ტურიზმი _ კურორტების გამოყენება. მკურნალობის, სამედიცინო გამოკვლევისა და სხვა სამედიცინო მომსახურების მისაღებად.

4. ტურისტული რესურსები _ ბუნებრივი, ისტორიულ-კულტურული, შემეცნებითი და სოციალური საყოფაცხოვრებო რესურსებისა და საქართველოს ტეროიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურის ერთობლიობა, რომელიც აკმაყოფილებს ტურისტის მოთხოვნილებებს.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

5. ბუნებრივი სამკურნალო (საკურორტო) რესურსები _ მინერალური წყლები, სამკურნალო ტალახები, სამკურნალოდ ვარგისი კარსტული მღვიმეები, ზღვა, ტყე, სამკურნალო კლიმატი და სხვა ბუნებრივი რესურსები, რომლებიც გამოიყენება მკურნალობის, პროფილაქტიკისა და რეაბილიტაციის მიზნით.

6. საკურორტო ადგილი _ ტერიტორია, რომელიც შეიცავს ბუნებრივ სამკურნალო რესურსებს, ვარგისია მიზმობრივი ეხსპლუატაციისათვის და არ აქვს შესაბამისი შენობა-ნაგებობა.

7. კურორტი _ საკურორტო ადგილი, რომელზეც განლაგებულია სამკურნალო და გამაჯანსაღებელი დაწესებულება, ნაგებობა და ინფრასტრუქტურის სხვა ობიექტი.

8. სანიტარული დაცვის ზონა _ საქართველოს კანონმდებლობით განსაკუთრებით დაცული ტერიტორია, რომელიც საჭიროებს დაცვას ბუნებრივი სამკურნალო რესურსების ნაადრევი გამოლევის, გაფუჭების და დაბინძურებისაგან.

9. ტურისტული და საკურორტო საქმიანობის სუბიექტი (დარგის სუბიექტი) _ ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ეწევა ტურისტულ და საკურორტო საქმიანობას.

10. ტურისტული საქმიანობა _ ტურისტული საქმიანობის სუბიექტის მიერ ტურისტთა განთავსების, კვების, ტურ-ოპერატორული, ტრანსპორტირების, საექსკურსიო, გასაჯანსაღებელი, რეაბილიტაციის, სარეკლამო-საინფორმაციო, კულტურული, სპორტული, საყოფაცხოვრებო, გასართობი და ა.შ. მიზნით გაწეული მომსახურება, რომელიც მიმართულია ტურისტის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

11. საკურორტო საქმიანობა _ ბუნებრივი სამკურნალო რესურსების, მათით სარგებლიანობისათვის აუცილებელი ნაგებობებისა და მოწყობილობების (ჭაბურღილი, ბიუვეტი, გალერეა, სააბაზანო, ტალახით სამკურნალო, პლაჟები, კლიმატური პავილიონი, აეროსოლარიუმი და სხვა) და ინფრასტრუქტურის ობიექტების (სანატორიუმი, სასტუმრო, დასასვენებელი სახლი, პანსიონატი, სპორტული და კულტურის ობიექტები და სხვა) გამოყენების ორგანიზება პროფილაქტიკის, მკურნალობის, რეაბილიტაციისა და გაჯანსაღების მიზნით.

12. ტურისტული და საკურორტო ინდუსტრია _ ტურისტული და საკურორტო საქმიანობის სუბიექტებისა და ობიექტების ერთობლიობა.

13. ტურისტული პროდუქტი _ ტურისტული მომსახურების კომპლექსი, რომელიც აუცილებელია ტურისტის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად მისი მოგზაურობისა და დასვენების დროს.

14. ტურისტული საგზური (ვაუჩერი) _ დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ტურისტის სტატუსს, მისთვის გასაწევი მომსახურების კატეგორიას და ამ კატეგორიით მომსახურების გარანტიას.

15. ტური _ კონკრეტული ვადით, განსაზღრული მიზნითა და მარშუტით მოგზაურობა, რომელიც უზრუნველყოფილია ტურისტული პროდუქტით.

16. არაორგანიზებული ტურისტი _ ტურისტი, რომელიც მოგზაურობს ინდივიდუალურად ხელშეკრულების, საგზურის, სამარშუტო წიგნაკის გარეშე.

17. ტურისტული და საკურორტო საქმიანობის ლიცენზია _ სპეციალური ნებართვა, რომელიც ასაბუთებს მისი მფლობელის უფლებას ეწეოდეს აღნიშნულ საქმიანობას.

18. შესაბამისობის სერთიფიკატი _ დოკუმენტი, რომელიც ასაბუთებს ტურისტული და საკურორტო მომსახურების ხარისხს და მის შესაბამისობას კონკრეტულ სტანდარტთან ან სხვა ნორმატიულ დოკუმენტთან.

მუხლი 3. საქართველოს საკურორტო რესურსები

1. კურორტების დაყოფას საკურორტო რესურსების ხასიათის მიხედვით და საკურორტო დაწესებულებების სპეციალიზაციას განსაზღვრავს ტურიზმისა და კურორტების დარგის მართვი ს აღმასრულებ ელი ხე ლისუფლების უფლებამოსილი ორგანო (შემდგომ დარგის მართვის უფლებამოსილი ორგანო) საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით.

2. კურორტებზე მკურნალობის მეთოდიკას ამტკიცებს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო.

3. საქართველოს საკურორტო ადგილებისა და საკურორტო ობიექტების გასხვისება შეიძლება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც კურორტზე გაშენებული აქვს ტურისტული, სამკურნალო-პროფილაქტიკური და სხვაგვარი დაწესებულება, ან ეწევა მის ექსპლუატაციას, არის საკურორტო ადგილით მოსარგებლე და იხდის კანონმდებლობით დაწესებულ გადასახადს.

5. ბუნებრივი სამკურნალო რესურსებით მოსარგებლე შეიძლება იყოსფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც დაამუშავებს და გამოიყენებს ბუნებრივ სამკურნალო რესურსებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. საქართველოს ტ ერიტორიაზე ახალი ტ ურისტული და საკურორტო ობიექტის შექმნა შეიძლება მხოლოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარგის მართვის უფლებამოსილ ორგანოსთან და მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმებით.

7. საქართველოს საკურორტო რესურსების დაცვისა და რაციონალური გამოყენების მიზნით თითოეული კურორტისა და საკურორტო ადგილისათვის იქმნება სანიტარიული დაცვის ზონები.

8. დაცულ ტერიტორიებზე ტურისტული და საკურორტო საქმიანობა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი II. სახელმწიფო პოლიტიკა და სახელმწიფო რეგულირება ტურიზმისა და კურორტების დარგში

მუხლი 4. ტურიზმისა და კურორტების დარგის სახელმწიფო რეგულირების პრინციპი

1. საქართველოს ტურისტული და საკურორტო რესურსები ეროვნული სიმდიდრეა და მას სახელმწიფო იცავს.

2. სახელმწიფო აღიარებს ტურიზმისა და კურორტების დარგს ეროვნული კულტურისა და ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტულ და ქმნის ტურისტული და საკურორტო საქმიანობისათვის ხელსაყრელ პირობებს.

3. საქართველოს პარლამენტი:

ა) განსაზღვრავს სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს ტურიზმისა და კურორტების დარგში და ახორციელებს მის საკანონმდებლო რეგულირებას;

ბ) ამყარებს საპარლამენტაშორისო ურთიერთობას სხვა სახელმწიფოებთან ტურიზმისა და კურორტების დარგში.

4. საქართველოს პრეზიდენტი:

ა) უზრუნველყოფს ერთიანი პოლიტიკის განხორციელებას ტურიზმისა და კურორტების დარგში;

ბ) დარგის მართვის უფლებამოსილი ორგანოსა და შესაბამისი სამსახურების წარდგინებით ამტკიცებს სანიტარული დაცვის ზონებს;

გ) ითვალისწინებს ტურიზმისა და კურორტების განვითარების ინტერესებს ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანესი პროექტების განხორციელებისას, აგრეთვე სახელმწიფოთაშორისი და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობაში;

დ) დარგის მართვის უფლებამოსილი ორგანოს წარდგინებით ამტკიცებს კურორტების ნუსხას და სტატუსს.

მუხლი 5. ტურიზმისა და კურორტების დარგის მართვის აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილი

1.საქართველოს ტურიზმისა და კურორტების დარგში მმართველობით ფუნქციას ასრულებს ტურიზმისა და კურორტების დარგის აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილი ორგანო, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს დარგში ერთიან სახელმწიფო პოლიტიკას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს შესაბამის ნორმატიულ აქტებსდა კონტროლს უწევს კანონის შესრულებას.

2. დარგის მართვის უფლებამოსილი ორგანოს ნორმატიული აქტები სავალდებულოა ტურისტულ და საკურორტო საქმიანობასთან დაკავშირებული უწყებების, ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის.

3. დარგის მართვის უფლებამოსილი ორგანო:

ა) შეიმუშავებს და საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებაში წარადგენს ტურიზმისა და კურორტების განვითარების სახელმწიფო კონცეფციის ძირითად მიმართულებებს, მისი განხორციელების პროგრამებს და უზრუნველყოფს მათ რეალიზაციას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან და დაინტერესებულ უწყებებთან შეთანხმებით ამტკიცებს თითოეული კურორტის დებულებას;

გ) საერთაშორისო ტურიზმის განვითარების მიზნით შეიმუშავებსწინადადებებს საპასპორტო და სავიზო მომსახურების გასამარტივებლად;

დ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ამყარებს ურთიერთობას საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციებთან; საჭიროების შემთხვევაში საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად ხსნის წარმომადგენლობებს უცხოეთში;

ე) ხელს უწყობს ინვესტიციების მოზიდვას ტურიზმისა და კურორტების ინფრასტრუქტურის შექმნისა და განვითარების მიზნით;

ვ) შეიმუშავებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების გამოყენების პროგრამებს;

ზ) მონაწილეობს ტურისტული რესურსების მქონე რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური და არქიტექტურული დაგეგმარების პროექტის დამტკიცებაში;

თ) ხელს უწყობს სანიტარული დაცვი ზონების დებულებით დადგენილი ზონების რეჟიმის დაცვას;

ი) ქვეყნის ისტორიულ-კულტურული, ბუნების ძეგლებისა და საკურორტო ტერიტორიების დაცვისა და შენარჩუნების მიზნით დაინტერესებულ უწყებებთან ერთად შეიმუშავებს ტურისტებით დატვირთვის რეჟიმს და თავისი კომპეტენციის ფარგლებში აწესებს ამ რეჟიმის დაცვის კონტროლს;

კ) ხელს უწყობს არსებული სამეცნიერო-პრაქტიკული პოტენციალის გამოყენებასა და განვითარებას;

ლ) უზრუნველყოფს ტურიზმისა და კურორტების დარგში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების განხორციელებას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისი სპეციალისტების პროფესიულ ზრდასა და სრულყოფას;

მ) ხელს უწყობს დარგში მომუშავე პირების სოციალურ დაცვას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

მუხლი 6. ტურისტული და საკურორტო საწარმო

ტურისტული და საკურორტო საწარმო შეიძლება შეიქმნას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით.

მუხლი 7. დარგში მომსახურე სტანდარტიზაცია, სერთიფიკაცია და ლიცენზირება

ტურისტული და საკურორტო საქმიანობის სტანდარ-ტიზაცია, სერტიფიკაცია და ლიცენზირება რე გულირდება საქართველოს

მუხლი 8. ტურისტული და საკურორტო საქმიანობის სუბიექტების სახელმწიფო რეესტრი

1. ტურისტული და საკურორტო საქმიანობის ლიცენზირებული სუბიექტების აღრიცხვის მიზნით იქმნება სახელმწიფო რეესტრი.

2. სახელმშიფო რეესტრს აწარმოებს დარგის მართვის უფლებამოსილი ორგანო.

3. მმართველობის ადგილობრივი ორგანოები დაინტე-რესებულ უწყებებთან ერთად დარგის მართვის უფლება-მოსილ ორგანოში წარმოადგენენ აუცილებელ მონაცემებს სუბიექტის სახელმწიფო რეესტრში შესატანად.

თავი III. დარგის ეკონომიკური საქმიანობა და დაფინანსება

მუხლი 9. ეკონომიკური საქმიანობა

1. დარგის ეკონომიკური საქმიანობა წარიმართება ტურისტული და საკურორტო ინდუსტრიის გამოყენების ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად, სახელმწიფო ბიუჯეტში

შემოსავლის ზრდის, ტურისტული საქმიანობის სუბიექტთა სახსრების ნებაყოფლობითი მოზიდვის, მოსახლეობის დასაქმების, ტურისტების მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

2. უცხოელი ტურისტების მიღება-მომსახურება საქართველოს ტერიტორიაზე განიხილება, როგორც საქონლის ექსპორტი.

3. დარგის საქმიანობის შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტში შესული შემოსავლის საერთო მოცულობის გარკვეული ნაწილი მიზნობრივად ხმარდება ტურისტული და საკურორტო რესურსების, ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას, დარგის განვითარების მეცნიერულ უზრუნველყოფას.

4. ტურისტული და საკურორტო მომსახურება იბეგრება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 10. დარგის დაფინანსების წყაროები

1. ტურისტული და საკურორტო საქმიანობა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დაფინანსების წყაროების ხარჯზე.

2. ტურისტული და საკურორტო ინდუსტრიის, მისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეკონსტრუქციის, რეაბილიტაციის ან აღჭურვის ხარჯები შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

3. საქართველოში ტურიზმისა და კურორტების განვითარების სახელმწიფო კონცეფციის შემუშავების, ქვეყნის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის, ტურისტული და საკურორტო პოტენციალის რეკლამის, პროპაგანდისა და მეცნიერული უზრუნველყოფის მიზნით, ტურისტული და საკურორტო ობიექტების საინვესტიციო პროექტების დამუშავების, საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრია-

ნებისა და მათთან თანამშრომლობის თანხები შეიძლება გამოიყოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

თავი IV. მომსახურების ორგანიზება მუხლი 11. ტურისტული მომსახურება

1. ტურისტული მოგზაურობა და ტურისტული მომსახურება ხორციელდება ინდივიდუალურად ან ჯგუფურად.

2. ტურისტული და საკურორტო მომსახურება ხორციელდება ხელშეკრულების, საგზურის, სამარშუტო წიგნაკის საფუძველზე, რომელიც განსაზღვრავს ტურისტისათვის გასაწევი მომსახურების სახეობასა და მოცულობას. არაორგანიზებულ ტურისტს შეიძლება აღ გაეწიოს ეს მომსახურება.

მუხლი 12. ტურისტის დაზღვევა

1. ტურისტის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზღვევა ან დაზღვეული ქონებისათვის მიყენებული ზარალი კომპენსირდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. ტურისტს აზღვევს ტურისტული საქმიანობის სუბიექტი სადაზღვეო კომპანიასთან დადებული კონტაქტითა და კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 13. უსაფრთხოების გარანტია

1. დარგის მართვის უფლებამოსილი ორგანო შესაბამის სამინისტროებთან, სხვა უწყებებთან, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და სხვა ტერიტორიული ერთეულების ხელისუფლების აღმასრულებელ ორგანოებთან ერთად შეიმუშავებს ტურისტების დაცვისა და უსაფრთხოების პროგრამას და კოორდინაციას უწევს მის შესრულებას.

2. ტურისტული და საკურორტო საქმიანობის სუბიექტი შეიმუშავებს კონკრეტულ ღონისძიებებს ტურისტების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ტრავმა ტიზმისა და უბედური შ ემთხვევის თავიდან ასაცილ ებლად და პასუხს აგებს ამ ღონისძიებათა შესრულებაზე.

თავი V. ტურიზმის საკადრო უზრუნველყოფა

მუხლი 14. კადრების მომზადება, გადამზადება და კვალიფიკაციის

დარგის მართვის უფლებამოსილი ორგანო სხვა უწყებებთან ერთად ხელს უწყობს სასწავლო პროგრამებისა და დაწესებულებების შექმნას, ტურისტული ინდუსტრიის კადრების მომზადების, გადამზადებისა და კლასიფიკაციის ამაღლების მიზნით.

თავი VI. საერთაშორისო თანამშრომლობა

მუხლი 15. საერთაშორისო ტურისტულ და საკურორტო ორგანიზაციებში მონაწილეობა

1. სახელმწიფო ხელს უწყობს საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას ტურიზმისა და კურორტების დარგში.

2. საქართველო ტურიზმისა და კურორტების საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობაში მონაწილეობს სრულუფლებიანი, ასოცირებული წევრის, დამკვირვებლის ან სხვა უფლებით.

3. ტურიზმისა და კურორტების დარგში საერთაშორისო თანამშრომლობის სამართლებლივ საფუძველს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები წარმოადგენენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი VII. პასუხისმგებლობა კანონის მოთხოვნათა დარღვევისათვის

მუხლი 16. პასუხისმგებლობა ტურიზმისა და კურორტების შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის

ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევა იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი VIII. გარდამავალი დებულებები

მუხლი 17. მე-7 და მე-8 მუხლების ამოქმედება

ამ კანონის მე-7 და მე-8 მუხლები ამოქმედდეს ლიცენზირების შესახებ საქართველოს კანონის ძალაში შესვლასთან ერთად.

თავი IX. დასკვნითი დებულებები

მუხლი 18. კანონის ამოქმედება

1. ეს კანონი ამოქმედდეს საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ საქართველოს კანონის ძალაში შესვლასთან ერთად.

2. ამ კანონით გათვალისწინებული ,,დარგის მართვის აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილი ურგანო" განისაზღვროს საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

3. ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალდაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს რესპუბლიკის 1995 წლის 1 ივნისის კანონი ,,ტურიზმის შესახებ".

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კანონი

იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონის რეგულირების სფერო

1. ეს კანონი არეგულირებს სამართლებრივ ურთიერთობებს იმერ ეთის მღვიმეების დაც ული ტე რიტორიების სისტემის შექმნისა და მართვის სფეროში.

2. იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიებისათვის მიკუთვნებული მიწის, ტყის, წყლისა და სხვა ბუნებრივი რესურსების, აგრეთვე ბუნების ძეგლების დაცვასა და გამოყენებასთან დაკავშირებული ურთიერთობები რეგულირდება ამ კანონითა და საქართველოს კანონმდებლობით.

3. იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების დაცვასა და გამოყენებასთან დაკავშირებული ქონებრივი ურთიერთობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 2. კანონის მიზნები და ამოცანები

1. ამ კანონის მიზნებია:

ა) იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების შექმნის უზრუნველყოფა;

ბ) იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების მართვის მექანიზმის დარეგულირება.

2. ამ კანონის ამოცანებია:

ა) თვითმყოფადი ბუნებრივი კულტურული გარემოსა და მისი ცალკეული კომპონენტების, უნიკალური და იშვიათი ორგანული თუ არაორგანული ბუნებრივი წარმო-

ნაქმნების, არქეოლოგიური კომპლექსების, ბუნების იშვიათი ძეგლების დაცვის, აღდგენისა და შენარჩუნების ხელშეწყობა;

ბ) იმერეთის მღვიმეების დაცულ ტერიტორიებზე ბუნებრივ და ისტორიულ-კულტურულ გარემოში რეკრეაციისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა;

გ) იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ფარგლებში მიწის, წყლის, ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს (მათ შორის, ტყეების) და სხვა ბუნებრივი რესურსების მოვლის, დაცვისა და აღდგენის უზრუნველყოფა;

დ) ბუნების ძეგლების დაცვისა და აღდგენისათვის, განათლებისა და მეცნიერული კვლევა-ძიებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნისა და მონიტორინგის განხორციელების ხელშეწყობა.

თავი II. იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების მდებარეობა, ფართობი და საზღვრები

მუხლი 3. იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების კატეგორიები

იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიები საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემის ნაწილია. ისინი იქმნება ამ კანონის მე-4 მუხლით დადგენილი საზღვრების ფარგლებში და მოიცავს დაცული ტერიტორიების შემდეგ კატეგორიებს:

ა) სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალს;

ბ) ყუმისთავის მღვიმის ბუნების ძეგლს;

გ) თეთრი მღვიმის ბუნების ძეგლს;

დ) ხომულის მღვიმის ბუნების ძეგლს;

ე) ცუცხვათის მღვიმოვანის ბუნების ძეგლს;

ვ) ნავენახევის მღვიმის ბუნების ძეგლს;

ზ) ნაგარევის მღვიმის ბუნების ძეგლს;

თ) იაზონის მღვიმის ბუნების ძეგლს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი) საკაჟიის მღვიმის ბუნების ძეგლს;
კ) წყალწითელას ხეობის ბუნების ძეგლს;
ლ) ოკაცეს კანიონის ბუნების ძეგლს;
მ) ოკაცეს ჩანჩქერის ბუნების ძეგლს.

მუხლი 4. იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების მდებარეობა, ფართობი და საზღვრები

1. სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალი იქმნება „სათაფლია- კოლხეთის სახელმწიფო ნაკრძალის ტყის მეურნეობის ორგანიზაციისა და განვითარების პროექტის განხილვის შესახებ“ ტყეთმოწყობის მეორე თათბირის 1989 წლის 7 ივნისის ოქმით დასამტკიცებლად რეკომენდებული საქართველოს სსრ-ის ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის სათაფლია-კოლხეთის სახელმწიფო ნაკრძალის ტყის მეურნეობის განვითარების 1989–1995 წლების პროექტით დადგენილი და ნატურაში გამიჯნული საზღვრების ფარგლებში მოქცეულ ტერიტორიაზე – საერთო ფართობით 354 ჰექტარი.

2. ყუმისთავის მღვიმის ბუნების ძეგლი იქმნება სოფლების ყუმისთავისა და ქვილიშორის საზღვარზე, გეოგრაფიული კოორდინატებით – $42^0\ 35^1\ 46{,}52^{11}$ E, $42^0\ 22^1\ 24{,}7^{11}$ N, $42^0\ 36^1\ 1{,}49^{11}$ E, $42^0\ 22^1\ 37{,}27^{11}$ N.

3. თეთრი მღვიმის ბუნების ძეგლი იქმნება ქალაქ წყალტუბოს ჩრდილოეთით 1,5 კმ-ის მანძილზე, გეოგრაფიული კოორდინატებით – $42^0\ 37^1\ 1{,}92^{11}$ E, $42^0\ 10^1\ 46{,}40^{11}$ N.

4. ხომულის მღვიმის ბუნების ძეგლი იქმნება სოფელ ხომულის მიდამოებში, გეოგრაფიული კოორდინატებით – $42^0\ 38^1\ 20^{11}$ E, $42^0\ 20^1\ 6^{11}$ N.

5. ცუცხვათის მღვიმოვანის ბუნების ძეგლი იქმნება სოფელ ცუცხვათის შემოგარენში, მდინარე ყვირილის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარჯვენა შენაკადის – მდინარე ჭიშურის აუზის სამხრეთით, გეოგრაფიული კოორდინატებით – 42^{0} 51^{1} 10^{11} E, 42^{0} 16^{1} 15^{11} N.

6. ნავენახევის მღვიმის ბუნების ძეგლი იქმნება სოფელ ნავენახევის ტერიტორიაზე, გეოგრაფიული კოორდინატებით – 42^{0} 51^{1} 9^{11} E, 42^{0} 14^{1} 48^{11} N.

7. ნაგარევის მღვიმის ბუნების ძეგლი იქმნება სოფელ გოდოგნის ტერიტორიაზე, გეოგრაფიული კოორდინატებით – 42^{0} 48^{1} 12^{11} E, 42^{0} 15^{1} 31^{11} N.

8. იაზონის მღვიმის ბუნების ძეგლი იქმნება სოფელ გოდოგნის მიდამოებში, მდინარე წყალწითელას კანიონში, გეოგრაფიული კოორდინატებით – 42^{0} 43^{1} 52^{11} E, 42^{0} 16^{1} 00^{11} N.

9. საკაჟიის მღვიმის ბუნების ძეგლი იქმნება სოფელ გოდოგნის მიდამოებში, მდინარე წყალწითელას ხეობის მარცხენა ფერდობზე, გეოგრაფიული კოორდინატებით – 42^{0} 44^{1} 33^{11} E, 42^{0} 16^{1} 3^{11} N.

10. წყალწითელას ხეობის ბუნების ძეგლი იქმნება სოფელ გოდოგნის ხიდსა და გელათს შორის მონაკვეთის 7,5 კმ-იან ზოლში, გეოგრაფიული კოორდინატებით – 42^{0} 45^{1} 18^{11} E, 42^{0} 17^{1} 54^{11} N, 42^{0} 46^{1} 4^{11} E, 42^{0} 17^{1} 38^{11} N.

11. ოკაცეს კანიონის ბუნების ძეგლი იქმნება სოფელ გორდის მიდამოებში, გეოგრაფიული კოორდინატებით – 42^{0} 32^{1} 55^{11} E, 42^{0} 27^{1} 22^{11} N, 42^{0} 33^{1} 11^{11} E, 42^{0} 26^{1} 39^{11} N.

12. ოკაცეს ჩანჩქერის ბუნების ძეგლი იქმნება სოფელ გორდის მიდამოებში, გეოგრაფიული კოორდინატებით – 42^{0} 33^{1} $13{,}59^{11}$ E, 42^{0} 29^{1} $29{,}29^{11}$ N.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი III. იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ტერიტორიულ-ფუნქციური ორგანიზება

მუხლი 5. იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ტერიტორიულ-ფუნქციური ორგანიზება

იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ტერიტორიულ-ფუნქციური ორგანიზება ეფუძნება „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი დაცული ტერიტორიების ზონირების პრინციპს, რომლის შესაბამისად, დაცული ტერიტორიის თითოეული კატეგორიის ამ კანონით დადგენილი საზღვრების ფარგლებში შეიძლება მოეწყოს (გამოიყოს) ამავე კანონით განსაზღვრული ტერიტორიულ-ფუნქციური ზონა/ზონები.

მუხლი 6. სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალის ტერიტორიულ-ფუნქციური ორგანიზება

1. სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალი „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად იქმნება ბ უნების, ბუნებრივი პ როცესებისა და გენეტიკური რესურსების დინამიკურ და ხელუხლებელ მდგომარეობაში შენარჩუნებისა და მათზე უმნიშვნელო ზეგავლენის მქონე მეცნიერული კვლევა-ძიების, საგანმანათლებლო საქმიანობისა და გარემოს მონიტორინგის მიზნით. სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალის შექმნის ძირითადი მიზანია აგრეთვე ამ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი საზღვრების ფარგლებში არსებული ბუნებრივი ეკოსისტემებისა და გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა სახეობების შენარჩუნება და დაცვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალში აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, რომელიც არ არის გათვალისწინებული ამ მუხლის მე-3 პუნქტით.

3. სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალში დაშვებულია:

ა) არამანიპულაციური სამეცნიერო კვლევა;

ბ) ტურისტულ-საგანმანათლებლო საქმიანობა;

გ) სტიქიური უბედურების, კატასტროფისა და საგანგებო მდგომარეობის დროს, სამსახურებრივი მოვალეობების განხორციელების მიზნით, სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაციის პერსონალის ავტომოტო- და საჰაერო სატრანსპორტო საშუალებებით შეზღუდული გადაადგილება;

დ) მონიტორინგის სამუშაოების განხორციელება;

ე) საკადასტრო სამუშაოების განხორციელება;

ვ) სახელმწიფო ნაკრძალის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დაცვის რეჟიმის განხორციელებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარება;

ზ) უმოტორო ტრანსპორტით გადაადგილება.

მუხლი 7. იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია

იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია და ამ ტერიტორიაზე დაშვებული საქმიანობა განისაზღვრება მენეჯმენტის გეგმით, რომელიც განსაზღვრავს მღვიმეების კომპლექსის დაცვის, მეცნიერული კვლევისა და მონიტორინგის, განათლების, რეკრეაციის, ტურიზმის, ადმინისტრაციის და სხვა საქმიანობის ინტეგრალური განვითარების პროგრამებს და რომელსაც ბრძანებით ამტკიცებს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი IV. იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების მართვა

მუხლი 8. იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების მართვა

1. იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების მართვა ხორციელდება „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

2. იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების მართვას ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო.

მუხლი 9. იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადგილობრივი მართვის ორგანო

1. იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადგილობრივი მართვის ორგანოა სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაცია.

2. სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაცია არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის საქმიანობის სფერო და კომპეტენციები განისაზღვრება დებულებით, რომელსაც ბრძანებით ამტკიცებს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი.

მუხლი 10. კონტროლი და ზედამხედველობა იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების დაცვისა და გამოყენების სფეროში

იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების დაცვისა და გამოყენების სფეროში კონტროლსა და ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი V. იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების დაფინანსება

მუხლი 11. იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების დაფინანსება

იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიები ფინანსდება „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი VI. გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

მუხლი 12. კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით მისაღებინორმატიული აქტები

ამ კანონის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ უზრუნველყოს:

ა) სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაციის დებულების დამტკიცება;

ბ) იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმის დამტკიცება.

მუხლი 13. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს 2008 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტის
მოვალეობის შემსრულებელი *ნინო ბურჯანაძე*

თბილისი,
2007 წლის 22 ნოემბერი.
N 5485 – IIს

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კანონი

თბილისის ეროვნული პარკის შესახებ

მუხლი 1. ძირითადი დებულებანი

1. აღმოსავლეთ საქართველოს ცენტრალურ ნაწილში იშვიათი სახეობის მცენარეებისა და ამ ტერიტორიისათვის დამახასიათებელი ტყის ეკოსისტემების დაცვის, ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნების შენარჩუნების, ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და ბუნებრივ გარემოში რეკრეაციული, ეკო-ტურისტული და საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარების უზრუნველყოფის მიზნით თბილისის ეროვნული პარკი აღდგენილ იქნეს (ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილი ტერიტორიის ფარგლებში) და გაფართოვდეს თიანეთის, მცხეთისა და საგარეჯოს სატყეო მეურნეობების, დიდგორის საცდელ-საჩვენებელი სატყეო მეურნეობის ტყის ფონდის მიწების ნაწილისა და საგურამოს სახელმწიფო ნაკრძალის ხარჯზე; მისი საერთო ფართობი განისაზღვროს სახელმწიფო ტყის ფონდში შემავალი 24327,8 ჰექტარით; თბილისის ეროვნული პარკის აღნიშნული ფართობისთვის მიკუთვნებულ სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებს მიენიჭოს დაცული ტერიტორიის კატეგორიის – ეროვნული პარკის სტატუსი.

2. თბილისის ეროვნული პარკის საერთო ფართობისთვის მიკუთვნებული სახელმწიფო ტყის ფონდის მიწები მოიცავს:

ა) თბილისის ეროვნული პარკის გაუქმებამდე მის დაქვემდებარებაში შემავალ 17553 ჰექტარს, მათ შორის, სატყეოების (სატყეო უბნების), კვარტალებისა და ლიტერების (სატაქსაციო უბნების) მიხედვით:

ა.ა) ღულელების სატყეოს (სატყეო უბნის) NN9–54 კვარტალებს – სულ 4485 ჰექტარს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა.ბ) ცხვარიჭამიის სატყეოს (სატყეო უბნის) NN1–38 კვარტალებს – სულ 3726 ჰექტარს;

ა.გ) გლდანის სატყეოს (სატყეო უბნის) NN1–33 კვარ-ტალებს, N34 კვარტალის NN1–13 ლიტერებს (სატაქსაციო უბნებს), N39 კვარტალის NN1–11 ლიტერებს (სატაქსაციო უბნებს) და N40 კვარტალს – სულ 4024 ჰექტარს;

ა.დ) მამკოდის სატყეოს (სატყეო უბნის) N1 კვარტალს – 71 ჰექტარს;

ა.ე) ავჭალის სატყეოს (სატყეო უბნის) NN1–5 კვარტალებს და N6 კვარტალის NN1–43 ლიტერებს (სატაქსაციო უბნებს) – სულ 688 ჰექტარს;

ა.ვ) მარტყოფის სატყეოს (სატყეო უბნის) NN1–29 კვარტალებს, N30 კვარტალის NN1–63 ლიტერებს (სატა-ქსაციო უბნებს), N31 კვარტალს, N32 კვარტალის NN1–33 ლიტერებს (სატაქსაციო უბნებს), NN33–35 კვარტალებს, N36 კვარტალის NN1–2, NN4–6 და NN9–10 ლიტერებს (სატაქსაციო უბნებს), N37 კვარტალის NN2–9, NN16–17 და NN22–27 ლიტერებს (სატაქსაციო უბნებს) და N38 კვარტალის NN1–6, NN10–15 და NN23–27 ლიტერებს (სატაქსაციო უბნებს) – სულ 4133 ჰექტარს;

ა.ზ) თბილისის ზღვის სატყეოს (სატყეო უბნის) NN1–6 კვარტალებს – სულ 426 ჰექტარს;

ბ) თიანეთის სატყეო მეურნეობის ბოჭორმის სატყეოს (სატყეო უბნის) NN19–21 კვარტალებს – სულ 518 ჰექტარს;

გ) მცხეთის სატყეო მეურნეობის 472 ჰექტარს, მათ შორის, ამავე სატყეო მეურნეობის სატყეოების (სატყეო უბნების), კვარტალებისა და ლიტერების (სატაქსაციო უბნების) მიხედვით:

გ.ა) გალავნის სატყეოს (სატყეო უბნის) N28 კვარ-ტალის NN26–28 ლიტერებს (სატაქსაციო უბნებს), N30 კვარ-ტალის NN1–8, N11 და NN14–17 ლიტერებს (სატაქსაციო უბნებს), N31 კვარტალის NN1–13 და N18 ლიტერებს (სატა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქსაციო უბნებს), N32 კვარტალის NN1–4 და N6 ლიტერებს (სატაქსაციო უბნებს) და N33 კვარტალს – სულ 308 ჰექტარს;

გ.ბ) მცხეთის სატყეოს (სატყეო უბნის) N16 კვარტალის NN1–22 ლიტერებს (სატაქსაციო უბნებს) – სულ 164 ჰექტარს;

დ) საგარეჯოს სატყეო მეურნეობის გომბორის სატყეოს (სატყეო უბნის) N1 კვარტალს – 122 ჰექტარს;

ე) დიდგორის საცდელ-საჩვენებელი სატყეო მეურნეობის „წიწამურის" სასელექციო საცდელ უბანს – 15 ჰექტარს;

ვ) საგურამოს სახელმწიფო ნაკრძალის NN1–43 კვარტალებს – სულ 5347,8 ჰექტარს;

ზ) თბილისის დენდროლოგიურ პარკს – 300 ჰექტარს.

3. თბილისის ეროვნული პარკის საერთო ფართობისთვის მიკუთვნებული სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების სატყეოების (სატყეო უბნების), კვარტალების, ლიტერების (სატაქსაციო უბნების) და სასელექციო საცდელი უბნების მიხედვით ამ მუხლით განსაზღვრული აღწერის საფუძველია:

ა) „თბილისის ეროვნული პარკის ტყის მეურნეობის ორგანიზაციისა და განვითარების პროექტის განხილვის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის ტყეთმოწყობის მეორე თათბირის 1993 წლის 7 დეკემბრის სხდომის ოქმით დასამტკიცებლად რეკომენდებული თბილისის ეროვნული პარკის ტყის მეურნეობის ორგანიზაციისა და განვითარების პროექტი;

ბ) „თიანეთის სატყეო მეურნეობის ტყის მეურნეობის ორგანიზაციისა და განვითარების პროექტის განხილვის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის ტყეთმოწყობის მეორე თათბირის 1992 წლის 14 ივლისის სხდომის ოქმით დასამტკიცებლად რეკომენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებული თიანეთის სატყეო მეურნეობის ტყის მეურნეობის ორგანიზაციისა და განვითარების პროექტი;

გ) „მცხეთის სატყეო მე ურნეობის ტყის მეუ რნეობის ორგანიზაციისა და განვითარების პროექტის განხილვის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის ტყეთმოწყობის მეორე თათბირის 1992 წლის 14 ივლისის სხდომის ოქმით დასამტკიცებლად რეკომენ-დებული მცხეთის სატყეო მეურნეობის ტყის მეურნეობის ორგანიზაციისა და განვითარების პროექტი;

დ) „საგარეჯოს სატყეო მეურნეობის ტყის მეურნე-ობის ორგანიზაციისა და განვითარების პროექტის განხილ-ვის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის სატყეო მეურნე-ობის დეპარტამენტის ტყეთმოწყობის მეორე თათბირის 1992 წლის 14 ივლისის სხდომის ოქმით დასამტკიცებლად რეკომენდებული საგარეჯოს სატყეო მეურნეობის ტყის მეურნეობის ორგანიზაციისა და განვითარების პროექტი;

ე) „საგურამოს სახელმწიფო ნაკრძალის ტყის მეურ - ნეობის ორგანიზაციისა და განვითარების პროექტის განხი-ლვის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის სოფლისა და სატყეო მეურნეობის სამინისტროს ტყეთმოწყობის მეორე თათბირის 1992 წლის 4 თებერვლის სხდომის ოქმით დასამტკიცებლად რეკომენდებული საგურამოს სახელმწიფო ნაკრძალის ტყის მეურნეობის ორგანიზაციისა და განვი-თარების 1991–2001 წლებისათვის შედგენილი პროექტი;

ვ) „დიდგორის საცდელ-საჩვენებელ სატყეო მეურნ-ეობისათვის 20 ჰა ფართობის მიკუთვნების შესახებ“ საქართ-ველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს 1986 წლის 5 მაისის N190 ბრძანების დანართი – „წიწამურისა“ და „ნადარ-ბაზევის“ სასელექციო საცდელი უბნების ფართობების დადგენის მიზნით შედგენილი 1985 წლის 11 ნოემბრის აქტი და ამავე სასელექციო საცდელი უბნების ფართობების სქემატური ნახაზი;

ზ) „საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს თბილისის დენდროლოგიური პარკის ტყის მეურნეობის ორგანიზაციისა და განვითარების პროექტის განხილვის შესახებ“ საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს ტყეთმოწყობის მეორე თათბირის 1983 წლის სხდომის ოქმით დასამტკიცებლად რეკომენდებული თბილისის დენდროპარკის ტყის მეურნეობის ორგანიზაციისა და განვითარების 1983–1993 წლებისათვის შედგენილი პროექტი.

მუხლი 2. თბილისის ეროვნული პარკის დაცვისა და გამოყენების რეჟიმი

1. თბილისის ეროვნული პარკის დაცვისა და გამოყენების რეჟიმი (მათ შორის, ეროვნული პარკის ტერიტორიულ-ფუნქციური ორგანიზება – ზონირება) განისაზღვრება ამ კანონის, საქართველოს კანონმდებლობისა და თბილისის ეროვნული პარკის მენეჯმენტის გეგმის შესაბამისად.

2. თბილისის ეროვნული პარკის საერთო ფართობისთვის მიკუთვნებული სახელმწიფო ტყის ფონდის მიწები სახელმწიფოს საკუთრებაა და გასხვისებას არ ექვემდებარება.

მუხლი 3. თბილისის ეროვნული პარკის მართვა

1. თბილისის ეროვნული პარკის სახელმწიფო მართვას „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო.

2. თბილისის ეროვნული პარკის ადგილობრივ მართვას ახორციელებს სახელმწიფო ქონების საფუძველზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – თბილისის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის დებულებას ამტკიცებს და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი დაცული ტერიტორიების დეპარტამენტის თავმჯდომარის წარდგინებით.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული საჯარო სამართლის იური დიული პირის საქმიანობის სახელმწიფო კონტროლსა და ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო.

მუხლი 4. თბილისის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დაფინანსება

თბილისის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს:

ა) შესაბამისი ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;

ბ) სახელმწიფო შეკვეთის შესრულებიდან მიღებული შემოსავალი;

გ) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი;

დ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

მუხლი 5. თბილისის ეროვნული პარკის შექმნასთან დაკავშირებული მიწათსარგებლობის საკითხები

ეს კანონი არ ვრცელდება თბილისის ეროვნული პარკის ამ კანონით დადგენილი საზღვრების ფარგლებში (გარდა ამ კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტში მოცემული ტერიტორიისა) მიწათსარგებლობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სფეროში ამ კანონის ამოქმედებამდე არსებულ ქონებრივ ურთიერთობებზე (მიწის ნაკვეთების ყიდვა-გაყიდვის, უზუფრუქტის, აღნაგობის, ქირავნობის, გაცვლის, გაჩუქების, მემკვიდრეობით გადაცემის, იპოთეკისა და იჯარით გაცემის შემთხვევებში არსებულ ურთიერთობათა ჩათვლით).

მუხლი 6. გარდამავალი დებულებანი

1. თბილისის ეროვნული პარკის საერთო ფართობისთვის მიკუთვნებული ტერიტორიის ინვენტარიზაციის, სამიწათმოწყობო და საკადასტრო დოკუმენტაციის შექმნისა და მომზადების ორგანიზების სამუშაოები ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით თბილისის ეროვნული პარკის მართვაზე უშუალოდ პასუხისმგებელი ორგანიზაციულ-სტრუქტურული ერთეულის ფორმირებამდე და ამგვარი ერთეულის დაქვემდებარებაში თბილისის ეროვნული პარკის საერთო ფართობისთვის მიკუთვნებული სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების გადაცემამდე, თბილისის ეროვნული პარკის ტერიტორიის მართვას (ეროვნული პარკის, როგორც დაცული ტერიტორიის კატეგორიის, ამ კანონითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დაცვის რეჟიმის უზრუნველყოფის ჩათვლით) ახორციელებენ საქა რთველოს გა რემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სისტემაში შემავალი საგურამოს სახელმწიფო ნაკრძალი და ამავე სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სატყეო დეპარტამენტის შესაბამისი ტერიტორიული ორგანოები.

3. თბილისის ეროვნული პარკის მენეჯმენტის გეგმის ამოქმედებამდე, ამ კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ტერიტორიაზე ვრცელდება დაცული ტერიტორიის კატეგორიის – ეროვნული პარკის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკაცრი დაცვის ზონისათვის საქართველოს კანონმდებ-ლობით დადგენილი დაცვის რეჟიმი.

4. თბილისის ეროვნული პარკის ტერიტორია არ მოიცავს მაგისტრალური გაზსადენის ფართობს (11,2 ჰექტარს) შემდეგი გეოგრაფიული კოორდინატებით:

N	აღმოსავლეთი	ჩრდილოეთი
1	477957,967	4634824,303
2	478007,457	4634822,104
3	478300,620	4634809,314
4	479444,752	4633757,571
5	480340,604	4633014,493
6	484754,388	4631601,800

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტში აღნიშნულ ტერიტორიას კანონით დადგენილი წესით განკარგავს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო.

მუხლი 7. კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით გამოსაცემი და ძალადაკარგული ნორმატიული აქტები

1. ამ კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით 2008 წლის 1 აგვისტომდე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა გამოსცეს შემდეგი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები:

ა) საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ბრძანება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – თბილისის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების თაობაზე“;

ბ) საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ბრძანება „თბილისის ეროვნული პარკის მენეჯმენტის გეგმის დამტკიცების თაობაზე“.

2. ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) „საქართველოს სსრ ზოგიერთი ნაკრძალის აღდგენის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 10 აპრილის N196 დადგენილების (საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი, 1957 წ., N4) პირველი პუნქტის ჩამონათვალის მე-5 აბზაცი;

ბ) „ქალაქების თბილისისა და რუსთავის მწვანე ზონის გაფართოების, გარემოს გაჯანსაღებისა და მშრომელთა მასობრივი დასვენების პირობების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 6 მარტის N143 დადგენილების (საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი, 1973 წ., N3) მე-3 პუნქტი;

გ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 22 მაისის N372 დადგენილება „საგურამოს ეროვნული პარკისათვის სახელის გადარქმევის შესახებ“ (საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული, 1979 წ., N3, მუხ. 40).

მუხლი 8. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს 2008 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტის
მოვალეობის შემსრულებელი *ნინო ბურჯანაძე*

თბილისი,
2007 წლის 20 ნოემბერი.
N 5462 – IIს

(გამოქვეყნებულია
საქართველოს საკანონმდებლო მაცნე
1999 წელი - N24(31))

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კანონი

მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ

მუხლი 1

ამ კანონის მიზანია საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლისა და "ალპური კონვენციის" საერთაშორისო წესდების შესაბამისად:

ა) მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა;

ბ) მაღალმთიანი რეგიონების მდგრადი განვითარების პოლიტიკის გატარება თანამედროვე მოთხოვნებისა და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით;

გ) მაღალმთიან რეგიონებში სამე ურნეო და ს ოციალურ-კულტურული აქტივობის გაძლიერება;

დ) მოსახლეობის სტიქიური მიგრაციის შეჩერება;

ე) დაცლილი და ნახევრად დაცლილი სოფლებისა და თემების აღორძინება;

ვ) ადგილობრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, მრეწველობის განვითარება და მოსახლეობის დასაქმების დონის ზრდა;

ზ) სხვადასხვა წყაროებიდან (მათ შორის, ევროკავშირის ფონდებიდან) ინვესტიციების მოზიდვა;

თ) ეროვნებათაშორისი თანამშრომლობის განვითარება მაღალმთიანი რეგიონების სასაზღვრო ზონების პრობლემების მოგვარების მიზნით;

ი) თვითმყოფადი ლანდშაფტებისა და ეკოსისტემების შენარჩუნება და მავნე ზემოქმედებისაგან დაცვა;

კ) გზების მშენებლობის მოწესრიგება;

ლ) წიაღისეულით რაციონალური სარგებლობა, საწარმოო ობიექტების დაპროექტება და მშენებლობა

მაღალმთიანი რეგიონების მდგრადი განვითარების პოლიტიკის შესაბამისად.

მუხლი 2

მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების საფუძველია მეურნეობის შემდეგი სახეები:

ა) სასოფლო-სამეურნეო წარმოება, პირველ რიგში, მემინდვრეობა, მეცხოველეობა, მებოსტნეობა, მეხილეობა, მეფუტკრეობა, თევზის მოშენება, სამონადირეო და სატყეო მეურნეობა, აგრეთვე ტრადიციული ადგილობრივი ფერმერული მეურნეობის სხვა დარგები;

ბ) სამრეწველო წარმოება, პირველ რიგში, ადგილობრივი ბუნებრივი სიმდიდრის ათვისება "ალპური კონვენციის" წესდებით გათვალისწინებული ბუნების მდგრადი განვითარების პრინციპების დაცვით, გადამამუშავებელი მრეწველობა, შინარეწვა, განახლებადი ენერგეტიკა, მცირე სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა;

გ) ტურიზმი, საკურორტო და რეკრეაციული მეურნეობა.

მუხლი 3

მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების მიზნით საქართველოს ხელისუფლება შეიმუშავებს შეღავათიან საკრედიტო-საინვესტიციო ღონისძიებების სახელმწიფო პროგრამას, რომლის პარამეტრები ყოველწლიურად აისახება სახელმწიფო ბიუჯეტში. ეს პროგრამა ხელს უწყობს:

ა) ტურიზმის, საკურორტო და რეკრეაციული მეურნეობის განვითარებას;

ბ) ისტორიულ-არქიტექტურული და ბუნებრივი ძეგლების დაცვას, რესტავრაციას და ტურიზმის სამსახურში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩართვას;

გ) სამთო-სათხილამურო და სპორტის სხვა სახეობების განვითარებას;

დ) არქეოლოგიური კვლევა-ძიების წარმატებით წარმართვას;

ე) სამეურნეო და სოციალურ-კულტურული ტრადიციების აღორძინება-განვითარებას და შესაბამისი სამეცნიერო ცენტრების შექმნას;

ვ) მაღალმთიანი რეგიონებისათვის დამახასიათებელი ტრადიციული შინა-რეწვის სხვადასხვა დარგების (მეთუნეობა, ჭედურობა, ხეზე კვეთა, მეჭურჭლეობა, ქსოვა, ქარგვა, ნაბდის თელვა, ხალხური საკრავების წარმოება და სხვა) განვითარებას, სახალხო ოსტატებთან შეგირდულ სწავლებას;

ზ) მცირე და საშუალო ბიზნესისა და მეწარმეობის განვითარებას ადგილობრივი ბუნებრივი და შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენების გზით;

თ) მაღალმთიანი რეგიონების მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და სამეურნეო საქმიანობის ელექტროენერგიით უზრუნველსაყოფად მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურების მშენებლობის და ენერგიის განახლებადი წყაროების გამოყენების პროექტების დაფინანსებას;

ი) კადრების მომზადებას მაღალმთიანი რეგიონების მდგრადი განვითარების მიზნით;

კ) მაღალმთიან რეგიონებში დაცული ტერიტორიების კატეგორიების განვითარებას.

მუხლი 4

1. ამ კანონის მოქმედება ვრცელდება მაღალმთიან რეგიონებზე, რომლებიც თავისი გეოგრაფიული მდებარეობით მთლიანად შეესაბამება მაღალმთიანი რეგიონის ცნებას.

2. ჰიფსომეტრიული სიმაღლის მიხედვით მაღალმთიან რეგიონად ითვლება დასახლებული ტერიტორია, რომელიც მდებარეობს ზღვის დონიდან 1500 მეტრის სიმაღლეზე და მის ზევით, მაგრამ სხვადასხვა პარამეტრების (მთის ფერდობების და ზეგნების დახრილობა, გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი გარემო, ეთნოგრაფიული და ეკონომიკური თავისებურებები, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სიმცირე და სიმწირე, დემოგრაფიული ტევადობა, გამწვავებული მიგრაციული პროცესები, დაცლილი ტერიტორიების ეკონომიკური თვალსაზრისით დაკარგვის საფრთხე) გათვალისწინებით მისი ქვედა ზღვარი კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე განლაგებულ რაიონებში და აჭარა-გურიის მთიანეთში მცირდება 1000 მეტრამდე (*გამონაკლის შემთხვევაში _ 800 მეტრამდეც კი*), ხოლო სამხრეთ საქართველოს მთიან რაიონებში რჩება 1500 მეტრი.

მუხლი 5

1. ჰიფსომეტრიული სიმაღლის მიუხედავად ამ კანონის მოქმედება ვრცელდება მთლიანად მხოლოდ მთიულეთზე და გუდამაყრის ხეობაზე, ფშავ-ხევსურეთზე და თუშეთზე, რომლებიც დემოგრაფიული რეაბილიტაციის მწვავე ზონებად ითვლება.

2. ამოღებულია *(23.12.2005 N 2466)*

3. *მაღალმთიან რეგიონში ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები ახლად დასახლებულებს უწევენ ფინანსურ დახმარებას შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებიდან. (29.12.2006 N4245)*

მუხლი 6

სოფლების, დაბებისა და თემების ჩამონათვალი, რომლებზედაც ვრცელდება ამ კანონის მოქმედება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

განისაზღვრება კანონის დანართით.

მუხლი 7

1. ეს კანონი მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის გარდა ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი ამოქმედდეს 2000 წლის 1 იანვრიდან. *(25.02.2000 N181)*

საქართველოს პრეზიდენტი *ედუარდ შევარდნაძე.*

თბილისი
1999 წლის 8 ივნისი.
N 2054 – IIს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლების, თემების და დაბების ჩამონათვალი, რომლებზედაც ვრცელდება "მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მოქმედება

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა _ 1 000 მეტრის ზევით

1. აგურფსტა
2. აცგარა
3. გვაწდრა
4. ზემო აჟარა
5. კურორტი ავადხარა
6. მარცხენა გენცვიში
7. მარჯვენა გენცვიში
8. ნახარი
9. ომარიშარა
10. ოტოროჯია
11. პტიში
12. საკენი
13. სანჩარა
14. ფსხუ
15. ხეცკვარა
16. ხუტი
17. აჟარა
18. კოდორი
19. ჩხალთა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა _ 1 000 მეტრის ზევით

1. აბუქეთი
2. აგარა
3. აგოთა
4. ადაძეები
5. არსენაული
6. აქუცა
7. აჭარის აღმართი
8. ახო
9. ბალაძეები
10. ბარათაული
11. ბეღელი
12. ბოძაური
13. ბრილი
14. ბუთურაული
15. გაგაძეები
16. განახლება
17. გარეტყე
18. გეგელიძეები
19. გელაურა
20. გელაძეები
21. გობრონეთი
22. გოგნიაური
23. გოგაძეები
24. გომარდული

ეროვნული ბიბლიოთეკა

25. გორგაძეები
26. გულები
27. გუნდაური
28. გურძაული
29. დანდალო
30. დანისპარაული
31. დარჩიძეები
32. დეკანაშვილები
33. დიდაჭარა
34. დიოკნისი
35. დოლოგანი
36. დღვანი
37. ვაიო
38. ვანაძეები
39. ვანი
40. ვარჯანისი
41. ვარჯანული
42. ზედა აგარა
43. ზედა ბზუბზუ
44. ზედა მახუნცეთი
45. ზედა ჩხუტუნეთი
46. ზემო ხევი
47. ზენდიდი
48. ზესოფელი
49. ზვარე
50. ზუნდაგა
51. თაგო
52. თერნალი
53. ინაშარიძეები
54. ინწკირვეთი
55. ირემაძეები
56. კალოთა
57. კანტაური
58. კარაპეტი
59. კვატია
60. კვაშტა
61. კვიახიძეები
62. კობალთა
63. კოკოტაური
64. კოლოტაური
65. კორომხეთი
66. კორტოხი
67. კოხი
68. კურცხალი
69. კუჭულა
70. ლომანაური
71. მაწყვალთა
72. მახლაკიძეები
73. მერისი
74. მერჩხეთი
75. მეძიბნა
76. მეხელაშვილები
77. მილისი
78. მინდაძეები
79. მანიაკეთი
80. მთის უბანი
81. მოსიაშვილები
82. ნამლისევი
83. ნამონასტრევი
84. ნაღვარევი
85. ნენია
86. ორცვა
87. ოქროაშვილები
88. ოქტომბერი

89. პანტნარი
90. პაპოშვილები
91. პაქსაძეები
92. პირველი მაისი
93. ჟანივრი
94. რაქვთა
95. რიყეთი
96. საბადური
97. სასადილოყელი
98. საციხური
99. სილიბაური
100. სინდიეთი
101. სირაბიძეები
102. სიხალიძეები
103. სკვანა
104. სკურდიდი
105. სტეფანიშვილები
106. სხეფი
107. ტაბახმელა
108. ტბეთი
109. ტუნაძეები
110. უჩანბა
111. უჩხითი
112. უჩხო
113. ფაჩხა
114. ფურტიო
115. ფუშრუკაული
116. ქედელები
117. ქედქედი
118. ქვედა აგარა
119. ქვედა ბზუბზუ
120. ქვედა მახუნცეთი
121. ქვედა ქოქოლეთი
122. ქვედა ჩხუტუნეთი
123. ქიძინიძეები
124. ქოსოფელი
125. ქოქოლეთი
126. ქუიური
127. ქურდული
128. ღურტა
129. შევაბური
130. შუასოფელი
131. შუბარი
132. ჩანჩხალო
133. ჩაო
134. ჩიქუნეთი
135. ცეკვა
136. ცინარეთი
137. ცხემნა
138. ცხმელარა
139. ცხმელისი
140. ცხმორისი
141. ძეწმანი
142. ძირკვამეები
143. ძმაგულა
144. წაბლანა
145. წელათი
146. წინწკალაშვილები
147. წონიარისი
148. წყაროთა
149. ჭალა
150. ჭალახმელა
151. ჭახაურა
152. ჭერო

153. ჭვანა
154. ჭინკაძეები
155. ხარაულა
156. ხაბელაშვილები
157. ხინო
158. ხიხაძირი
159. ხულო
160. ხუნკუდა
161. ჯალაბაშვილები
162. ჯაბნიძეები
163. ზედა სამება *(20.07.99 N2259)*
164. ჭახათი
165. ახალდაბა
166. ახალიუბანი
167. ახალშენი
168. ბაკო
169. ბოღაური
170. გვარა
171. გოგიაშვილები
172. გოგინიძეები
173. გოდგაძეები
174. გუდასახო
175. დაბამველი
176. დიაკონიძეები
177. დუაძეები
178. ელელიძეები
179. ვაშაყმაძეები
180. ვაშლოვანი
181. ვერნები
182. ზედა კირნათი
183. ზედა ქოქოლეთი
184. თხილვანა
185. იაკობიძეები
186. კობალეთი
187. ლაბაძეები
188. მარადიდი
189. მახალაკაური
190. მეკეიძეები
191. ნიგაზაული
192. ოლადაური
193. ოქროპილაური
194. ოშანახევი
195. სინდიეთი
196. სკურდიდი
197. სხანდარა
198. ტაკიძეები“ (დანდალოს თემი)ტაკიძეები“ (ჭვანის თემი), ”ტომაშეთი“, ”ქვედა“, ქვედა ჩხუტანეთი“, ”ქედქედი“, ”ქვემო თხილვანა“, ”ღორჯომელაძეები“, ”ღორჯომი“, ”ყინჩაური“, ”ყიშლა“, ”შუშანეთი“, ”შურმული“, ”ჩეტკიძეები“, ”ცხემლ-ნარა“, ”შაბლავეთი“, ”ჭერი“, ”ჯვარიეთი“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქედის რაიონის სოფელი ნამონასტრევი, შუახევის რაიონის სოფელი წაბლანა და დაბა შუახევი (*25.12.2002 N1865)*

ადიგენის რაიონი _ 1 300 მეტრის ზევით

1. აბასთუმანი
2. ამხერი
3. არალი
4. არზნე
5. აფიეთი
6. გომარო
7. გორთუბანი
8. დერცელი
9. ზაზალო
10. ზარზმა
11. ზედუბანი
12. იმერთუბანი
13. კეხოვანი
14. კიკაბო
15. ლელოვანი
16. მოხე
17. ნამნიაური
18. საირმე
19. სოფელი ადიგენი
20. უდე
21. ფხერო
22. ღორძე
23. შოყა
24. ციხისუბანი
25. ჭელა
26. ჭეჭლა

ადიგენის რაიონის სოფლების ჩამონათვალს დაემატოს შემდეგი სოფლები: "აბასთუმანი", "ადიგენი", "არზნი", "ბენარა", "ბოლაჯური", "გორგული", "დიდი სმადა", "ვარხანი", "ზანავი", "ზემო ენთელი", "იჯარეთი", "კახარეთი", "მლაშე", "ნაქურდევი", "პატარა ზანავი", "პატარა სმადა", "სამყრე", "სამყური", "უტყისუბანი", "ფლატე", "უნწა", "ქვემო ენთელი", "ქიქინეთი", "შოლავერი", "წარბსთუბანი", "წახანი", "წახანწყარო", "წრე", "ჩორჩანი", "ხარჯამი", "ხევაშენი.

ამბროლაურის რაიონი _ 800 მეტრის ზევით

1. აბანოეთი
2. აბარი
3. აგარა
4. ამბროლაური
5. ახალსოფელი
6. ბარეული
7. ბაჯი
8. ბეგული

9. ბეთლევი
10. ბოსტანა
11. გოგოლათი
12. გორი
13. გორისუბანი
14. გენდუში
15. ველევი
16. ზემო კრიხი
17. ზედა შავრა
18. ზნაკვა
19. თლუღი
20. თხმორი
21. იწა
22. კაჩაეთი
23. კვაცხუთი
24. კვირიკეწმინდა
25. კლდისუბანი
26. ლიხეთი
27. მეორეტოლა
28. მოტყიარი
29. მუხლი
30. ნამანევი
31. ნიკორწმინდა
32. პატარა ონი
33. პირველი ტოლა
34. ჟოშხა
35. სადმელი
36. საკეცია
37. სხარტალი
38. სხვავა
39. ტბეთი
40. ურავი
41. უყეში
42. ფუტიეთი
43. ქედისუბანი
44. ქვემო კრიხი
45. ქვიშარი
46. ღადიში
47. ღვარდია
48. ღვიარა
49. შავრა
50. შხივანა
51. ჩორჯო
52. ცახი
53. ძირაგეული
54. წესი
55. წკადისი
56. ჭელიაღელე
57. ჭრეზალო
58. ჭყვიში
59. ხარისთვალა
60. ხვანჭკარა
61. ხიმში
62. ხონჭიორი
63. ხოტევი
64. ჯვარისა

ასპინძის რაიონი _ I 300 მეტრის ზევით

1. ვარგავი
2. ვარძია
3. ზემო ვარძია
4. ძველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. თოკი
6. მირაშხანი (მტკვარი)
7. ოთა
8. ოშორა
9. საყუდაბელი
10. ხიზაბავრა
11. აწყვიტა
12. გელსუნდა
13. დაბა ასპინძა
14. დამალა
15. თმოგვი
16. იდუმალა
17. ივერია
18. ნაქალაქევი
19. ნიჯგორი
20. ორგორა
21. რუსთავი
22. სარო
23. ტოლოში
24. ფია
25. ჭობარეთი
26. ხერთვისი

ახალგორის რაიონი _ 1 000 მეტრის ზევით

ახალდაბა *(25.12.2002 N1865)*

1. ალევი
2. ახმაჯი
3. ბაზუანი
4. ბალაანი

ბეჟაანთკარი (ბეჟანტყვევი) *(25.12.2002 N1865)*

გარუბანი *(25.12.2002 N1865)*

5. გდუ
6. გეზევრეთი
7. დაბა ახალგორი
8. დაბაკნეთი
9. დადიანეთი
10. დელკანი
11. დორეთკარი
12. ელოიანი
13. ერედა
14. ვაშლოვანი
15. ზემო გდუ
16. ზემო ბოლი
17. ზოდეხი
18. თინიკაანი
19. თოხთა
20. იკოთი
21. კალეთკარი
22. კორინთა
23. ლარგვისი
24. ლოთიანი
25. მარტიანი
26. მახიარეთი
27. მიდელაანი
28. მორბედაანი

მოსაბრუნი *(25.12.2002 N1865)*

29. მუჯუხი
30. მშველიეთი

ნაგომევი *(25.12.2002 N1865)*

31. ნახიდი
32. პავლიანი
33. სალბიეთი
34. საძეგური
35. უკანამხარე
36. ქენქაანი
37. ქვემო ბოლი
38. ქვემო გდუ
39. ქურთა
40. ყანჩავეთი
41. ყველდაბა-ახლოურები
42. ჩიტიანი
43. ცხავატი
44. წიბტაურიანი
45. წირქოლი
46. ჭორჭოხი
47. ხარბალი

მეგლევი *(25.12.2002 N1865)*

ახალქალაქის რაიონი _ 1 500 მეტრის ზევით

1. აბული
2. აგანა
3. აზავრეთი
4. ალათუმანი
5. ალასტანი
6. არაგვა
7. აფნია
8. ახალქალაქი
9. ბავრა
10. ბალხო
11. ბარალეთი
12. ბეჟანო
13. ბოზალი
14. ბუზაკეთი
15. ბურნაშეთი
16. ბუღაშენი
17. გოგაშენი
18. გოკიო
19. გომანი
20. გულიკამი
21. დაბნია
22. დადეში
23. დიდი სამსარი
24. დილისკა
25. ერინჯა
26. ვარევანი
27. ვაჩიანი
28. ზაკვი
29. თახჩა
30. თირკნა
31. თოთხამი
32. იხტილა
33. კარტიკამი
34. კარწახი
35. კიროვაკანი
36. კოთელია
37. კორხი
38. კოჭიო
39. კუმურდო
40. ლომარტუცხი

41. მარტუნი
42. მაჭატია
43. მერენია
44. მიასნიკიანი
45. მოდეგა
46. მურჯახეთი
47. ოკამო
48. ოლავერდი
49. ორჯა
50. პატარა სამსარი
51. პტენა
52. სირქვა
53. სულდა
54. ტურცხი
55. ფილიპოვკა
56. ქარცები
57. ღადო
58. ჩამმვრალა
59. ჩუნჩხა
60. ხორენია
61. ხულგუმო
62. ხავეთი
63. ხანდო
64. ხოსპიო

ახალციხის რაიონი _ 1 300 მეტრის ზევით

1 ანდა
2. ანდრიაწმინდა
3. ანი
4. ბოგა
გიორგიწმინდა *(25.12.2002 N1865)*
5. გურკელი
6. ელიაწმინდა
ვალე *(25.12.2002 N1865)*
7. თისელი
კლდე *(25.12.2002 N1865)*
8. ორალი
9. წინუბანი
10. წყორმა
11. ჭვინთა
12. ხაკი
13. ხეოთი
14. ჯულღა
15. სვირი
16. ტატანისი
17. ტყემლარა
18. ურაველი
19. წყალთბილა
20. აბათხევი
21. ზილიკია
22. მუგარეთი
23. მუსხი
24. ნაოხრევი
25. სამელი
26. საყუნეთი
27. ფერსა
28. ყულანისი
29. წინუბანი
ღრელი
წირა

ეროვნული ბიბლიოთეკა

წნისი *(25.12.2002 N1865)*
აწყური, დიდი პამაჯი, მიქელწმინდა, პატარა პამაჯი, სხვილისი, წყრუთი *(08.05. 2003 N 2268)*

ახმეტის რაიონი (თუშეთი) _ 1 000 მეტრის ზევით

1. ალისგორი
2. ბასო
3. ბეღელა
4. ბიქურთა
5. ბოჭორმა
6. ბუხურთა
7. გირევი
8. გოგრულთა
9. გორევი
10. გუდანი
11. დანო
12. დართლო
13. დაქივრთა
14. დიდკურთა
15. დიკლო
16. დოჭო
17. ვაკისძირი
18. ვერხოვანი
19. ვესტმო
20. ვესტომთა
21. ვემისხევი
22. ილიურთა
23. იფცხორი
24. კვავლო
25. კოკლათა
26. ნაციხარი
27. ომალო
28. საბუე
29. საჩიღოლო
30. ტბათანა
31. ტშათანა
32. უველურთა
33. ფარსმა
34. ქემულაურთა
35. ყვავლო
36. შენაქო
37. შტროლთა
38. ჩიგლაურთა
39. ჩიღო
40. ცოკალთა
41. წარო
42. ჭეღო
43. ჭეშო
44. ჭონთიო
45. ხახაბო
46. ხისო
47. ჯვარბოსელი
48. ჰეღო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაღდათის რაიონი _ 800 მეტრის ზევით

1. ზეკარი
2. ზემო ზეგანი
3. საკრაულა
4. ქვემო ზეგანი
5. ხანი

ბორჯომის რაიონი _ 1 500 მეტრის ზევით

1. ბაკურიანი
2. ბაკურიანის ანდეზიტი
3. ბალანთა
4. გვერდისუბანი
5. გუჯარეთი
   დგვარი *(25.12.2002 N1865)*
6. ვარდევანი
7. მაჭარწყალი
8. მიტარბი
9. მოლითი
10. საკირე
11. ტაბაწყური
12. ტაძრისი
13. ტბა
14. ღვთისმშობელი
15. ღინტური
16. ცემი
17. ციხისჯვარი
18. წაღვერი
19. წითელსოფელი
20. წინუბანი
21. ჭიხარულა
22. თორი
23. კიმოთის უბანი
24. ლიბანი
25. მზეთამზე
26. სადგერი

დვირი, ქვაბისხევი, ჭობისხევი *(08.05. 2003 N 2268)*

გურჯაანის რაიონი - 1000 მეტრის ზევით

ჭერემი

დმანისის რაიონი _ 1 500 მეტრის ზევით

1. გომარეთი
2. ირგანჩაი
3. ლენინო
4. მამიშლარი
5. სოღუთლო
6. ახა
7. განახლება
8. გეგუთი
9. გორა
10. დაგ-არახლო
11. ველისპირი
12. კამიშლო

13. ლოქ-ჭანდარი
14. მამულო
15. სალან-ალეიქი
16. საკირე
17. სარკინეთი
18. ტყისპირი
19. უსეინ ქენდი

დუშეთის რაიონი _ 1 000 მეტრის ზევით

1. ავენისი
2. ანანური
3. ბანცურთკარი
4. დგნალი
5. ბარისახო
6. აკუშო
7. აჭე
8. ბოქჩვილო
9. ბუჩუკურთა
10. გველეთი
11. დათვისი
12. კარწაულთა
13. კორშა
ლაფანაანთკარი
(25.12.2002 N1865)
14. მოწმაო
15. ოხერხევი
16. უკანახო
17. ქობული
18. ჩრდილი
19. ჭალისოფელი
20. გუდამაყარი
21. ათნოხი
22. ბაკურხევი
23. ბახანი
24. ბოსელი
25. ბურსაჭირი
26. გამსი
27. დიდებანი
28. დიხჩო
29. დუმაცხო
30. ზანდუკი
31. თოთიაურნი
32. თორელნი
33. კიტონი
34. ლეთხუბი
35. მაქაიათა
36. საკერპო
37. საჩალისჭალა
38. სიჯანანი
39. ფახვიჯი
40. ჩობალაურნი
41. ჩოკი
42. წინამხარი
43. გუდანი
44. ამღა
45. ატაბე
46. აყნელი
47. ახიელი
48. ბაცალიგო
49. ბისო
50. ზეისტეჩო

ეროვნული ბიბლიოთეკა

51. ნოჯა
52. ნოჯიკეთი
53. როშკა
54. უკანხადუ
55. ქმოსტი
56. ღელი
57. ღელისვაკე
58. ჩხუბა
59. ძუძურთა
60. წინხადუ
61. ჭიე
62. ჭორმეშავი
63. ხახმატი
64. მაღაროსკარი
65. არბაჩხანი
66. აფში
67. ბზიკურთკარი
68. ბოდავი
69. გომეწარი
70. გუდარახი
71. გუდრუხი
72. ზედა ხორხი
73. ინო
74. კანალისხევი
75. კანატია
76. კუჭეჭა
77. ლაუშა
78. მენესო
79. მიგრიაულთა
80. ნემძიხი
81. საშევარდნო
82. სწროფავი
83. ფუძნარი
84. ქალალო
85. ქვემო ზორზი
86. ჩარგალი
87. შარახევი
88. წიფრანი
89. ხარციშო
90. ხილიანა
91. ხირაუშა
92. ხომი
93. უკანაფშავი
94. ახადი
95. ბეტისჩრდილი
96. გოგოლაურთა
97. თხილანა
98. მათურა
99. მუგო
100. უძელაურთა
101. შუაფხო
102. ხოშარა
103. ფასანაური
104. ბანცური
105. დავითურნი
106. ვეშაგურნი
107. ზემო ამირნი
108. მეჯილაურნი
109. სოდევი
110. უკანამხარი
111. ჩადისციხე
112. ჩირიკი
113. ცხვედიეთი
114. წინამხარი

115. წითორი
116. ჭიკანი
117. ხევშა
118. ქვეშეთი
119. არახვეთი
120. არლუნი
121. ბედიან-ბეგონი
122. ბედონი
123. გვიდაქე
124. გოგნაური
125. ვემათხევი
126. ზაქატკარი
127. ზემო მელეთა
128. იუხო
129. კაიშაურნი
130. ლეკათხევი
131. მანისეური
132. მეღურე
133. ნადიბანი
134. ნაღვარევი
135. ჟოჟონი
136. სალაჯერი
137. სეთურნი
138. სეფე
139. სვიანა-როსტიანი
140. სონჩო
141. უშარნი
142. ქვემო მელეთა
143. ქოროღო
144. ყველანი
145. შარმიანი
146. ჩიხელნი
147. ციხიანი
148. წკერე
149. ხარხეთი
150. ჯალიმიანი
151. შატილი
152. ანდაქი
153. არტოდი
154. აჯრილი
155. გიორგიწმინდა
156. კიხტანი
157. მუცო
158. ხახაბო
159. ხონისჭალა
160. ჭართალი
161. ბუჩაანი
162. გეგუდა
163. დოლასქედი
164. ვაშლობი
165. ზენეუბანი
166. მენესო
167. საქერე
168. ხონდა
169. ჩიტაურები
170. ჭალისოფელი
171. ჯუღისი
172. ხეობა
173. ახალციხე
174. დოლიშა
175. ვარცლა
176. მიგრიაულები
177. საცხვატლო
178. ფიჭვიანი

179. წითელი კლდე
180. წინკობანი
181. ჭენჭკალდე
182. ხოტიანთკარი
183. თანდილაანთკარი
184. კადოეთი
185. პავლეური
186. უფურეთი
187. ფხუნდავი
188. ციხისპირი

"ახატანი", "გრემისხევი", "დავათი", "ზემო არანისი *(9.09.99 N2376)*

ველთაურთკარი, ვეძათხევი, თანიაანთკარი, ილტოზა, ოძისი, საკრამული, შუახევი, ციხედავი, ჭილურტი, ჯავახიანთკარი *(08.05. 2003 N 2268)*

თეთრიწყაროს რაიონი _ 1 300 მეტრის ზევით

1. არხოტი
2. ახალსოფელი
3. გოხნარი
4. ზირბითი
5. ივანოვკა
6. კლდეისი
7. კოდისწყარო
8. ნაპილნარი
9. ნამტვრიანა
10. პალიანა
11. საფუძრები
12. შეხვეტილა
13. მოხისი
14. უგუდეთი
15. ჯვრისხევი

ახალი ზირბითი, დიდგორი, დიდი თონეთი, დიდი ირაგა, დრე, ვეზიროვკა, ლასტიციხე, მეწქალისი, მესამე შამთა, ნავთიანი, ნაოსარი, ორბეთი, პანტიანი, პატარა თონეთი, პატარა ირაგა, შამთა, ჭივჭავი, ჭინჭრიანი, ჯიგრაშენი. (*08.05. 2003 N 2268)*

თელავის რაიონი _ 1 500 მეტრის ზევით

1. თეთრიწყლები
2. კობიძე
3. ნადიკვარი
4. პანტიანი
5. სეროდანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თერჯოლის რაიონი _ 800 მეტრის ზევით

1. გოგნი
2. თუზი

თიანეთის რაიონი _ 1 000 მეტრის ზევით

1. ალახანი
2. ალოტი
3. ახალსოფელი
4. ბოდახევა
5. ბოკონი
6. ბოჭორმა
7. დუბაურები
8. ევჟენტი
9. ვერხვედი
10. ზანამხარი
11. ზარიძეები
12. ზაქათკარი
13. ზემოარტანი
14. თეთრახევა
15. თიანეთი
    თრანი *(25.12.2002 N1865)*
16. იარაჯულები
17. ივლიანთგორა
    კვირისხევი
    (25.12.2002 N1865)
18. კვერნაულა
19. ლელოვანი
20. ლიში
21. მამადაანები
22. ჟებოტა
23. საკრეჭიო
24. სახევი
25. საჭურე
26. სიმონიანთხევი
27. სხლოვანი
28. ტეგერაანები
    ტოლიანთსოფელი
    (25.12.2002 N1865)
29. ტუშურები
30. ფიჭვიანი
31. ქვემო არტანი
32. ქვემო ნაქალაქარი
33. ქუშხევი
34. ჩაბანო
35. ჩექურაანთგორი
36. ძირხვნიანი
37. წიკვლიანთკარი
38. ჭიათურა
39. ჭურჭულაურები
40. ხაიშო
41. ხოფცა
    ღულელები
    (25.12.2002 N1865)
42. ჯიჯეთი

თიანეთის რაიონის სოფლების ჩამონათვალს დაემატოს შემდეგი სოფლები: "ბეწენწური", "ბალებისხევი", "ბადაანი", "გუდანელები", "გოჯიაანები", "გორანა", "დულუზაურები",

"დევენაანთხევი", "დორეულები", "ვეძათხევი", "ზემო ნაქალაქარი", "ზემო კვერნაული", "ზურაბები", "თეგერაანები", "თოლენჯი", "კახოიანები", "კომუნა", "მელიასხევი", "მგელიაანები", "მაგრანეთი", "ნადოკრა", "ომარაულები", "ორხევი", "საჯინიბო", "საყდრიონი", "სიონთგორი", "სიონი". "წყაროთუბანი" "ხადოელები" "ხევსურთსოფელი" *(25.12.2002 N1865)*

კასპის რაიონი - 1300 მეტრის ზევით

1. გარგალი
2. ზემო გოსტიბე
3. ქვემო გოსტიბე
4. ცხავერი

ლენტეხის რაიონი _ 1 000 მეტრის ზევით

1. ახალშენი
2. ბაბილი
3. ბავარი
4. ბენიერი
5. ბულეში
6. გვიბრალა
7. გულიდა
8. დურაში
9. ზესხო
10. თეკალი
11. კახურა
12. ლუჯი
13. ლამფალაში
14. ლასკადურა
15. ლაღარვაში
16. ლეკოსანდი
17. ლემზაგორი
18. ლესემა
19. ლეუშერი
20. ლექსურა
21. მაზაში
22. მამი
23. მანანაური
24. მარგვიში
25. მაღომარი
26. მაცხვარლამზეური
27. მახაში
28. მეზეცი
29. მელე
30. მელურა
31. მუწდი
32. ნანარი
33. ნაცული
34. ჟახუნდერი
35. რცხმელური
36. სასაში
37. საყდარი
38. ტვიბი

39. ფანაგა
40. ფაყი
41. ღობი
42. ყარიში
43. ყვედრეში
44. ყორულდაში
45. შკედი
46. შტვილი
47. ჩიხარეში
48. ჩუკული
49. ცახაში
50. ცანა
51. ცხუმალდი
52. წიფლაკაკია
53. ჭველიერი
54. ჭველფი
55. ხელედი
56. ხერია
57. ხოფური

მარტვილის რაიონი _ 1 000 მეტრის ზევით

ლეზარდე

მესტიის რაიონი _ 1 000 მეტრის ზევით

1. აგრაი
2. ადიში
3. არცხელი
4. ბაგვდანარი
5. ბარში
6. ბარჯაში
7. გვალდერი
8. ბოგრეში
9. სგურიში
10. დავბერი
11. დევრა
12. დიზი
13. დოლასვიფი
14. დოლი
15. ვიჩნაში
16. ზაგარი
17. ზარდლაში
18. ზეგანი
19. ზედა ვედი
20. ზედა ლუჰა
21. ზედა წირმინდი
22. თავრალი
23. თოთანი
24. იელი
25. იენაში
26. ისკარი
27. იდლიანი
28. იფარი
29. იფრარი
30. იფხი

31. კაერი
32. კალაში
33. კაცხი
34. კვანჭიანარი
35. კიჩხულდაში
36. ლაბსყალდი
37. ლადრერი
38. ლალხორალი
39. ლაჰილი
40. ლამხერი
41. ლარილარი
42. ლასკრალი
43. ლაყვრი
44. ლაშთხვერი
45. ლაშხრერი
46. ლახამი
47. ლახამულა
48. ლახანი
49. ლახირი
50. ლებურცხილა
51. ლელბაგი
52. ლეზგარა
53. ლეწფერი
54. ლემსია
55. ლეშუკვი
56. ლახუშდი
57. ლუხი
58. მაგარდელი
59. მაზერი
60. მაცხვარიში
61. მაჯვდიერი
62. მურყმელი
63. მურშკელი
64. მუხაშურა
65. ნაკი
66. ნაკიფარი
67. ნანყვან ზაგრალი
68. ლანხვრი
69. ნარქორვალი
70. ნაშთქოლი
71. ნესგუნი
72. ნოდაში
73. ჟაბეში
74. ჟამუში
75. ჟიბიანი
76. სვიფი
77. სიდიანარი
78. სკორმეთი
79. სოლი
80. ტვეზიში
81. ტვიბერი
82. ტობარი
83. უსგვირი
84. უღვალი
85. უშხვანარი
86. ფალედი
87. ფარი
88. ფხუტრერი
89. ქურაში
90. ქართვანი
91. ქაშვეთი
92. ქვედა ვედი
93. ქვედა იფარი
94. ქვედა ლუჭა

ეროვნული ბიბლიოთეკა

95. ქვემო მარღი
96. ქვედა წირმინდი
97. ქედანი
98. ღეშდერი
99. ღვეზალდი
100. ღვეზრა
101. ყაზახი
102. ყარი
103. ყვანა
104. შდიღირი
105. შყალერი
106. ჩუბარი
107. ჩვაბიანი
108. ჩაჟაში
109. ჩვიბიანი
110. ცალანარი
111. ცალდაში
112. ცალერი
113. ციცხვარი
114. წვირმი
115. ჭელირი
116. ჭერი
117. ჭკიდანარი
118. ჭოლაში
119. ხაიში
120. ხალდე
121. ხე
122. ხელრა
123. ხერხვაში
124. ხოსრარი
125. ჯორკვალი
126. ჯოხულდი
127. ჰამაში-თოთოლეში
128. ჰეზუდი

დაბა მესტია“, ”ზემო მარღი“, ”ლალხორი“, ”ლალტენი“, ”ლეკულმახი“, ”სვიფი“, ”ტიტა“, ”ჰეშკილი“

მცხეთის რაიონი _ 800 მეტრის ზევით

კევლიანი

ნინოწმინდის რაიონი _ 1 500 მეტრის ზევით

1. ასფარა
2. ახალი ხულგუმო
3. განძანი
4. გორელოვკა
5. დიდი არაქალი
6. დიდი გონდრიო
7. დიდი ხანჩალი
8. დილითი
9. ეფრემოვკა
10. ეშტია
11. თორია
12. კათნატუ
13. კალინინო
14. მამწვარა

15. ნინოწმინდა
16. ორლოვკა
17. ოროჯოლარი
18. პატარა არაქალი
19. პატარა გონდრიო
20. პატარა ხანჩალი
21. ჟდანოვი
22. როდიონოვკა (ფარავანი)
23. საღამო
24. სათხე
25. სპასოვკა
26. ტამზოვკა
27. უჯმანა
28. ფოკა
29. ყაურმა
30. ყულალისი
31. ხოჯაბეგი
32. ჯიგრაშენი

ოზურგეთის რაიონი _ 800 მეტრის ზევით

1. ასკანა
2. მთისპირი
3. ჯუმათი
4. ვაკიჯვარი

შემოქმედის თემის სოფელი გომი *(25.12.2002 N1865)*

ონის რაიონი _ 1 000 მეტრის ზევით

1. ანკარა
2. ბაჯიხევი
3. ბორცო
4. ბოყვა
5. გადამში
6. გლოლა
7. გონა
8. გომი
9. ზვარეთი
10. ზემო ბარი
11. ირი
12. კვაშხიეთი
13. კომანდელი
14. ლაგვანთა
15. ლაჩთა
16. მაჟიეთი
17. მრავალძალი
18. ნაკიეთი
19. ნიგავზები
20. ონი
21. ონჭევი
22. პიპილეთი
23. ჟაშქვა
24. საკაო
25. სამთისი
26. სევა

27. სომიწო
28. სორგითი
29. სორი
30. სხანარი
31. სხიერი
32. უწერა
33. უშოლთა
34. ფარავნეთი
35. ფარახეთი
36. ფსორი
37. ქვედი
38. ქვედრულა
39. ქვემო ბარი
40. ქორთა
41. ღარი
42. ღები
43. ღუნდა
44. შარდომეთი
45. შეუბანი
46. შოვი
47. შრომის უბანი
48. შქმერი
49. ჩორდი
50. ცხმორი
51. წედისი
52. წმენდაური
53. წოლა
54. ჭალა
55. ჭვეზარი
56. ჭიბრევი
57. ჭიორა
58. ხიდეშლები
59. ხარისთვალი
60. ხეითი
61. ხირხონისი
62. ხურუთი
63. ჯინჭვისი

საგარეჯოს რაიონი _ 1 000 მეტრის ზევით

1. ასკილაური
2. გომბორი
3. გორანა
4. ვაშლიანი
5. ვერონა
6. იკვლივგორანა
7. კოჭბაანი
8. რუხიანი

სიღნაღის რაიონი

1. ზემო მაღარო
2. ნუკრიანი. (*08.05. 2003 N 2268)*

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჩხერის რაიონი _ 1 000 მეტრის ზევით

1. ზედა ჭალოვანი
2. თედელეთი
3. მოხვა
4. სინაგური
5. ქვედა ჭალოვანი
6. ცხომარეთი
7. ხახიეთი
8. ჯალაბეთი

ბაჯითი, დურევი, ეთო-ეხვევი, კორბოული, ლიჩი, მოძვი, ნიგვზარა, პერევი, სარეკი, სპეთი, შომახეთი, ცხამი, ხვანი, ჯალაურთა. *(25.12.2002 N1865)*

ბახიოთი, ჭალა (ზედა). (*08.05. 2003 N 2268)*

ტყიბულის რაიონი _ 800 მეტრის ზევით

1. ახალსოფელი
2. ბეუთი
3. გურნა
4. დაბაძველი
5. კისორეთი
6. მუხურა
7. ოჯოლა
8. საწირე
9. ქალაქი ტყიბული
10. ჩოჩხეთი
11. ცუცხვათი
12. ძიროვანი
13. ძმუსი
14. წყნორი
15. ჯვარისა

ქარელის რაიონი _ 1 000 მეტრის ზევით

1. ველისციხე
2. ორბელი

ყაზბეგის რაიონი _ 1 000 მეტრის ზევით

1. აბანო
2. ალმასიანი
3. ართხმო
4. არშა
5. აჩხოტი
6. ახალციხე
7. ბურმასიგი
8. გაიბოტენი
9. განისი
10. გარბანი

11. გერგეთი
12. გველეთი
13. გიმარა
14. გორისციხე
15. გუდაური
16. დესი
17. ერეთო
18. ვარდისუბანი
19. ზემო ოქროყანა
20. თოთი
21. კართსოფელი
22. კარკუჩა
23. კეტრისი
24. კობი
25. მნა
26. ნოგყაუ
27. რესი
28. საყურიანი
29. სიონი
30. სნო
31. სუატისი
32. ტეფი
33. ტყარშეტი
34. უხათი
35. ფალაგყაუ
36. ფანშეტი
37. ფხელშე
38. ქვემო ოქროყანა
39. ქოსელი
40. ქუმლისციხე
41. ყაზბეგი
42. ყანობი
43. ყართყუა
44. შევარდენი
45. ცდო
46. ცოცოლათა
47. ხურთისი
48. ჯუთა

ყორნისის რაიონი _ 1 000 მეტრის ზევით

1. ბეყმარი
2. მუგუთი
3. ყორნისი
4. ჭაჭინაგი

ჩოხატაურის რაიონი 1 000 მეტრის ზევით

1. ზოტი
2. კურორტი ბახმარო
3. ნაბეღლავი
4. ქვაბღა
5. ჩხაკოური
6. დიდივანი
7. ზემოსურები
8. შუასურები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცაგერის რაიონი _ 1 000 მეტრის ზევით

1. ალოანა
2. აღვი
3. ბარდნალა
4. გაგულეჩი
5. გვესო
6. დეხვირი
7. ზარაგულა
8. ზოგიში
9. ზუბი
10. თაბორი
11. ისუნდერი
12. კენაში
13. კურცობი
14. ლაილაში
15. ლარჩვალი
16. ლასურიაში
17. ლასხანა
18. ლაშისჭალის დასახლება
19. ლაცორია
20. ლაჭეფი
21. ლახეფა
22. ლაჯანა
23. ლესინდი
24. ლეშკედა
25. ლუხვანო
26. მახაში
27. მახურა
28. ნაკურალეში
29. ნასპერი
30. ორბელი
31. ორხევი
32. ოყურეში
33. ოფიტარა
34. საირმე
35. სანორჩი
36. სპათაგორი
37. სურმუში
38. ტვიში
39. უსახელო
40. უცხერი
41. ქვედა ცაგერი
42. ქორენიში
43. ქულბაქი
44. ღვირიში
45. ღუ
46. ჩხუტელი
47. ჩქუმი
48. ცაგერი
49. ცხუკურეში
50. წილამიერი
51. წიფერიჩი
52. წალისთავი
53. ხოჯი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხინვალის რაიონი _ 1 000 მეტრის ზევით

1. ანძისი
2. არვინარეთი
3. არდისი
4. აწრისხევი
5. ახალისი
6. ბელოთი
7. ბერიჯვარი
8. ბენდერი
9. ბრილო
10. გარი
11. გერი
12. გუდუსი
13. გუჩმახთა
14. დამპალეთი
15. დვალიანთკარი
16. ელტურა
17. ვანათი
18. ზალდა
19. ზემო ბიყარი
20. ზემო გორეთი
21. ზემო ვილდა
22. ზემო ზონკარი
23. ზემო მახისი
24. თელაგინა
25. ინაური
26. ისროლისხევი
27. კეხვი
28. კლარისი
29. მარალეთი
30. მარმაზეთი
31. მეზრუნე
32. ნოგყაუ
33. ორტევი
34. რუსთავი
35. საცხენეთი
36. სვერი
37. ქემერეტო
38. ქვემო ბიყარი
39. ქვემო ზონკარი
40. ქვემო ვილდა
41. ღორტევი
42. შელეური
43. შუა მახისი
44. ძარწემი
45. წიარა
46. წიფორი
47. წყალწმინდა
48. ჭალისუბანი
49. ხადურიანთკარი
50. ხოშური
51. ჯოჯიანი

დისევი, ერედვი, ზემო და ქვემო აჩაბეთი, თამარაშენი, ფრისი, ქსუისი, ქურთა, ხეითი. *(25.12.2002 N1865)*

ბერულა *(14.12.2007 N 5608)*

ეროვნული ბიბლიოთეკა

წალკის რაიონი _ 1 500 მეტრის ზევით

1. ავრალნო
2. აიაზმი
3. არჯევან-სარვანი
4. ახალიკი
5. აშკალა
6. ბაშქოი
7. ბეშთაშენი
8. ბურნაშეთი
9. გედაქლარი
10. გუნიაკალა
11. გუმბათი
12. დარაქოი
13. დაშბაში
14. ედიქილისა
15. ზემო აშკალა
16. თეჯისი
17. თიქილისა
18. თრიალეთი
19. იმერა
20. კაბული
21. კუშჩი
22. ლივადი
23. მინხაზქედი
24. ნაოსარი
25. ნარდევანი
26. ობნი
27. ოლიანგი
28. რეხა
29. სანთა
30. ტაბახარაბა
31. ტარსონი
32. ქარიაქი
33. ქვემო ხარაბა
34. ყარაკომი
35. ყიზილქილისა
36. შიპიკი
37. შუა ხარაბა
38. ჩაპაევკა
39. ჩივთქილისა
40. ჩოლმანი
41. წალკა
42. წინწყარო
43. ხადიკი
44. ხანდო
45. ხაჩკოი
46. ჯინისი

წყალტუბო _ 1 000 მეტრის ზევით

1. ბენთქოლა
2. დერჩი
3. დღნორისა
4. ზედა ონჭიეში
5. მექვენა
6. საჩხუერი
7. ჭაშლეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიათურა _ 800 მეტრის ზევით

1. გეზრული
2. მორგვეთი
3. ეწერი
4. ვანი
5. ვაჭევი
6. ზედა ბერეთისა
7. ზედა ჭალოვანი
8. ზოდი
9. ითხვისი
10. კაცხი
11. მანდაეთი
12. მერევი
13. მეჩხეთური
14. ნიგოზეთი
15. პერევისა
16. რგანი
17. რცხილთი
18. სარქველიეთუბანი
19. სვერი
20. ტყემლოვანი
21. უსახელო
22. ქბილარი
23. ქვაციხე
24. ქვედა ბერეთისა
25. ქვედა ჭალოვანი
26. ჩხირაული
27. წირქვალი
28. ხვაშითი
29. ხრეითი

ბიღა", "ბუნიკაური", "დარკვეთი", "ზედუბანი", "ზედარგანი", "თაბაგრები", "თვალუეთი", "კალაური", "კვახაჯელეთი", "მელუშეეთი", "ნავარძეთი", "სალიეთი", "სკინდორი", "ხალიფაური", "ცხრუკვეთი", "ღვითორი", "წასრი", "წყალშავი", "შუქრუთი", "ჭილოვანი", "ჯოლხეეთი" "ბჟინევი", "გუდაერი" *(25.12.2002 N1865)*

ხარაგაულის რაიონი

1. გოლათუბანი
2. ზვარე
3. ნადაბური
4. ნუნისი
5. ფონა
6. წიფა. *(08.05. 2003 N 2268)*

ხონის რაიონი _ 800 მეტრის ზევით

1.. გორდი
2. კინჩხა
3. ძეძილეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯავის რაიონი _ 1 000 მეტრის ზევით

1. აბანო
2. არსი
3. ახსარგინა
4. ბათეთა
5. ბახუტა
6. ბაჯიგათა
7. ბორგნისი
8. ბრითათა
9. ბუზალა
10. გულდართა
11. გულიანთა
12. დიდი გუფთა
13. დოდოთი
14. დოლოთი
15. დუოდონასტო
16. ედისა
17. ელბაქითა
18. ელყანთა
19. ერწო
20. ვეზური
21. ზამთარეთი
22. ზემო კორსევი
23. ზემო კოშკა
24. ზემო როკა
25. ზემო ხვწე
26. ზემო ჯომაღა
27. ზღუბირი
28. თამაგინი
29. თლია
30. კაბუზთა
31. კვაისი
32. კიროვი
33. კობეთი
34. კოდიბინა
35. კროზა
36. კულუხთა
37. ლეთი
38. ლიწი
39. მართგაჯინა
40. მასიგუათი
41. მაღი
42. მზივი
43. მორგო
44. მსხლები
45. ნადარბაზევი
46. ნაზიგინა
47. ნაკრება
48. ნინია
49. ნოგყაუ
50. პატარა გუფთა
51. რარო
52. როკათა
53. საგილზაზი
54. საკირე
55. სამხრეთ ჩიფრანი
56. სარიტანა
57. სიხთა
58. სოხთა
59. სტირმარგისი
60. სტრიფაზი

ეროვნული ბიბლიოთეკა

61. ტონტობეთი
62. უგარდანთა
63. უჩვარისი
64. ფახრაღი
65. ქასაგინი
66. ქეშელთა
67. ქვემო ბაქართა
68. ქვემო ერმანი
69. ქვემო კოზი
70. ქვემო კორსევი
71. ქვემო კოშკა
72. ქვემო მაჩხარა
73. ქვემო როკა
74. ქვემო სბა
75. ქვემო ჯომაღა
76. ქოთანთო
77. ყადისარი
78. ყევსელთა
79. ყემულთა
80. ყოლა
81. შებმული
82. შეუბანი
83. შიბოითა
84. შუა ერმანი
85. შუა კოზი
86. შუა როკა
87. შუა სბა
88. შუაჭალა
89. ჩაგათა
90. ჩასავალი
91. ჩეთახი
92. ჩელიათა
93. ჩიმახი
94. ჩრდილო ჩოფრანი
95. ცადიყაუ
96. წამადი
97. წარითა
98. წონა
99. წრუ
100. ხაზელეთი
101. ხალივდონი
102. ხამფალგომი
103. ხარდისარი
104. ხაულასტიყაუ
105. ხიხათა
106. ხოძი
107. ხუგათა
108. ხუმსართა
109. ჯავა

(გამოქვეყნებულია
საქართველოს საკანონმდებლო მაცნე
1999 წელი – N 28(35))

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კანონი

საქართველოს ტყის კოდექსი

ტყე ბუნებრივი გარემოს გლობალური ეკოლოგიური მნიშვნელობის უმთავრესი ელემენტია. მას განსაკუთრებული ადგილი უკავია ბიოსფეროს სტაბილურობის რეგულირებაში, აგრეთვე სახელმწიფოსა და მისი მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველყოფის საქმეში.

კარი I. ზოგადი დებულებანი
თავი I . ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. საქართველოს ტყის კოდექსის რეგულირების საგანი

საქართველოს ტყის კოდექსი აწესრიგებს საქართველოს ტყის ფონდის და მისი რესურსების მოვლასთან, დაცვასთან, აღდგენასა და გამოყენებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს.

მუხლი 2. საქართველოს კანონმდებლობა საქართველოს ტყის ფონდის მოვლის, დაცვის, აღდგენისა და გამოყენების სფეროში

საქართველოს კანონმდებლობა საქართველოს ტყის ფონდის მოვლის, დაცვის, აღდგენისა და გამოყენების სფეროში შედგება საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, "გარემოს დაცვის შესახებ", "დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ", "ცხოველთა სამყაროს შესახებ", "წყლის შესახებ" საქართველოს კანონების, მიწის კანონმდებლობის, ამ კოდექსის და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტებისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 3. საქართველოს ტყის კოდექსის მიზანი

საქართველოს ტყის კოდექსის მიზანია:

ა) ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვა და კანონიერების განმტკიცება სატყეო ურთიერთობების სფეროში;

ბ) ტყეების მოვლა, დაცვა და აღდგენა კლიმატური, წყალმარეგულირებელი, დაცვითი, კულტურული, გამაჯანსაღებელი და სხვა სასარგებლო ბუნებრივი თვისებების შენარჩუნებისა და გაუმჯობესებისათვის;

გ) თვითმყოფადი ბუნებრივი და კულტურული გარემოსა და მისი ცალკეული კომპონენტების, მათ შორის, მცენარეული საფრისა და ცხოველთა სამყაროს, ბიომრავალფეროვნების, ლანდშაფტის, ტყეში არსებული კულტურისა და ბუნების ძეგლების, მცენარეთა იშვიათი, გადაშენების პირას მყოფი სახეობებისა და სხვათა მომავალი თაობებისათვის შენარჩუნება და დაცვა, მათი ჰარმონიული ურთიერთგავლენის რეგულირება;

დ) ტყითმოსარგებლეთა უფლებებისა და მოვალეობების დადგენა სატყეო ურთიერთობების სფეროში;

ე) ტყის რესურსების მეცნიერულად დასაბუთებული შესაძლებლობების საფუძველზე მათი მიზნობრივი, კომპლექსური და რაციონალური გამოყენებით საქართველოსა და მისი მოსახლეობის ეკოლოგიური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება;

ვ) ტყის მეურნეობის წარმართვის ძირითადი პრინციპების განსაზღვრა.

მუხლი 4. საქართველოს ტყეების დაცვის, მდგრადი განვითარებისა და მართვის პრინციპები

საქართველოს ტყეების დაცვის, მდგრადი განვი-

თარებისა და მართვის პრინციპები ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას, "მდგრადი განვითარების სატყეო პრინციპების შესახებ" გაერ თიანებული ერების ორგანიზაციის 1992 წლის რიო-დე-ჟანეიროს გარემოსა და განვითარების საერთაშორისო კონფერენციის დეკლარაციას და "გარემოს დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლით განსაზღვრულ პრინციპებს.

მუხლი 5. კოდექსში გამოყენებული ტერმინების განმარტება

ამ კოდექსში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ტყე - გეოგრაფიული ლანდშაფტის ნაწილი, რომელიც მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით ტყისთვის მიკუთვნებული ხეების, მათი გავრცელების არეალში მოქცეული მიწის, აგრეთვე ბუჩქების, ბალახების, ცხოველებისა და სხვათა ერთობლიობას, რომლებიც თავიანთი განვითარების პროცესში ურთიერთდაკავშირებულნი არიან ბიოლოგიურად და გავლენას ახდენენ ერთმანეთსა და გარემოზე;

ბ) სახელმწიფო ტყე - სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ტყე;

გ) საქართველოს ტყის ფონდი - სახელმწიფო ტყის ფონდისა და საქართველოში საკუთრების სხვა ფორმებით არსებული ტყეების და მათი რესურსების ერთობლიობა;

დ) სახელმწიფო ტყის ფონდი _ საქართველოს სახელმწიფო ტყის, საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მიკუთვნებული მიწებისა და მისი რესურსების ერთობლიობა;

ე) სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდი - სახელმწიფო ტყის ფონდი, სახელმწიფო ტყის ფონდის დაცული ტერიტორიების გარდა;

ვ) ადგილობრივი ტყის ფონდი - სახელმწიფო სამეურ-

ნეო ტყის ფონდის ნაწილი, რომელთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს ამ კოდექსისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად არეგულირებენ ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები;

ზ) ხის მეორეხარისხოვანი მასალები - მერქნიანი მცენარეების ფესვები, ქერქი, ლაფანი, ნეკერი, ძირკვი, ფიჩხი, თესლი, ტოტები;

თ) სატყეო ურთიერთობები – სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების განხორციელებისა და ტყითსარგებლობის დროს წარმოშობილი ურთიერთობები;

ი) ტყითმოსარგებლე - საქართველოს კანონმდებლობით უფლებამოსილი პირი, რომელიც ახორციელებს ტყითსარგებლობას;

კ) ტყეთმოწყობა - სახელმწიფო ტყის ფონდის აღრიცხვის სისტემის შემადგენელი ნაწილი;

ლ) ტყ ეკაფი - საქართველოს ტყის ფონდის ტყის განსაზღვრული უბანი, რომელზედაც განსაზღვრულია მოსაჭრელი ხეების ოდენობა და მონიშნულია მოსაჭრელი ხეები;

მ) მოვლითი ჭრა - სატყეო-სამეურნეო ღონისძიება, რომელიც ხორციელდება ტყის სახეობრივი შემადგენლობის, სტრუქტურისა და სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით;

ნ) ხის უკანონო ჭრა - ხეების ნებართვის გარეშე მოჭრა;

ო) კორომი - მომიჯნავე ტერიტორიისგან შემადგენლობითა და სტრუქტურით მკვეთრად განსხვავებული ტყის ნაწილი;

პ) ტყის კულტურები - თესვით ან დარგვით გაშენებული ტყის მერქნიან სახეობათა ნარგავები;

ჟ) ვარჯშეუკვრელი კულტურები - ტყის აღდგენის მიზნით გაშენებული ტყის კულტურები ვარჯების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურთიერთგადაფარვამდე;

რ) დაცვითი ნარგაობა - ნიადაგის დაცვის მიზნით გაშენებული მერქნიან მცენარეთა ნარგავები;

ს) სატყეო უბანი - სატყეო-სამეურნეო ღონისძიებათა ოპტიმალურად ორგანიზების მიზნით გამოყოფილი სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორია;

ტ) ხე-ტყის დამზადება - ხეების მოჭრა, სამანქანო გზამდე მორთრევა და დახარისხება;

უ) მიწის გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომისია - "საქართველოს მიწის გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომისიის შესახებ" საქართველოს პრეზიდენ-ტის 1996 წლის 6 თებერვლის N160 ბრძანებულების საფუძველზე შექმნილი მიწის გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომისია;

ფ) ტყის სუბალპური ზოლი - ტყის სუბალპური ზონის მიმდებარე 300 მეტრი სიგანის ტყის გავრცელების არეალი;

ქ) ჭალის ტყე – ვაკე რელიეფზე მდინარეების აუზში არსებული ტყეები;

ღ) ქვეტყე – მერქნიან და ბუჩქოვან მცენარეთა სახეობების ერთობლიობა, რომლებიც არ ქმნიან და არსებულ პირობებში ვერ შექმნიან კორომის ზედა საბურველს;

ყ) სერტიფიცირება – კომპეტენტური ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ ტყის ეკოლოგიური მდგომარე-ობის, მისი რესურსების, ტყის დაცვის ღონისძიებების და სხვათა საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის აღიარება.

თავი II. სატყეო ურთიერთობების ობიექტები და სუბიექტები

მუხლი 6. სატყეო ურთიერთობების ობიექტები სატყეო ურთიერთობების ობიექტებია საქართველოს ტყის ფონდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მისი რესურსები.

მუხლი 7. სახელმწიფო, როგორც სატყეო ურთიერთობების სუბიექტი

1. საქართველოს ტყის ფონდთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებში საქარ თველოს კანონმ დებლობის შესაბამისად სახელმწიფოს სახელით მონაწილეობენ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს დაცული ტერიტორიების, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი და მათი ტერიტორიული ორგანოები, აგრეთვე ა დგილობრივი თვითმმა რთველობისა და მმართველობის ორგანოები.

2. სახელმწიფო ტყის ფონდთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებში სახელმწიფოს სახელით მონაწილე ორგანოების უფლებამოსილება განისაზღვრება ამ კოდექსით და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით.

მუხლი 8. სატყეო ურთიერთობების სხვა სუბიექტები

სატყეო ურთიერთობების სხვა სუბიექტები არიან საქართველოს ტყის ფონდის მესაკუთრე, საქართველოს საპატრიარქო და ის ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც სარგებლობენ საქართველოს ტყის ფონდითა და მისი რესურსებით ან ახორციელებენ სატყეო-სამეურნეო ღონისძიებებს.

თავი III. საქართველოს ტყეებზე საკუთრების უფლება

მუხლი 9. საქართველოს ტყეებზე საკუთრების უფლება

1. საქართველოს ტყის ფონ დის მესაკუთრ ე შ ეიძლება იყოს სახელმწიფო, საქართველოს საპატრიარქო, აგრეთვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირი.

2. საქართველოს სახელმწიფო ტყის ფონდი არის სახელმწიფოს საკუთრება და მისი განსახელმწიფოებრივების წესი დგინდება „საქართველოს ტყეების განსახელმწიფოებრივების შესახებ“ საქართველოს კანონით.

3. სახელმწიფო ტყის ფონდი და მისი რესურსები (საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კერძო საკუთრებაში გადაცემული ტყეების გარდა) გაიცემა ფლობისა და სარგებლობისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 10. ტყის მესაკუთრე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების ზოგადი უფლება-მოვალეობები

1. ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების, როგორც ტყის მესაკუთრეების, ზოგადი უფლება-მოვალეობებია:

ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ისარგებლონ მათ საკუთრებაში არსებული ტყით;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აღკვეთონ მათ საკუთრებაში არსებული ტყის ან მისი ნაწილის უკანონო მფლობელობა ან გამოყენება და ზიანის მიყენების შემთხვევაში მოითხოვონ მისი ანაზღაურება;

გ) სატყეო მეურნეობის წარმოებასთან დაკავშირებით იყოლიონ სპეციალისტები, კონსულტანტები და სხვა პერსონალი, მათ შორის, ტყის დაცვის მუშაკები იმ რაოდენობით, რომლის მინიმუმსაც ადგენს საქართველოს კანონმდებლობა;

დ) მიიღონ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ზომები მავნებლ ების, დაავადებების, ხანძრებისა და ტყეზე ყველა სხვა მავნე გავლენის მქონე ფაქტორების აღკვეთის ან ლიკვიდაციის მიზნით;

ე) განკარგონ მათ საკუთრებაში არსებული ტყე ამ კოდექსითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ვ) უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოებს დადგენილი წესით წარუდგინონ მათ საკუთრებაში არსებული ტყეების საერთო მდგომარეობის ამსახველი და სხვა აუცილებელი სტატისტიკური მონაცემები;

ზ) უზრუნველყონ ტყეებში რაციონალური მეურნეობის წარმოება;

თ) უზრუნველყონ სახელმწიფოს მიერ შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილ მუშაკთა მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად აუცილებელი პირობები, წარუდგინონ მათ სატყეო მეურნეობის შესახებ ყველა საჭირო დოკუმენტი და შეასრულონ მათი კანონიერი მითითებები და მოთხოვნები.

2. საქართველოს საპატრიარქოს საკუთრებაში არსებული ტყის ფონდის ტერიტორიაზე საქართველოს საპატრიარქოს უფლებამოსილება განისაზღვრება ამ კოდექსის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფოსა და საქართველოს საპატრიარქოს შორის დადებული ხელშეკრულებით.

კარი II .სახელმწიფო ტყის ფონდის მართვა

თავი IV . სახელმწიფო ტყის ფონდის მართვის ზოგადი საფუძვლები

მუხლი 11. საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა კომპეტენცია სახელმწიფო ტყის ფონდის მართვის სფეროში

სახელმწიფო ტყის ფონდის მართვის სფეროში საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა კომპეტენციას განეკუთვნება:

ა) სახელმწიფო ტყის ფონდის მართვის სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრა და განხორციელება;

ბ) სახელმწიფო ტყის ფონდის მართვის სფეროში საქმიანობის კოორდინირება;

გ) საქართველოს ტყეების მოვლის, დაცვის, აღდგენისა და ტყის რესურსებით სარგებლობის ორგანიზება და რეგულირება, სახელმწიფო კონტროლი და მის განსახორციელებლად სპეციალური უფლებამოსილების მინიჭება, ტყის რესურსებით სარგებლობის სანებართვო დოკუმენტების გაცემის წესის დადგენა;

დ) ტყეების მოვლის, დაცვისა და აღდგენის, აგრეთვე ტყის რესურსების საქართველოში შემოტანისა და საქართველოდან გატანის წესების დადგენა;

ე) სახელმწიფო ტყის ფონდის მართვის სფეროში ერთიანი სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკის გატარება, ნორმატიული და მეთოდოლოგიური დოკუმენტაციის შემუშავება და დამტკიცება, ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ორგანიზება და დაფინანსება;

ვ) ეკოლოგიური კატასტროფებით, ეპიდემიებით და სხვა მიზეზებით დაზიანებული ტყის აღდგენა;

ზ) საქართველოს წითელი ნუსხის წარმოება;

თ) სახელმწიფო ტყის ფონდის აღრიცხვის სისტემის ორგანიზება, ტყის მონიტორინგისა და სახელმწიფო ტყის ფონდის კადასტრის წარმოების წესის დადგენა;

ი) ტყეების მოვლის, დაცვის, აღდგენისა და ტყის რესურსებით სარგებლობის სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების დადება;

კ) ტყეების დასაცავად ბიოლოგიური და ქიმიური საშუალებების გამოყენების კონტროლი;

ლ) ტყითსარგებლობის წესების დადგენა;

მ) ტყეების მოვლის, დაცვისა და აღდგენის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღონისძიებების დაფინანსება და ამ მიზნით გამოყოფილი თანხების ხარჯვის კონტროლი;

ნ) ტყითსარგებლობის უფლების შეზღუდვის, შეჩერებისა და შეწყვეტის წესების დადგენა.

მუხლი 12. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოთა კომპეტენცია სახელმწიფო ტყის ფონდის მართვის სფეროში

სახელმწიფო ტყის ფონდის მართვის სფეროში აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოთა კომპეტენციას განეკუთვნება:

ა) ტყეების მოვლის, დაცვის, აღდგენისა და ტყის რესურსებით სარგებლობის სახელმწიფო პროგრამების შემუშავებაში მონაწილეობა;

ბ) ტყეების მოვლის, დაცვის, აღდგენისა და ტყის რესურსებით სარგებლობის სფეროში საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის ორგანოებთან შეთანხმებით სახელმწიფო პროგრამის საფუძველზე ადგილობრივი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება;

გ) ტყეების მოვლის, დაცვისა და აღდგენის ღონისძიებების დაფინანსებაში მონაწილეობა და მათ მიერ გამოყოფილი თანხების ხარჯვის კონტროლი;

დ) ამ კოდექსით დადგენილი წესით ტყითსარგებლობის ლიცენზიის გაცემა და ხელშეკრულების დადება;

ე) საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი ორგანოებისთვის ტყითსარგებლობის შეზღუდვის, შეჩერების ან შეწყვეტის თაობაზე წინადადებების წარდგენა;

ვ) სტიქიური მოვლენების დროს საგანგებო ღონისძიებების განხორციელებაში მონაწილეობა;

ზ) სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების შეცვლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაობაზე უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოსათვის წინადადებების წარდგენა.

მუხლი 13. ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების კომპეტენცია ადგილობრივი ტყის ფონდის მართვის სფეროში

ადგილობრივი ტყის ფონდის მართვის სფეროში ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების კომპეტენციას განეკუთვნება:

ა) ტყეების მოვლის, დაცვის, აღდგენისა და ტყის ხანძრებთან ბრძოლის ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა;

ბ) უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოებთან შეთანხმებით ტყეების მოვლის, დაცვისა და აღდგენის ადგილობრივი პროგრამების შემუშავება და მათი განხორციელების ხელშეწყობა;

გ) ტყეების მოვლის, დაცვისა და აღდგენის სახელმწიფო პროგრამების დაფინანსებაში მონაწილეობა და მათ მიერ გამოყოფილი თანხების ხარჯვის კონტროლი;

დ) ადგილობრივი ტყის ფონდით სარგებლობის მიზნით ტყითსარგებლობის ბილეთის გაცემა;

ე) უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოებისთვის ტყითსარგებლობის შეზღუდვის, შეჩერების ან შეწყვეტის შესახებ წინადადებების წარდგენა;

ვ) სტიქიური მოვლენების დროს საგანგებო ღონისძიებების განხორციელებაში მონაწილეობა;

ზ) მოსახლეობის ეკოლოგიური განათლების უზრუნველყოფა;

თ) უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოებისთვის სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების საზღვრების შეცვლის შესახებ წინადადებების წარდგენა;

ი) საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული სხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფლებამოსი-ლებების განხორციელება.

თავი V. სახელმწიფო ტყის ფონდის ინსტიტუციური მართვა

მუხლი 14. სახელმწიფო ტყის ფონდის ინსტიტუციური მართვის მიხედვით დაყოფა

სახელმწიფო ტყის ფონდი ინსტიტუციური მართვის მიხედვით იყოფა:

ა) სახელმწიფო ტყის ფონდის დაცულ ტერიტორიებად, რომლებიც მოიცავს სახელმწიფო ტყის ფონდის ფარგლებში არსებულ და "დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრულ ტერიტორიებს;

ბ) სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდად, რომელიც მოიცავს ადგილობრივ ტყის ფონდსაც.

მუხლი 15. სახელმწიფო ტყის ფონდის დაცული ტერიტორიების მართვა

სახელმწიფო ტყის ფონდის დაცულ ტერიტორიებს და მათ რესურსებს მართავს საქართველოს დაცული ტერი-ტორიების, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი "დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ" საქართველოს კანონის, ამ კოდექსის და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად.

მუხლი 16. სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდის მართვა

1. სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდს, ადგი-ლობრივი ტყის ფონდის გარდა, მართავს საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი ამ კოდექსის და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად.

2. სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტს უფლება აქვს, ამ კოდექსით და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტებით მისთვის განსაზღვრული ამოცანების განსახორციელებლად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შექმნას საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

3. ადგილობრივ ტყის ფონდს, საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და ამ კოდექსით დადგენილი მოთხოვნების დაცვით, შესაბამისი სამსახურის მეშვეობით მართავენ ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები.

4. ადგილობრივი ტყის ფონდის მართვის სფეროში ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების უფლებამოსილება, აგრეთვე სახელმწიფო ტყის ფონდისაგან ადგილობრივი ტყის ფონდის გამიჯვნის წესი განისაზღვრება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით "ადგილობრივი ტყის ფონდის მართვის სფეროში ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების უფლებამოსილების, სახელმწიფო ტყის ფონდისაგან ადგილობრივი ტყის ფონდის გამიჯვნის წესის შესახებ".

მუხლი 17. სახელმწიფო ტყის ფონდის მიჩენილი უბნის მართვა

1. მიჩენილია სახელმწიფო ტყის ფონდის უბანი, რომელსაც, განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი აუცილებლობიდან გამომდინარე, ამ კოდექსის მე-15 ან მე-16 მუხლით უფლებამოსილ შესაბამის ორგანოსთან ერთად საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მართავს საქართველოს საპატრიარქო ან სახელმწიფო დაწესებულება.

2. სახელმწიფო ტყის ფონდის მიჩენილ უბანს გამოყოფს და საქართველოს საპატრიარქოს ან ამ უბნის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართვით დაინტერესებული სახელმწიფო დაწესებულების შესაბამის უფლებამოსილებას ადგენს საქართველოს პრეზიდენტი, დაინტერესებული სახელმწიფო დაწესებულების ან/და ამ კოდექსის მე-15 ან მე-16 მუხლით უფლებამოსილი შესაბამისი ორგანოს მოტივირებული წინადადების საფუძველზე.

3. სახელმწიფო ტყის ფონდის მიჩენილი უბნის ტერიტორიაზე შეიძლება შეიზღუდოს ან მთლიანად აიკრძალოს ტყითსარგებლობა და მოქალაქეთა ტყეში ყოფნა, თუ ეს მიჩენილი უბნის გამოყოფის მიზანთან შეუთავსებელია.

4. სატყეო-სამეურნეო სამუშაოების წარმოების მიზნით მიჩენილ უბანს მართავს ამ კოდექსის მე-15 ან მე-16 მუხლით უფლებამოსილი შესაბამისი ორგანო საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით და ამ მუხლის მე-5 ნაწილის გათვალისწინებით.

5. მიჩენილი უბნის გამოყენება იმ პირის მიერ, ვისთვისაც გადაცემულია ეს უბანი, დაიშვება მხოლოდ მიჩენის მიზნისა და სახელმწიფო ტყის ფონდის აღდგენისა და მოვლის ღონისძიებების განსახორციელებლად.

6. დებულებას "სახელმწიფო ტყის ფონდის მიჩენილი უბნის გამოყოფის და ამ უბნის ტერიტორიაზე ტყითსარგებლობის, მისი შეზღუდვის, შეჩერების და აკრძალვის წესის შესახებ" შეიმუშავებს და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტთან შეთანხმებით საქართველოს პრეზიდენტს დასამტკიცებლად წარუდგენს ამ კოდექსის მე-15 ან მე-16 მუხლით უფლებამოსილი შესაბამისი ორგანო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი VI. სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენა და დაყოფა

მუხლი 18. სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენა

1. სახელმწიფო სამეურნეო და ადგილობრივი ტყის ფონდის საზღვრებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ამტკიცებს საქართველოს მიწის გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომისია.

2. სახელმწიფო სამეურნეო და ადგილობრივი ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ საქართველოს მიწის გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომისიას გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან და მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტთან შეთანხმებით მოტივირებულ წინადადებებსა და შესაბამის პროექტს წარუდგენს ამ კოდექსის მე-16 მუხლით უფლებამოსილი შესაბამისი ორგანო.

3. სახელმწიფო ტყის ფონდის დაცული ტერიტორიების საზღვრები დგინდება საქართველოს კანონით.

4. სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდის საზღვრების დადგენა და მისი დაცული ტერიტორიებისაგან გამიჯვნა ხორციელდება "სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ" დებულების შესაბამისად, რომელსაც გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან და ამ კოდექსის მე-15 და მე-16 მუხლებით უფლებამოსილ ორგანოებთან შეთანხმებით შეიმუშავებს და საქართველოს პრეზიდენტს დასამტკიცებლად წარუდგენს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი.

მუხლი 19. სახელმწიფო ტყის ფონდის დაყოფა

1. სახელმწიფო ტყის ფონდი შედგება სახელმწიფო ტყისა და სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებისაგან.

2. სახელმწიფო ტყის ფონდის მიწები იყოფა შემდეგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კატეგორიებად:

ა) სატყეო მიწები, რომლებიც მოიცავს ვარჯშეუკვრელ კულტურებსა და სანერგეებს, აგრეთვე ნაკაფებს, ნახანძრალებს, დაღუპულ კორომებს, 0,1 ჰექტარი და მეტი ფართობის ველობებს, მინდვრებს და სატყეო-სამეურნეო დანიშნულების ეზოებს;

ბ) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები, რომლებიც მოიცავს სახნავებს, სათიბებს, საძოვრებს, ბაღებს, ვენახებს და სხვა;

დ) „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ მოთხოვნათა შესაბამისად.

გ) სხვა არასატყეო ანუ სპეციალური დანიშნულების მიწები, რომლებიც მოიცავს მკვრივსაფარიან გზებსა და სხვადასხვა დანიშნულების ზოლებს, ელექტრო- და კავშირგაბმულობის სადენების, ნავთობსადენების და გაზსადენების მიწის მინაკუთვნებს, ტბორებს, საგუბრებს, სამეურნეო და სხვა დანიშნულების ეზოებს; *(22.04.2005 N 1412)*

დ) გამოუყენებელი მიწები, რომლებიც მოიცავს სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე არსებულ ჭაობებს, ქვიშებს, მყინვარებს, კლდეებს, რიყეებს და სხვა.

3. სახელმწიფო ტყისა და სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების საზღვრების დადგენა და შეცვლა ხორციელდება "სახელმწიფო ტყისა და სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების საზღვრების დადგენისა და შეცვლის შესახებ" დებულების შესაბამისად, რომელსაც გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტთან შეთანხმებით შეიმუშავებენ და საქართველოს პრეზიდენტს დასამტკიცებლად წარუდგენენ ამ კოდექსის მე-15 და მე-16 მუხლებით უფლებამოსილი ორგანოები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 20. სახელმწიფო ტყის ფონდის კატეგორიები

1. სახელმწიფო ტყის ფონდი ერთიანი სამეურნეო მიზნების, ეკოლოგიური, სოციალური, ეკონომიკური მნიშვნელობის და სხვა მახასიათებლების მიხედვით იყოფა დაცული ტერიტორიებისა და სამეურნეო ტყის ფონდის კატეგორიებად.

2. სახელმწიფო ტყის ფონდის დაცული ტერიტორიების კატეგორიებია:

ა) სახელმწიფო ნაკრძალი;

ბ) ეროვნული პარკი;

გ) ბუნების ძეგლი;

დ) აღკვეთილი;

ე) დაცული ლანდშაფტი;

ვ) მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია.

3. სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდის კატეგორიებია:

ა) საკურორტო ზონა (შემდგომ _ საკურორტო ტყეები);

ბ) მწვანე ზონა (შემდგომ – მწვანე ზონის ტყეები);

გ) ნიადაგდაცვითი და წყალმარეგულირებელი ტყეები.

4. "დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად შეიძლება შეიქმნას დაცული ტერიტორიების საერთაშორისო ქსელში ჩართული შემდეგი კატეგორიები:

ა) ბიოსფერული რეზერვატი;

ბ) მსოფლიო მემკვიდრეობის უბანი;

გ) საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორია.

5. ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული კატეგორიების სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდის ტერიტორიებზე შეიძლება შეიქმნას განსაკუთრებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფუნქციური დანიშნულების და ლანდშაფტური უბნები.

მუხლი 21. სახელმწიფო ტყის ფონდის კატეგორიებად დაყოფის საფუძვლები

1. ამ კოდექსის მე-20 მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებულ კატეგორიებად დაყოფის საფუძველია "დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ" საქართველოს კანონი.

2. საკურორტო ზონის ტყეების კატეგორია ენიჭება კურორტების სანიტარიული დაცვის პირველ და მეორე ზონებში არსებულ სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდს, სადაც ტყის მეურნეობის წარმოების მთავარი მიზანია ტყეების კურორტოლოგიური თვისებებისა და სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესება და დაცვა.

3. მწვანე ზონის ტყეების კატეგორია ენიჭება ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების მიმდებარე, რეკრეაციისათვის განკუთვნილ სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდს, სადაც ტყის მეურნეობის წარმოების მთავარი მიზანია ტყეების რეკრეაციული, სანიტარიულ-ჰიგიენური და ესთეტიკური მდგომრეობის გაუმჯობესება და დაცვა.

4. ნიადაგდაცვითი და წყალმარეგულირებელი ტყეების კატეგორია ენიჭება საქართველოს დანარჩენ სახელმწიფო ტყის ფონდს, სადაც დაიშვება ყველა სახის ტყითსარგებლობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5. განსაკუთრებული ფუნქციური დანიშნულების უბნის სტატუსი ენიჭება სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდის განსაკუთრებული ღირსების მქონე უბანს და ტყისპირს, რომლებიც დამოუკიდებელ კატეგორიებად არ გამოიყოფა.

6. ლანდშაფტური უბნის სტატუსი ენიჭება მაღალი ესთეტიკურობით და დეკორატიულობით გამორჩეულ ტყეს.

7. დებულებას "განსაკუთრებული ფუნქციური

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანიშნულების და ლანდშაფტური უბნების გამოყოფისა და მათთვის შესაბამისი სტატუსის მინიჭების შესახებ“ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით შეიმუშავებს და ამტკიცებს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი.

მუხლი 22. სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდის კატეგორიებად დაყოფის წესი

1. სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდის უბნებს ამ კოდექსის მე-20 მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ კატეგორიებს ანიჭებს საქართველოს პრეზიდენტი.

2. სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდის უბნისათვის კატეგორიების მინიჭების შესახებ გარემოსა დ ა ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან და მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტთან შეთანხმებით საქართველოს პრეზიდენტს წინადადებებსა და შესაბამის პროექტს დასამტკიცებლად წარუდგენს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი.

3. სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდის უბნებს განსაკუთრებული ფუნქციური დანიშნულების და ლანდშა-ფტური უბნების სტატუსს ანიჭებს და ამ უბნების ტერიტორიაზე მეურნეობის წარმოების რეჟიმს ადგენს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი.

თავი VIII. სახელმწიფო ტყის ფონდის აღრიცხვის სისტემა

მუხლი 23. სახელმწიფო ტყის ფონდის აღრიცხვის სისტემა

სახელმწიფო ტყის ფონდის აღრიცხვის სისტემა შედგება სახელმწიფო ტყის ფონდის მონიტორინგის, კადასტრის და ტყეთმოწყობისაგან.

მუხლი 24. სახელმწიფო ტყის ფონდის მონიტორინგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. სახელმწიფო ტყის ფონდის" მონიტორინგი არის სახელმწიფო ტყის ფონდის შეფასების, მისი მდგომარეობის დინამიკაზე უწყვეტი დაკვირვების, ანალიზისა და პროგნოზირების სისტემა, რომლის მიზანია სახელმწიფო ტყის ფონდის მოვლის, დაცვის, აღდგენისა და გამოყენების, ტყეების ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით სახელმწიფო ორგანოებისა და საქართველოს მოსახლეობის ინფორმაციით უზრუნველყოფა.

2. სახელმწიფო ტყის ფონდის მონიტორინგს, თავიანთ სამოქმედო ტერიტორიებზე, ახორციელებენ ამ კოდექსის მე-15 და მე-16 მუხლებით უფლებამოსილი ორგანოები, მათი ტერიტორიული ორგანოები, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით უფლებამოსილი სხვა სამთავრობო დაწესებულებები და ტყითმოსარგებლეები.

მუხლი 25. სახელმწიფო ტყის ფონდის კადასტრი

1. სახელმწიფო ტყის ფონდის კადასტრი არის სახელმწიფო ტყის ფონდის ეკოლოგიური, ეკონომიკური და სხვა მაჩვენებლების მიხედვით შეფასება მისი მოვლის, დაცვის, აღდგენისა და რაციონალური გამოყენების, ტყის რესურსების რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებების სისტემატური კონტროლის, სახელმწიფო ტყის ფონდის შესახებ სახელმწიფო ორგანოებისა და მოსახლეობის ინფორმაციით უზრუნველყოფისა და სატყეო დარგის პერსპექტიული დაგეგმვის მიზნით.

2. სახელმწიფო ტყის ფონდის კადასტრი ითვალისწინებს ამ კოდექსის შესაბამისად დადგენილი პარამეტრების მიხედვით ტყის რესურსების ყველა შესაძლო ეკონომიკურ შეფასებას და ამ შეფასებების ყოველწლიურ კორექტირებას.

3. სახელმწიფო ტყის ფონდის კადასტრში აისახება სახელმწიფო ტყის ფონდის მონიტორინგის მასალები.

4. სახელმწიფო ტყის ფონდის კადასტრის მონაცემები გამოიყენება სახელმწიფო ტყეებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების მართვის, სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების, ტყითმოსარგებლეთა სამეურნეო საქმიანობის შეფასების, ტყითსარგებლობის ფასის განსაზღვრისა და კორექტირების, გადასახადების, ჯარიმების, სხვა გადასახდ ელების გ აანგარიშების და სხვა მიზნით.

5. სახელმწიფო ტყის ფონდის კადასტრის მასალები შეიძლება გახდეს სახელმწიფო ტყის ფონდის ან მისი ტყისა და მიწების საზღვრების შეცვლის საფუძველი.

6. ფიზიკური ან იურიდიული პირისა და ამ კოდექსის მე-15 ან მე-16 მუხლით უფლებამოსილი შესაბამისი ორგანოს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, სახელმწიფო ტყის ფონდის ან მისი უბნის კადასტრის წარმოების სამუშაოები შეიძლება განხორციელდეს ამ პირის სახსრებით.

მუხლი 26. სახელმწიფო ტყის ფონდის კადასტრის წარმოება

1. დაცული ტერიტორიებისა და სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდის კადასტრებს, თავიანთ სამოქმედო ტერიტორიებზე, აწარმოებენ ამ კოდექსის მე-15 და მე-16 მუხლებით უფლებამოსილი ორგანოები, აგრეთვე, მათთან შეთანხმებით, უფლებამოსილი იურიდიული პირები.

2. სახელმწიფო ტყის ფონდის კადასტრი არის სახელმწიფო ტყის ფონდის მდგომარეობის, აგრეთვე მისი მოვლის, დაცვის, აღდგენისა და რაციონალური გამოყენების სტრატეგიული დაგეგმვის შესახებ სახელმწიფო ორგანოებისა და მოსახლეობის ინფორმაციით უზრუნველყოფის საფუძველი.

3. სახელმწიფო ტყის ფონდის კადასტრს აწარმოებს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 27. ტყეთმოწყობა

1. ტყეთმოწყობა ხორციელდება ყოველ 10 წელიწადში ერთხელ (ათწლიანი ციკლით). მისი მიზანია საქართველოს ტყის ფონდის მოვლის, დაცვისა და აღდგენის ღონისძიებების განხორციელებისა და მათი ეფექტიანობის ამაღლების, ტყის რესურსების რაციონალური გამოყენების, აგრეთვე ამ სფეროში ერთიანი სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკის გატარების დაგეგმვა.

2. ტყეთმოწყობის ღონისძიებებია:

ა) სახელმწიფო ტყის ფონდის და სატყეო მურნეობის და დაცული ტერიტორიების, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტების ტერიტორიული ორგანოების სამოქმედო ტერიტორიების საზღვრების დადგენა;

ბ) სატყეო მურნეობის და დაცული ტერიტორიების, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტების ტერიტორიული ორგანოების სამოქმედო ტერიტორიების მიხედვით სახელმწიფო ტყის ფონდის შიდასამეურნეო ორგანიზება და ამ ტერიტორიებზე ტოპოგრაფიულ-გეოდეზიური და სპეციალური კარტოგრაფიული სამუშაოების ჩატარება;

გ) სახელმწიფო ტყის ფონდის ინვენტარიზაცია, ტყეების მდგომარეობის, მათი სახეობრივი შემადგენლობისა და ხნოვანებითი სტრუქტურის დადგენა, სახ ელმწიფო ტყის ფონდის რესურსების რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასება;

დ) საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი, გადაშენების საფრთ ხის წინაშე მყოფი და იშვ იათი, რელიქტური, ენდემური, შეზღუდული გავრცელების არეალის მქონე მცენარეებისა და განსაკუთრებული ფუნქციური დანიშნულების უბნების გამოვლენა; *(06.06.2003 N 2374)*

ე) ტყის იმ უბნების დადგენა, სადაც შესაძლებელია

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი სარგებლობის, სპეციალური და მოვლითი ჭრების ჩატარება, საჭიროა მოვლის, სამელიორაციო და სხვა სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების განხორციელება, აგრეთვე საანგარიშო ტყეკაფის და გასატარებელი ღონისძიებების სახეების, მოცულობებისა და მეთოდების განსაზღვრა;

ვ) უპირატესი ფუნქციური თვისებების მიხედვით სახელმწიფო ტყის ფონდის უბნებისთვის კატეგორიებისა და დაცვის რეჟიმის მიკუთვნების, აგრეთვე სახელმწიფო ტყისა და სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების საზღვრების დადგენისა და შეცვლის მიზანშეწონილობის განსაზღვრა;

ზ) ტყითსარგებლობის უბნების დადგენა და შესაძლო მოსაპოვებელი რესურსის რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასება;

თ) სახელმწიფო ტყის ფონდის ბიოლოგიური, პათოლოგიური და სხვა სპეციალური გამოკვლევა;

ი) ტყეთმოწყობის პროექტის განხორციელების ზედამხედველობა;

კ) ტყითსარგებლობის სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება;

ლ) 30-დან 35 გრადუსამდე დაქანების ფერდობებზე ტყითსარგებლობის აუცილებელი მოთხოვნების დადგენა;

მ) სხვა ღონისძიებები.

3. ტყეთმოწყობის მასალები აისახება ტყეთმოწყობის პროექტში, რომელიც არის სატყეო-სამეურნეო სამუშაოების, მათ შორის, პერსპექტიული დაგეგმვის და ამ სამუშაოების დაფინანსების სავალდებულო დოკუმენტი.

4. აკრძალულია საქართველოს ტყეებში ტყეთმოწყობის გარეშე ტყითსარგებლობა და სატყეო-სამეურნეო სამუშაოების წარმოება, სტიქიური უბედურების შემთხვევების გარდა.

5. ტყეთმოწყობას თავიანთ სამოქმედო ტერიტორიებზე ახორციელებენ ამ კოდექსის მე-15 და მე-16 მუხლებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფლებამოსილი ორგანოები. მათთან შეთანხმების საფუძველზე ტყეთმოწყობა შეიძლება განხორციელდეს ფიზიკური ან იურიდიული პირის სახსრებით.

6. ტყეთმოწყობაზე ვრცელდება "გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნები.

მუხლი 28. სახელმწიფო ტყის ფონდის აღრიცხვის სისტემა და წესი

1. დებულებას "სახელმწიფო ტყის ფონდის აღრიცხვის სისტემის შესახებ" გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის, ეკონომიკის და ფინანსთა სამინისტროებთან, მიწის მართვის და სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტებთან შეთანხმებით შეიმუშავებენ და საქართველოს პრეზიდენტს დასამტკიცებლად წარუდგენენ ამ კოდექსის მე-15 და მე-16 მუხლებით უფლებამოსილი ორგანოები.

2. დებულებას "სახელმწიფო ტყის ფონდის აღრიცხვის წესის შესახებ" გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან და მიწის მართვის და სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტებთან შეთანხმებით შეიმუშავებს და ამტკიცებს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი.

3. დებულებას "სახელმწიფო ტყის ფონდის დაცული ტერიტორიების აღრიცხვის სისტემის განსაკუთრებული მოთხოვნების შესახებ" შეიმუშავებს და დაცული ტერიტორიების, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტთან შეთანხმებით საქართველოს პრეზიდენტს დასამტკიცებლად წარუდგენს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.

მუხლი 29. სახელმწიფო ტყის ფონდის აღრიცხვის სისტემის დაფინანსება

სახელმწიფო ტყის ფონდის აღრიცხვის სისტემა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფინანსდება შესაბამისად საქართველოს სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან. ამ მიზნით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა სახსრები.

მუხლი 30. ინფორმაცია საქართველოს ტყის ფონდის მდგომარეობის შესახებ

ინფორმაცია საქართველოს ტყის ფონდის მდგომარეობის შესახებ მოიცავს "სტატისტიკის შესახებ" საქართველოს კანონისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად საქართველოს ტყის ფონდის აღრიცხვის სისტემისა და ტყითსარგებლობის განხორციელების დროს მიღებულ ინფორმაციას, რომელიც მიეწოდება საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტს.

თავი IX. სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების მართვა

მუხლი 31. სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების მართვის განსაკუთრებული მოთხოვნები

1. სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებს ამ კოდექსის მე-19 მუხლით განსაზღვრულ სათანადო კატეგორიას ამ კოდექსის მე-15 ან მე-16 მუხლით უფლებამოსილი შესაბამისი ორგანოს წინადადებით ანიჭებს საქართველოს მიწის გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომისია.

2. სახელმწიფო ტყისა და სახელმწიფო ტყის ფონდის სატყეო მიწების ფართობის შემცირებისაკენ მიმართული ყველა ცვლილება უნდა იყოს არგუმენტირებული და შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ნებართვით.

3. სახელმწიფო ტყის ფონდის კატეგორიებისა და ბიომრავალფეროვნების თავისებურებებიდან გამომდინარე, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორგანოების მიერ სახელმწიფო ტყის ფონდისა და მისი მიმდებარე მიწებით სარგებლობის, მათი დაცვისა და აღდგენის განსაკუთრებულ მოთხოვნებს ადგენენ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო და შესაბამისად ამ კოდექსის მე-15 და მე-16 მუხლებით უფლებამოსილი ორგანოები ან მათი საქვეუწყებო დაწესებულებები.

მუხლი 32. სახელმწიფო ტყის ფონდის სატყეო, სასოფლო-სამეურნეო და გამოუყენებელი მიწების მართვა

1. სახელმწიფო ტყის ფონდის სატყეო და გამოუყენებელ მიწებს მართავენ შესაბამისად ამ კოდექსის მე-15 და მე-16 მუხლებით უფლებამოსილი ორგანოები ან მათი ტერიტორიული ორგანოები, აგრეთვე ტყითმოსარგებლე _ ტყითსარგებლობის დოკუმენტით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

2. სახელმწიფო ტყის ფონდის სასოფლო-სამეურნეო მიწებს ამ კოდექსის მე-15 ან მე-16 მუხლით უფლებამოსილი შესაბამისი ორგანოს თანხმობით მართავენ ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები, აგრეთვე ტყითმოსარგებლე ამ კოდექსისა და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

მუხლი 33. სპეციალური დანიშნულების მიწების მართვა

1. აუცილებლობის შემთხვევაში ან მნიშვნელოვანი ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით სახელმწიფო ტყის ფონდი, საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, შეიძლება გაიცეს სპეციალური დანიშნულებით სარგებლობისათვის.

2. სახელმწიფო ტყესა და სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებს სპეციალური დანიშნულებით სარგებლობისათვის გასცემს საქართველოს მიწის გამოყენებისა და დაცვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო კომისია დაინტერესებულ პირთან და ამ კოდექსის მე-15 ან მე-16 მუხლით უფლებამოსილ შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებით, საქართველოს კანონმდებლობისა და ამ კოდექსის 31-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნათა დაცვით.

3. ამ კოდექსის მე-15 ან მე-16 მუხლით უფლებამოსილი შესაბამისი ორგანო სპეციალური დანიშნულებით სარგებლობისათვის შეარჩევს სახელმწიფო ტყის ფონდის იმ უბანს, სადაც სპეციალური მიზნის განხორციელება სახელმწიფო ტყის ფონდს ყველაზე ნაკლებ ზიანს მიაყენებს.

4. სახელმწიფო ტყის ფონდის სპეციალური დანიშნულების მიწებზე სატყეო-სამეურნეო სამუშაოებს მართავს ამ კოდექსის მე-15 ან მე-16 მუხლით უფლებამოსილი შესაბამისი ორგანო, ხოლო სპეციალური მიზნით _ ტყითმოსარგებლე საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

მუხლი 34. სახელმწიფო ტყისა და სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების სამეურნეო მიზნით გამოყოფა

1. სანერგეების მოწყობის, ტყის კულტურების, ბაღებისა და პლანტაციების გაშენების, სატყეო-სამეურნეო გზების მშენებლობისა და სხვა სამეურნეო მიზნით სახელმწიფო ტყისა და სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების გამოყოფა ხორციელდება ამ კოდექსის მე-15 ან მე-16 მუხლით უფლებამოსილი ორგანოს მიერ.

2. სახელმწიფო ტყისა და სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების სამეურნეო მიზნით გამოყოფა და ტყითმოსარგებლისათვის გადაცემა ხორციელდება "სახელმწიფო ტყისა და სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების სამეურნეო მიზნით გამოყოფისა და ტყითმოსარგებლისათვის გადაცემის შესახებ" დებულების შესაბამისად, რომელსაც დაცული ტერიტორიების, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო დეპარტამენტთან შეთანხმებით შეიმუშავებს და ამტკიცებს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარ-ტამენტი.

თავი X . მოსახლეობისა და საზოგადოებრივი გაერთიანებების წარმომადგენელთა სახელმწიფო ტყის ფონდის მართვაში მონაწილეობა

მუხლი 35. მოსახლეობისა და საზოგადოებრივი გაერთიანებების წარმომადგენელთა სახელმწიფო ტყის ფონდის მართვაში მონაწილეობა

1. მოსახლეობისა და საზოგადოებრივი გაერთია-ნებების წარმომადგენლებს უფლება აქვთ:

ა) მიიღონ სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია სახელმწიფო ტყის ფონდის მდგომარეობის შესახებ;

ბ) მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო ტყის ფონდის მართვის დაგეგმვის ყველა ღონისძიებაში ნებისმიერ ეტაპზე.

2. სახელმწიფო ტყის ფონდის მართვისას "გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული გადაწყვეტილებების მიღებაში მოსახლეობისა და საზოგადოებრივი გაერთიანებების წარმომადგენელთა მონაწილეობა წესრიგდება ამავე კანონის შესაბამისად.

3. სახელმწიფო ტყის ფონდის მართვის უფლების მქონე ორგანოების მიერ ტყითსარგებლობის შესახებ გადაწყვე-ტილების მიღებამდე, შესაბამისი რეგიონების მიხედვით, უნდა გამოქვეყნდეს სახელმწიფო ტყის ფონდის მართვასთან დაკავშირებული შემდეგი ინფორმაცია:

ა) ტყეთმოწყობის შესახებ;

ბ) სახელმწიფო ტყის ფონდის კატეგორიებად დაყოფის შესახებ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიებისათვის დაცვის რეჟიმის მიკუთვნების შესახებ;

დ) სახელმწიფო ტყის ფონდის 5 და მეტი წლით სარგებლობისათვის გადაცემის შესახებ.

მუხლი 36. სახელმწიფო ტყის ფონდის მართვის უფლების მქონე ორგანოების პასუხისმგებლობა

1. ამ კოდექსის 35-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სახელმწიფო ტყის ფონდის მართვის უფლების მქონე ორგანოები უზრუნველყოფენ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე მოსახლეობისა და საზოგადოებრივი გაერთიანებების წარმომადგენელთა მიერ გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების განხილვას.

2. სატყეო მეურნეობის და დაცული ტერიტორიების, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტები, საქართველოს კანონმდებლობით უფლებამოსილი სხვა ორგანოები, ამ კოდექსის 35-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული ინფორმაციის გამოქვეყნების გარდა, აგრეთვე უზრუნველყოფენ:

ა) სახელმწიფო ტყის ფონდის მდგომარეობის შესახებ სხვა ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევების გარდა;

ბ) ტყისა და მისი რესურსების მნიშვნელობისა და დაცვის პროპაგანდას, საქართველოს მოსახლეობის ინფორმირების მიზნით სამეცნიერო და საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას;

გ) ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნების ღონისძიებების მორალურ და მატერიალურ სტიმულირებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარი III. ტყის დაცვა
თავი XI. საქართველოს ტყის ფონდის დაცვის ზოგადი საფუძვლები

მუხლი 37. საქართველოს ტყის ფონდის დაცვის მიზანი

1. საქართველოს ტყის ფონდის დაცვის მიზანია:

ა) საქართველოს ტყეებში ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება, ტყეების ხნოვანებითი სტრუქტურის, სახეობრივი შემადგენლობისა და ხარისხობრივი მდგომარეობის გაუმჯობესება, მდგრადი და მაღალპროდუქტიული კორომების ჩამოყალიბება;

ბ) ნიადაგის ნაყოფიერების ზრდა, წყლითა და ქარით გამოწვეული ნიადაგის ეროზიის, დაჭაობების, დამლაშების, ღვარცოფების, თოვლის ზვავებისა და სხვა ისეთი პროცესების თავიდან აცილება, რომლებიც აუარესებს ნიადაგის მდგომარეობას;

გ) ხელუხლებელი ტყეების თვითმყოფადობის შენარჩუნება, მცენარეთა რელიქტური, ენდემური და სხვა ძვირფასი სახეობების დაცვა.

2. საქართველოს ტყის ფონდი დაცული უნდა იქნეს:

ა) ხანძრებისაგან;

ბ) უკანონო ჭრებისაგან;

გ) ტყითსარგებლობისა და სხვა სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების განხორციელების დადგენილი წესების დარღვევებისაგან;

დ) მავნებლებისა და დაავადებებისაგან;

ე) სანიტარიული მდგომარეობის გაუარესებისაგან;

ვ) სხვა უარყოფითი ზემოქმედებისაგან.

3. საქართველოს ტყეებში ცხოველები დაცული უნდა იქნენ "ცხოველთა სამყაროს შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

4. საქართველოს დაცული ტერიტორიების დაცვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებული მიზნები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 37[1]. სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიის დაცვა
(25.07.2006 N3518)

აკრძალულია ხე-ტყის პირველადი გადამუშავება სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე.

მუხლი 38. სახელმწიფო ტყის ფონდის დაცვის რეჟიმი

1. სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდის მდგომარეობის, მისი ბიომრავალფეროვნების, ხელუხლებელი ტყეების თვითმყოფადობის შენარჩუნების, მცენარეთა რელიქტური, ენდემური და სხვა ძვირფასი სახეობების დაცვის მიზნით, ტყის პრიორიტეტული ფუნქციური დანიშნულების, ისტორიული, კულტურული და სხვა ღირებულებების მიხედვით დგინდება სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდის დაცვის საერთო ან განსაკუთრებული რეჟიმი.

2. საქართველოს დაცული ტერიტორიების დაცვის რეჟიმი დგინდება "დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ" საქართველოს კანონით.

მუხლი 39. დაცვის განსაკუთრებული რეჟიმი

1. სახელმწიფო სამეურნეო ტყეებსა და მიწებზე, სადაც მოქმედებს დაცვის განსაკუთრებული რეჟიმი, აკრძალულია:

ა) მთავარი სარგებლობის ჭრების განხორციელება;

ბ) „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ" საქართ - ველოს კანონით განსაზღვრული პირველი და მეორე კატეგორიის საქმიანობა, გარდა დაცული ტერიტორიების გრძელვადიანი რეაბილიტაციის პროგრამებისა და სამონადირეო მეურნეობების შექმნისა. *(02.03.2001 N 749)*

2. სახელმწიფო სამეურნეო ტყეებსა და მიწებზე, სადაც მოქმედებს დაცვის განსაკუთრებული რეჟიმი, სატყეო-სამე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურნეო ღონისძიებების და ტყითსარგებლობის შეზღუდვის განსაკუთრებულ მოთხოვნებს ამ კოდექსით დადგენილი წესით განსაზღვრავენ სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები.

მუხლი 40. დაცვის საერთო რეჟიმი

სახელმწიფო სამეურნეო ტყეებსა და მიწებზე, სადაც მოქმედებს დაცვის საერთო რეჟიმი, ვრცელდება ამ კოდექსით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი.

მუხლი 41. სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდის კატეგორიებისათვის დაცვის რეჟიმის მიკუთვნება

1. სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდის საკურორტო და მწვანე ზონებს, აგრეთვე ჭალის ტყეებსა და ტყის სუბალპურ ზოლს მიეკუთვნება დაცვის განსაკუთრებული რეჟიმი.

2. ნიადაგდაცვით და წყალმარეგულირებელ ტყეებს მიეკუთვნება დაცვის საერთო რეჟიმი, ამ კოდექსის 42-ე მუხლით გათვალისწინებული წესით.

მუხლი 42. ნიადაგდაცვითი და წყალმარეგულირებელი ტყის უბნისათვის დაცვის განსაკუთრებული რეჟიმის მიკუთვნება

1. ნიადაგდაცვითი და წყალმარეგულირებელი ტყის უბნისათვის დაცვის განსაკუთრებული რეჟიმის მიკუთვნების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პრეზიდენტი.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ შემთხვევაში, სახელმწიფო ტყის ფონდის კადასტრისა და აღრიცხვის მასალების, აგრეთვე სხვა გამოკვლევების საფუძველზე, საქართველოს პრეზიდენტს წინადადებებს წარუდგენს ამ კოდექსის მე-16 მუხლით უფლებამოსილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესაბამისი ორგანო ან გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.

3. ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ შემთხვევაში ნიადაგდაცვითი და წყალმარეგულირებელი ტყის განსაზღვრული უბნის ტერიტორიაზე სატყეო-სამეურნეო ღონისძიებებისა და ტყითსარგებლობის განხორციელების რეჟიმს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით, განსაზღვრავს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი, ხოლო ადგილობრივი ტყის ფონდისათვის _ ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტთან და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით.

4. საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ და ენდემურ, რელიქტურ და სხვა ძვირფას სახეობებს, აგრეთვე განსაკუთრებული ფუნქციური დანიშნულების უბნებს დაცვის განსაკუთრებულ რეჟიმს აკუთვნებს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი ამ კოდექსის 21-ე მუხლის შესაბამისად და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. *(06.06.2003 N 2374)*

მუხლი 43. სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდის უბნისათვის დაცვის განსაკუთრებული რეჟიმის მიკუთვნებისა და ამ რეჟიმის პირობებში სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების განხორციელების წესი

დებულებას "სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდის უბნისათვის დაცვის განსაკუთრებული რეჟიმის მიკუთვნებისა და ამ რეჟიმის პირობებში სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების განხორციელების წესის შესახებ“ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან და

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაცული ტერიტორიების, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტთან შეთანხმებით შეიმუშავებს და ამტკიცებს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი.

თავი XII. ტყის დაცვა

მუხლი 44. ტყის დაცვის ღონისძიებები

1. ტყის დაცვა ხორციელდება საქართველოს ტყის ფონდის ბიომრავალფეროვნების და მისი სხვა თავისებურებების გათვალისწინებით და მოიცავს სატყეო-სამეურნეო, ბიოლოგიურ, გენეტიკურ, ფიზიკურ და მექანიკურ მეთოდებს, საქართველოს ტყის ფონდის შენარჩუნების, აგრეთვე მისი განადგურების, დაზიანების, დაბინძურების და სხვა უარყოფითი ზემოქმედებისგან დაცვის ორგანიზაციულ, სამართლებრივ და სხვა ღონისძიებებს.

2. ტყის დაცვის ღონისძიებებია:

ა) ტყის ბიოლოგიური, ქიმიური და სელექციური საშუალებებით დაცვა;

ბ) ტყეების პათოლოგიური გამოკვლევის საფუძველზე ტყის დაცვა ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევის გამომწვევი დაავადებებისა და მავნებლების გავრცელებისაგან;

გ) მოვების აკრძალვა ტყის კულტურებსა და იმ კორომებში, სადაც ზიანდება ტყე;

დ) ტყეების ხანძრებისაგან დაცვა;

ე) სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესება, ამ მიზნით სანიტარიული ჭრებისა და სხვა ღონისძიებების განხორციელება;

ვ) ტყეების უკანონო ტყითსარგებლობისაგან, ტყის პროდუქტების დატაცებისაგან, დაბინძურებისაგან, ნიადაგისა და ხეების მექანიკური დაზიანებისაგან და სხვა მსგავსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქმედებებისაგან დაცვა (ფიზიკური დაცვა);

ზ) სტიქიური უბედურებების თავიდან ასაცილებელი განსაკუთრებული ღონისძიებები;

თ) ინტენსიური ექსპლუატაციის შედეგად ტყის ტრანსფორმაციის თავიდან ასაცილებელი ღონისძიებები;

ი) მავნებლებისა და დაავადებების ახალი კერების წარმოშობის აღკვეთის მიზნით საკარანტინო შემოწმების გარეშე ხე-ტყისა და მისი პროდუქციის საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანის აკრძალვა;

კ) ტყის დაცვის ღონისძიებების მატერიალური და მორალური სტიმულირება;

ლ) განსაკუთრებული მდგომარეობით გამოწვეული სხვა აუცილებელი ღონისძიებები.

მუხლი 45. ტყის დაცვის ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება

1. ტყის დაცვის ღონისძიებები იგეგმება სახელმწიფო ტყის ფონდის კადასტრისა და ტყეთმოწყობის, აგრეთვე ტყის ყოველწლიური პათოლოგიური და სხვა სპეციალური გამოკვლევების საფუძველზე.

2. სახელმწიფო ტყის დაცვის ღონისძიებებს გეგმავენ და ახორციელებენ შესაბამისად ამ კოდექსის მე-15 და მე-16 მუხლებით უფლებამოსილი ორგანოები, აგრეთვე მათი ტერიტორიული ორგანოები ან, მათი ზედამხედველობით, ამ კოდექსის მე-9 მუხლით განსაზღვრული შესაბამისი სუბიექტები.

მუხლი 46. ტყის ბიომრავალფეროვნების დაცვა

ტყის ბიომრავალფეროვნების დაცვა ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციის, "ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ" საერთაშორისო კონვენციისა და საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის პრინციპებს.

ტყის ბიომრავალფეროვნების დაცვის მიზანია ბიოსფეროს სიცოცხლისათვის აუცილებელი პირობების შენარჩუნება და გაუმჯობესება.

მუხლი 47. ტყის ბიოლოგიური და ქიმიური საშუალებებით დაცვის უფლება და კონტროლი

1. ტყის დაცვის მიზნით ბიოლოგიური და ქიმიური საშუალებების გამოყენების უფლებას ამ კოდექსის მე-9 მუხლით განსაზღვრულ სუბიექტებს ანიჭებს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.

2. ტყის ბიოლოგიური და ქიმიური საშუალებებით დაცვის ზედამხედველობასა და კონტროლს ახორციელებენ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, აგრეთვე, თავიანთ სამოქმედო ტერიტორიებზე, სატყეო მეურნეობის და დაცული ტერიტორიების, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტები და მათი ტერიტორიული ორგანოები.

მუხლი 48. ტყის ხანძრებისაგან დაცვა

1. ტყის ხანძრებისაგან დაცვის ღონისძიებებია:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება, წიწვოვან კორომებში ქვედა ტოტების შეჭრა, ხანმარმდგრადი კორომების შექმნის მიზნით ფოთლოვანი და წიწვოვანი ნარგავებით ტყის ხელოვნურად გაშენება, სახანძრო საავტომობილო გზებისა და ბილიკების ქსელის გაფართოება, ხანძარსაწინააღმდეგო ზოლების მოწყობა, ხანძარსაშიშ პერიოდში მეხანძრე დარაჯთა დაქირავება და მეთვალყურეობის გაძლიერება, ტყეების ავიაპატრულირება და სხვა ღონისძიებები;

ბ) ხანძარსაშიშ ადგილებზე და ტყის ნაპირიდან 30 მეტრზე ახლოს ყოველგვარი მშენებლობის აკრძალვა;

გ) განსაკუთრებით ხანძარსაშიშ პერიოდში და

ადგილებზე ტყითსარგებლობის, ძრავიანი ტრანსპორტის მოძრაობის, ასაფეთქებელ სამუშაოთა და ცეცხლის დანთების შეზღუდვა და აკრძალვა;

დ) ტყეში სახანძრო უსაფრთხოების დაცვის სააგიტაციო ნიშნების განლაგება, მოსახლეობასთან სათანადო სააგიტაციო მუშაობის ჩატარება;

ე) ტყეების ჩახერგილობისაგან გაწმენდა;

ვ) სხვა ღონისძიებები.

2. ტყეში ხანძრის ლიკვიდაციის მიზნით ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების გადაწყვეტილებით შეიძლება მობილიზებულ იქნეს მოსახლეობა.

3. ტყის ხანძრებისაგან დაცვის მიზნით ამ კოდექსის მე-15 და მე-16 მუხლებით უფლებამოსილ ორგანოებს, აგრეთვე მათ ტერიტორიულ ორგანოებს უფლება აქვთ ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებთან შეთანხმებით ხანძარსაშიშ პერიოდში და ადგილებზე თავიანთ სამოქმედო ტერიტორიებზე აკრძალონ ტყითსარგებლობა, მოსახლეობის ტყეში ყოფნა, სატრანსპორტო საშუალებებით ტყეში შესვლა და სხვა.

4. ტყის ხანძარსაწინააღმდეგო პროფილაქტიკურ ღონისძიებებს, თავიანთ სამოქმედო ტერიტორიებზე, გეგმავენ და ახორციელებენ ამ კოდექსის მე-15 და მე-16 მუხლებით უფლებამოსილი ორგანოები, აგრეთვე მათი ტერიტორიული ორგანოები ან, მათი ზედამხედველობით, ამ კოდექსის მე-9 მუხლით განსაზღვრული სუბიექტები.

5. ტყის უბანს ხანძარსაშიში უბნის სტატუსს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით, ანიჭებს ამ კოდექსის მე-15 ან მე-16 მუხლით უფლებამოსილი შესაბამისი ორგანო ტყეთმოწყობის მასალებისა და თავისი საქვეუწყებო დაწესებულების წინადადების საფუძველზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე ხანძრის ლიკვიდაციას ახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო სახელმწიფო ტყის ფონდის შესა ბამისი უბნის მართვის უფლების მქონე ორგანოსა და ტყითმოსარგებლის მონაწილეობით.

მუხლი 49. ტყის დაცვის წესი

1. დებულებას "ტყის დაცვის წესის შესახებ" შეიმუშავებს და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან, დაცული ტერიტორიების, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტთან და სხვა დაინტერესებულ სამთავრობო დაწესებულებებთან შეთანხმებით ამტკიცებს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი.

2. დებულებას "ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის ტყის დაცვის მიზნით ბიოლოგიური და ქიმიური საშუალებების გამოყენების უფლების მინიჭების შესახებ" შეიმუშავებს და ამტკიცებს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.

3. დებულებას "ტყის ხანძრებისაგან დაცვის ღონისძიებათა დაგეგმვის და განხორციელების შესახებ" შეიმუშავებს და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის, შინაგან საქმეთა სამინისტროებთან და დაცული ტერიტორიების, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტთან შეთანხმებით ამტკიცებს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი.

4. დებულებას "ტყის დაცვის მიზნით გამოსაყენებელი ბიოლოგიური, ქიმიური და სელექციური საშუალებების ნუსხის შესახებ" ამ კოდექსის მე-15 და მე-16 მუხლებით უფლებამოსილ ორგანოებთან შეთანხმებით შეიმუშავებს და ამტკიცებს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარი IV. ტყითსარგებლობა
თავი XIII. ტყითსარგებლობის სისტემა

მუხლი 50. ტყითსარგებლობა და მისი მიზანი

ტყითსარგებლობა არის სახელმწიფოსა და მისი მოსახლეობის ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით საქართველოს ტყის ფონდის სასარგებლო თვისებების გამოყენება და ამ ფონდის ტერიტორიაზე არსებული ეკონომიკური და სხვა ღირებულების მქონე რესურსების მოპოვება.

მუხლი 51. ტყითსარგებლობის სახეები

1. საქართველოს ტყის ფონდის ტერიტორიაზე შეიძლება განხორციელდეს ტყითსარგებლობის შემდეგი სახეები:

ა) ხე-ტყის დამზადება (ტყითსარგებლობა მერქნის მიღების მიზნით);

ბ) პლანტაციური მეურნეობის წარმოება;

გ) ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებისა და ხის მეორეხარისხოვანი მასალების (თესლი, ნაყოფი, ძირკვი, ლაფანი, ფიჩხი, ნეკერი და სხვა) დამზადება;

დ) ტყის არამერქნული რესურსებით (სოკოები, სამკურნალო, ტექნიკური ნედლეული და სხვა ბალახეული, ბუჩქოვანი მცენარეები და მათი პროდუქტები) სარგებლობა;

ე) სასოფლო-სამეურნეო მიზნით სარგებლობა;

ვ) სპეციალური და მიჩენის მიზნით სარგებლობა (სპეციალური დანიშნულების მიწებით სარგებლობა, წიაღის მოპოვება და სხვა);

ზ) სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო მიზნით სარგებლობა;

თ) საკურორტო, რეკრეაციული, სპორტული და სხვა კულტურულ-გამაჯანსაღებელი მიზნით სარგებლობა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი) სამონადირეო მეურნეობის მოწყობის მიზნით სარგებლობა.

2. დასაშვებია საქართველოს ტყის ფონდით კომპლექსურად სარგებლობა და ერთი ან რამდენიმე სახის ტყითსარგებლობის ერთდროულად განხორციელება.

3. ამ კოდექსის მე-17 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში საქართველოს საპატრიარქოს უფლება აქვს სახელმწიფოსთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ტყის ფონდის ტერიტორია გამოიყენოს სასულიერო, სარიტუალო ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა მიზნით.

მუხლი 52. ტყითსარგებლობის ვადები

საქართველოს ტყის ფონდი გაიცემა მოკლევადიანი (1 წლამდე, მათ შორის, სეზონური) და გრძელვადიანი (20 წლამდე) სარგებლობისათვის.

მუხლი 53. ტყითსარგებლობის უფლება და მისი განხორციელება

1. აკრძალულია ტყითსარგებლობა ტყითსარგებლობის ლიცენზიის, ხელშეკრულებისა და ბილეთის გარეშე, ამ კოდექსის 78-ე მუხლითა და 106-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული შემთხვევების გარდა.

2. ტყითმოსარგებლე შეიძლება იყოს ფიზიკური ან იურიდიული პირი.

3. სატყეო მეურნეობის და დაცული ტერიტორიების, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტების ტერიტორიული ორგანოები სახელმწიფო ტყის ფონდის მოვლის, დაცვის, აღდგენისა და გაშენების სამუშაოებს ახორციელებენ არასამეწარმეო მიზნით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 54. ტყითსარგებლობის დაგეგმვისა და განხორციელების ძირითადი მოთხოვნები

1. ტყითსარგებლობა იგეგმება.

2. ტყითსარგებლობის დაგეგმვის საფუძველია ტყეთმოწყობის მასალები.

3. ტყითსარგებლობის დაგეგმვისას უპირატესობა ენიჭება გრძელვადიან ტყითსარგებლობას და ტყითსარგებლობის იმ სახეს, რომელიც ყველაზე ნაკლებად ითვალისწინებს სახელმწიფო ტყის ფონდის რესურსების მოპოვებას, აგრეთვე კომპლექსურ და რამოდენიმე სახით ერთდროულ ტყითსარგებლობას.

4. ტყითსარგებლობის დაგეგმვის ძირითადი მოთხოვნები გამომდინარეობს ამ კოდექსით განსაზღვრული პრინციპებიდან.

5. ტყითსარგებლობა ხორციელდება ისეთი მეთოდებით, რომლებიც ზიანს არ აყენებს ადამიანის ჯანმრთელობას, გარემოსა და მისი ბიომრავალფეროვნების მდგრადობას, ცხოველთა სამყაროს, ისტორიულ, კულტურისა და ბუნების ძეგლებს.

6. ტყითსარგებლობის დაგეგმვისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს:

ა) ტყეების წყალშემნახავი, წყალმარეგულირებელი, ნიადაგდაცვითი, გამაჯანსაღებელი და სხვა სასარგებლო თვისებების შენარჩუნება და გაუმჯობესება;

ბ) საქართველოს ტყის ფონდით მრავალმხრივი, მდგრადი და უწყვეტი სარგებლობა;

გ) ტყის ბუნებრივი შემადგენლობის შენარჩუნება და ხარისხის აღდგენა და გაუმჯობესება;

დ) ტყის ფონდის მიწების რაციონალური გამოყენება;

ე) ტყითსარგებლობის ეფექტიანობის ამაღლება მეცნიერული მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების საფუძველზე ტექნოლოგიური პროცესის სრულყოფის გზით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი XIV . ტყითსარგებლობის უფლების მოპოვება

მუხლი 55. ტყითსარგებლობის სანებართვო დოკუმენტები

1. ტყითსარგებლობის სანებართვო დოკუმენტებია (შემდგომ – ტყითსარგებლობის დოკუმენტი) ტყითსარგებლობის ლიცენზია, ხელშეკრულება და ბილეთი.

2. ტყითსარგებლობის ლიცენზია და ბილეთი გაიცემა და ხელშეკრულება იდება სახელმწიფო ტყის ფონდის კადასტრისა და ტყეთმოწყობის საფუძველზე ამ კოდექსის მოთხოვნათა დაცვით.

3. ტყითსარგებლობის ლიცე ნზია, ხელშეკრულება და ბილეთი ძალაში შ ედის ტყითმოსარგებლ ეზე მ ისი გაცემის დღიდან.

4. ტყითსარგებლობის ლიცენზია, ხელშეკრულება და ბილეთი გაიცემა ტყითმოსარგებლეზე და მისი გასხვისება დაუშვებელია.

5. ტყითსარგებლობის ლიცენზიით, ხელშეკრულებითა და ბილეთით განისაზღვრება:

ა) ტყითსარგებლობის ადგილი;

ბ) ტყითსარგებლობის სახე;

გ) ტყითსარგებლობის ვადები;

დ) ასათვისებელი რესურსის სახე და ოდენობა;

ე) რესურსის მოპოვების დასაშვები ფორმები და მეთოდები;

ვ) რესურსის ღირებულება, სხვა გადასახადები და მოსაკრებლები;

ზ) ტყითმოსარგებლის სხვა უფლებები და პასუხისმგებლობა;

თ) სხვა პირობები.

მუხლი 56. ტყითსარგებლობის დოკუმენტების სისტემა

ტყითსარგებლობის სახეების მიხედვით სახელმწიფო

ტყის ფონდის ტერიტორიაზე ტყითსარგებლობის განსახორციელებლად აუცილებელია შემდეგი დოკუმენტები:

ა) ხე-ტყის დამზადებისათვის (ტყითსარგებლობა მერქნის მიღების მიზნით) _ ლიცენზია ან ბილეთი;

ბ) პლანტაციური მეურნეობის წარმოებისათვის _ ხელშეკრულება;

გ) ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებისა და ხის მეორეხარისხოვანი მასალების დამზადებისათვის – ლიცენზია ან ბილეთი;

დ) არამერქნული რესურსებით სარგებლობისათვის _ ხელშეკრულება ან ბილეთი;

ე) სასოფლო-სამეურნეო მიზნით სახელმწიფო ტყის ფონდის იმ მიწებით სარგებლობისათვის, რომლებიც არ განეკუთვნება სახელმწიფო ტყის ფონდის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების კატეგორიას _ ხელ-შეკრულება ან ბილეთი;

ვ) სპეციალური მიზნით სარგებლობისათვის _ ხელშეკრულება;

ზ) სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო მიზნით სარგებლობისათვის _ ხელშეკრულება;

თ) საკურორტო, რეკრეაციული, სპორტული და სხვა კულტურულ-გამაჯანსაღებელიმიზნით სარგებლობისათვის - ხელშეკრულება;

ი) სამონადირეო მეურნეობის მოწყობისათვის _ ხელშეკრულება.

მუხლი 57. ტყითსარგებლობის ლიცენზიის გაცემა

1. ტყითსარგებლობის ლიცენზია ტენდერის ან აუქციონის წესით გაიცემა:

ა) ხე-ტყის დამზადების მიზნით _ მოკლევადიანი და გრძელვადიანი ტყითსარგებლობისათვის;

ბ) ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებისა და ხის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორეხარისხოვანი მასალების დამზადების მიზნით – გრძელვადიანი ტყითსარგებლობისათვის.

2. ამ კოდექსით განსაზღვრული ჭრის სახეებიდან ლიცენზირებას ექვემდებარება მთავარი სარგებლობისა და გავლითი ჭრები, გარდა ამ მუხლის მე-7 ნაწილით განსაზღვრული შემთხვევებისა.

3. ხე-ტყის დამზადების მიზნით ხუთ წელზე მეტი ვადით ლიცენზია გაიცემა იმ იურიდიულ პირზე, რომელიც, რესურსების მოპოვ ების პარალ ელურად, თავის სამოქმედო ტერიტორიაზე უზრუნველყოფს ტყის მოვლის, დაცვისა და აღდგენის ტყეთმოწყობის პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელებას.

4. დაუშვებელია სახელმწიფო ტყის ფონდის ერთსა და იმავე ადგილას ერთი და იმავე სახის ტყითსარ-გებლობისთვის ერთზე მეტი ლიცენზიის გაცემა.

5. ლიცენზია სახელმწიფო რეგისტრაციაში ტარდება და ტენდერში ან აუქციონში გამარჯვებულ პრეტენდენტს გადაეცემა ტენდერის ან აუქციონის ჩატარებიდან ორი კვირის ვადაში.

6. სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე ტყით სარგებლობის ლიცენზიას გასცემს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო. *(16.09.2004 N 446)*

7. ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების აუცილებლობიდან გამომდინარე, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გადაწყვეტილებით მთავარი სარგებლობის ჭრა შეიძლება განხორციელდეს ტყითსარგებლობის ბილეთით. *(16.09.2004 N 446)*

მუხლი 58. ტყითსარგებლობის ხელშეკრულება

1. გრძელვადიანი ტყით სარგებლობის მიზნით

ტყითსარგებლობის ხელშეკრულება იდება ტენდერში ან აუქციონზე გამარჯვებულ პრეტენდენტსა და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შორის. *(16.09.2004 N 446)*

2. თუ სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე ამ კოდექსის 56-ე მუხლის "დ", "ვ", "თ" და "ი" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საქმიანობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ექვემდებარება ლიცენზირებას, ტყითსარგებლობის ხელშეკრულება იდება ტენდერის ჩატარების გარეშე შესაბამისი ლიცენზიის საფუძველზე და ამ კოდექსის მოთხოვნათა დაცვით.

3. ტყითსარგებლობის ხელშეკრულება ამ კოდექსის 56-ე მუხლის "ი" ქვეპუნქტით განსაზღვრული მიზნით იდება შესაბამისი ლიცენზიის მოქმედების ვადით.

4. დაუშვებელია სახელმწიფო ტყის ფონდის ერთსა და იმავე ტერიტორიაზე ერთი და იმავე სახის ტყითსარგებლობის განხორციელების მიზნით ერთზე მეტი ხელშეკრულების დადება.

5. დაცულ ტერიტორიებზე ტყით სარგებლობის მიზნით ტყით- სარგებლობის ხელშეკრულება იდება ტენდერში ან აუქციონზე გამარჯვებულ პრეტენდენტსა და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შორის „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით. *(16.09.2004 N 446)*

მუხლი 59. ტენდერის და აუქციონის ჩატარების წესი

1. ამოღებულია *(16.09.2004 N 446)*

2. ტენდერის ჩატარების შემთხვევაში გამარჯვებულად ითვლება ის პრეტენდენტი, რომელიც აკმაყოფილებს ტენდერის პირობებს და წარადგენს გარემოს დაცვის მოთხოვნათა შესაბამის, ეკონომიკურად და ტექნიკურად

ყველაზე მისაღებ პროექტს. თუ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად წარდგენილ იქნა მხოლოდ ერთი განცხადება, ლიცენზია გაიცემა ან ხელშეკრულება დაიდება გამოცხადებული პირობების დაცვით.

3. ტენდერი ჩაშლილად ითვლება, თუ ვერც ერთი პრეტენდენტი ვერ აკმაყოფილებს ტენდერის პირობებს.

4. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს ტენდერში მონაწილეობი-სათვის გაწეული ხარჯები არ უნაზღაურ-დებათ.

5. ტენდერის ჩატარების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება იმ პრეტენდენტს, რომელიც ტენდერის ჩატარებამდე ახორციელებდა ტყითსარგებლობას, ასრულებდა გარემოს დაცვის მოთხოვნებსა და ტყითსარგებლობის დოკუმენტით განსაზღვრულ ვალდებულებებს.

6. აუქციონი იმართება იმ შემთხვევაში, თუ ტენდერზე წარდგენილი პროექტები თანაბრად აკმაყოფილებს ტენდერის პირობებს და ამის გამო წარმოიქმნება კონკურენცია.

7. აუქციონის ჩატარების შემთხვევაში გამარჯვებულად ითვლება პრეტენდენტი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებს და ტყითსარგებლობის უფლების მისაღებად სახელმწიფოს ყველაზე მეტ თანხას სთავაზობს.

8. ტენდერსა და აუქციონს ამზადებს და ატარებს შესაბამისი ტყითსარგებლობის დოკუმენტის გაცემის უფლების მქონე ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს ტენდერისა და აუქციონის მოწყობისა და ჩატარების საჯაროობას.

9. დებულებას „ტყითსარგებლობის ლიცენზიის გაცემისა და ხელშეკრულების დადების მიზნით ტენდერისა და აუქციონის ჩატარების წესის შესახებ“ ბრძანებით ამტკიცებს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი. *(16.09.2004 N 446)*

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 60. ტყითსარგებლობა ტყითსარგებლობის ლიცენზიის ან ხელშეკრულების მფლობელის მიერ

ტყითსარგებლობის ლიცენზიის ან ხელშეკრულების მფლობელს უფლება აქვს განახორციელოს ტყითსარგებლობა სატყეო მეურნეობის ან დაცული ტერიტორიების, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის შესაბამის ტერიტორიულ ორგანოში ლიცენზიის ან ხელშეკრულების წარდგენის შემდეგ.

მუხლი 61. ტყითსარგებლობის ბილეთი

1. ტყითსარგებლობის ბილეთი გაიცემა შესაბამისად სატყეო მეურნეობის ან დაცული ტერიტორიების, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის სათანადო ტერიტორიული ორგანოს, ხოლო ადგილობრივი ტყის ფონდის ტერიტორიაზე ტყითსარგებ - ლობისათვის _ ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების შესაბამისი სამსახურის მიერ ამ კოდექსის 56-ე მუხლის "ა", "გ", "დ" და "ე" ქვეპუნქტებით და 57-ე მუხლის მე-7 ნაწილით განსაზღვრული საქმიანობის განსახორციელებლად.

2. ტყითსარგებლობის ბილეთი თ ხე -ტყის დამ ზადება შეიძლება განხორციელდეს გაწმენდითი, ვამოხშირვითი, სანიტარიული, გავლითი, სარეკონსტრუქციო, სპეციალური ჭრებით, აგრეთვე მთავარი სარგებლობის ჭრით.

3. ტყითსარგებლობის ბილეთი გაიც ემა ე რთ წლამდე ვადით და ძალაშია არა უმეტეს მისი გაცემის წლის ბოლომდე.

4. ტყითსარგებლობის ბილეთის გაცემისას უპირატესობა ენიჭება ადგილობრივ მოსახლეობას და ფიზიკურ და იურიდიული პირებს.

მუხლი 62. ტყითმოსარგებლის უფლებები და მოვალეობები

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. ტყითმოსარგებლეს უფლება აქვს:

ა) ისარგებლოს ტყის რესურსებით ტყითსარგებლობის დოკუმენტის შესაბამისად;

ბ) მოითხოვოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვა;

გ) ტყის მართვის უფლების მქონე შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებით ააშენოს ტყითსარგებლობის უფლების განსახორციელებლად საჭირო სამეურნეო და სხვა სპეციალური დანიშნულების დროებითი ნაგებობები;

დ) ტყითსარგებლობის უფლების განსახორციელებლად ისარგებლოს არსებული სატყეო გზებითა და სხვა ინფრასტრუქტურით;

ე) მონაწილეობა მიიღოს ტყის მოვლის, დაცვის, აღდგენისა და გაშენების ღონისძიებებში, აგრეთვე ტყითსარგებლობის დაგეგმვასა და განხორციელებაში;

ვ) ფლობდეს, სარგებლობდეს და განკარგოს ტყითსარგებლობის შედეგად მოპოვებული რესურსი;

ზ) გაეცნოს ტყითსარგებლობის დადგენილ წესებს.

2. ტყითმოსარგებლე ვალდებულია:

ა) გაეცნოს ტყითსარგე ბლობის დადგ ენილ წ ესებს და იხელმძღვანელოს ამ წესებით;

ბ) განახორციელოს მხოლოდ ტყითსარგებლობის დოკუმენტით განსაზღვრული სახის ტყითსარგებლობა მასში მითითებულ ადგილებზე, მოცულობით და ვადებში;

გ) თავისი საქმიანობით ხელი არ შეუშალოს ტყის მოვლისა და დაცვის ღონისძიებების განხორციელებას;

დ) დაიცვას ხანძარსაწინააღმდეგო წესები, ხოლო ხანძრის საფრთხის შემთხვევაში მიიღოს ზომები მის სალიკვიდაციოდ და საფრთხის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს სათანადო ორგანოებს;

ე) აწარმოოს სამუშაოები ისეთი ფორმებით, მეთოდებითა და საშუალებებით, რომლებიც არ გამოიწვევს

ნიადაგის ეროზიას, შეზღუდავს ან გამორიცხავს ტყითსარგებლობის უარყოფით გავლენას გარემოზე, ტყეების მდგომარეობასა და აღდგენაზე;

ვ) გაუფრთხილდეს ტყეს, დაიცვას მისი რესურსები და ბუნებრივი თვისებები;

ზ) დაიცვას ტყითსარგებლობის უსაფრთხოების წესები;

თ) შეასრულოს ტყის სანიტარიული დაცვის წესები;

ი) შესაძლებლობის ფარგლებში აღკვეთოს და სახელმწიფო ტყის ფონდის მართვის უფლების მქონე და სამართალდამცავ ორგანოებს დაუყოვნებლივ აცნობოს უკანონო ტყითსარგებლობის ფაქტები;

კ) სრული მოცულობით შეასრულოს ტყითსარგებლობის დოკუმენტით განსაზღვრული სამუშაოები.

მუხლი 63. ტყითმოსარგებლის უფლებების დაცვის გარანტიები

1. დაუშვებელია ტყითსარგებლობის დოკუმენტით ტყითმოსარგებლი-სათვის მინიჭებული უფლების უკანონო ხელყოფა.

2. ტყითმოსარგებლის უფლების უკანონო შეზღუდვის, შეჩერების და შეწყვეტის შემთხვევაში ეს უფლება უნდა აღდგეს, ხოლო მისთვის მიყენებული ზიანი უნდა ანაზღაურდეს.

3. სახელმწიფო და საზოგადოებრივი საჭიროების გამო ტყითსარგებლობის უფლების შეწყვეტის შემთხვევაში ტყითმოსარგებლეს მიყენებული ზიანი უნაზღაურდება შესაბამისი ბიუჯეტიდან.

4. ტყითსარგებლობის უფლების შეზღუდვა, შეჩერება და შეწყვეტა დაიშვება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 64. ტყითსარგებლობის უფლების შეზღუდვისა და შეჩერების საფუძვლები

ტყითსარგებლობის უფლება შეიძლება შეიზღუდოს ან შეჩერდეს, თუ:

ა) ტყითმოსარგებლე არღვევს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნებს ან/და ტყითსარგებლობის დოკუმენტის პირობებს;

ბ) ტყის რესურსებით სარგებლობასთან დაკავშირებული სამუშაოები საფრთხეს უქმნის ამ სამუშაოების განხორციელების ზონაში მომუშავე ან მცხოვრები ადამიანების ჯანმრთელობას;

გ) ტყითმოსარგებლე არღვევს ტყითსარგებლობის სამუშაოთა განხორციელების უსაფრთხოების დადგენილ წესებს;

დ) ტყითმოსარგებლე დადგენილ ვადაში არ იხდის ტყითსარგებლობასთან დაკავშირებულ გადასახადებს;

ე) შეიქმნა საგანგებო მდგომარეობა.

მუხლი 65. ტყითსარგებლობის უფლების შეზღუდვისა და შეჩერების წესი

1. გადაწყვეტილებას ტყითსარგებლობის უფლების შეზღუდვისა და შეჩერების, აგრეთვე ამ უფლების აღდგენის შესახებ იღებს შესაბამისი ტყითსარგებლობის დოკუმენტის გამცემი ორგანო და წერილობით აცნობებს ტყითმოსარგებლეს.

2. სატყეო მეურნეობის ან დაცული ტერიტორიების, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს მიერ მითითებულ ვადაში (არა უმეტეს 3 თვისა) ტყითსარგებლობის უფლების შეზღუდვისა და შეჩერების მიზეზების აღმოფხვრის შემთხვევაში ტყითმოსარგებლის უფლებე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი აღდგება სრული მოცულობით.

3. თუ ტყითსარგებლობის უფლების შეზღუდვის ან შეჩერების დღიდან 3 თვის განმავლობაში ტყითსარგებლობის უფლება არ იქნება აღდგენილი, დგება ტყითსარგებლობის უფლების შეწყვეტის საკითხი.

4. ტყითსარგებლობის უფლების შეზღუდვის და შეჩერების შემთხვევაში წარმოშობილ დავას წყვეტს სასამართლო.

მუხლი 66. ტყითსარგებლობის უფლების შეწყვეტის საფუძვლები

ტყითსარგებლობის უფლება წყდება შემდეგი საფუძვლების არსებობისას:

ა) ტყითსარგებლობის დოკუმენტით გათვალისწინებული პირობების დარღვევა ან დადგენილი ვადის გასვლა;

ბ) ტყითსარგებლობის უფლების მქონე პირის ინიციატივა;

გ) ტყითმოსარგებლის მიერ ლიცენზიით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამეწარმეო საქმიანობის ხანგრძლივი ვადით (ერთი და მეტი წლით) შეჩერება, რამაც შესაძლოა ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ტყის ფონდს;

დ) გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევა, აგრეთვე ტყითსარგებლობის დოკუმენტით გათვალისწინებული და ტყითსარგებლობის შემდგომი გაგრძელების გამომრიცხავი პირობების შექმნა;

ე) ტენდერის ან აუქციონის პირობების უხეში დარღვევა, აგრეთვე ტყითსარგებლობის დოკუმენტის პირობების უკანონო ლიბერალიზაციისა და გადასახადის შემცირების მიზნით გარიგების ფაქტის დადგენა;

ვ) იმ საწარმოს ლიკვიდაცია, რომელზედაც გაცემული იყო ტყითსარგებლობის დოკუმენტი;

ზ) სასამართლოს მიერ იმ ფიზიკური პირის ქმედუუნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდ ან გარდაცვლილად აღიარება, ვისზედაც გაცემული იყო ტყითსარგებლობის დოკუმენტი;

თ) ტყითსარგებლობის დოკუმენტით გათვალისწინებული გადასახადებისა და მოსაკრებლების გადაუხდელობა ან გადახდაზე უარის თქმა.

მუხლი 67 . ტყითსარგებლობის უფლების შეწყვეტის წესი

1. ამ კოდექსის 66-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მოტივირებული და არგუმენტირებული საფუძვლის არსებობისას, ტყითსარგებლობის უფლების შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი ტყითსარგებლობის დოკუმენტის გამცემი ან მისი ზემდგომი ორგანო.

2. შესაბამისი ტყითსარგებლობის დოკუმენტის გამცემი ორგანო ტყითსარგებლობის უფლების შეწყვეტის შესახებ ტყითმოსარგებლეს წინასწარ აცნობებს წერილობით და უდგენს ვადას მისი პოზიციების (ინტერესების) დასაცავად.

3. ტყითსარგებლობა წყდება შესაბამისი ტყითსარგებლობის დოკუმენტის გამცემი ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისა და ამის შესახებ ტყითმოსარგებლის წერილობით ინფორმირებისთანავე.

4. ტყითსარგებლობის უფლების მქონე პირის ინიციატივით ტყითსარგებლობა წყდება შესაბამისი ტყითსარგებლობის დოკუმენტის გამცემი ორგანოს წერილობით ინფორმირებიდან ერთ თვეში.

5. ტყითსარგებლობის უფლების შეწყვეტის შემთხვევაში წარმოშობილ დავას წყვეტს სასამართლო.

თავი XV. ხე-ტყის დამზადება

მუხლი 68. ხე-ტყის დამზადება

1. საქართველოს ტყის ფონდის ტერიტორიაზე ხე-ტყის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამზადების მიზნით ხ ორციელდება მთავარი სარგებლობისა და გავლითი ჭრები, თუ უზრუნველყოფილია მერქნის თანაბარი და უწყვეტი მოპოვების პირობები ტყის სასარგებლო ბუნებრივი თვისებებისათვის ზიანის მიუყენებლად.

2. ხე-ტყის დამზადება შეიძლება განხორციელდეს, აგრეთვე გაწმენდითი, გამოხშირვითი, სარეკონსტრუქციო, სანიტარიული და სპეციალური ჭრებით.

3. მთავარი სარგებლობის ჭრა ხორციელდება მწიფე და მწიფეზე უხნეს კორომებში.

4. გაწმენდითი, გამოხშირვითი, სარეკონსტრუქციო, სანიტარიული და გავლითი ჭრები ხორციელდება შესაბამისად ამ კოდექსის 101_105-ე მუხლებით განსაზღვრულ კორომებში.

5. სპეციალური ჭრა ხორციელდება აუცილებლობის შემთხვევაში, სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობისა და მიჩენილი უბნის გამოყოფის მიზნის განსახორციელებლად, აგრეთვე მოსახლეობის საწვავი შეშით უზრუნველსაყოფად.

6. საქართველოს ტყეებში ხე-ტყის დამზადება ხორციელდება 35 გრადუსამდე დაქანების ფერდობებზე.

7. დ-ებულებას "სპეციალური ჭრისა და მისი განხორციელების წესის შესახებ" შეიმუშავებს და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით ამტკიცებს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი.

მუხლი 69. სახელმწიფო ტყის ფონდის 30-დან 35 გრადუსამდე დაქანების ფერდობებზე ტყითსარგებლობის განხორციელების სპეციალური მოთხოვნები

1. სახელმწიფო ტყის ფონდის 30-დან 35 გრადუსამდე დაქანების ფერდობებზე ხე-ტყის დამზადება დაიშვება

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ:

ა) წინასწარი სპეციალური გამოკვლევის შემდეგ;

ბ) საბაგირო და საჰაერო ტრანსპორტის გამოყენებით, ხოლო მოვლითი ჭრების განხორციელება _ აგრეთვე ცოცხალი გამწევი ძალით;

გ) ხე-ტყის დამზადების პარალელურად ტყის აღდგენის ღონისძიებების განხორციელების შემთხვევაში.

2. სახელმწიფო ტყის ფონდის 30-დან 35 გრადუსამდე დაქანების ფერდობებზე ხე-ტყის დამზადების სხვა აუცილებელი მოთხოვნები დგინდება ტყეთმოწყობის მასალების საფუძველზე და სავალდებულოა შესასრულებლად.

მუხლი 70. მთავარი სარგებლობის ჭრა

1. მთავარი სარგებლობის ჭრა ხორციელდება მერქნის მიღების მიზნით მხოლოდ ნიადაგდაცვით და წყალმარეგულირებელ ტყეებში, ჭალის ტყეების გარდა.

2. მთავარი სარგებლობის ჭრის სახეებია:

ა) პირწმინდა ჭრა;

ბ) თანდათანობითი ჭრა;

გ) ჯგუფურ-ამორჩევითი ჭრა;

დ) ნებით-ამორჩევითი ჭრა.

3. პირწმინდა ჭრა არის ტყის განსაზღვრული უბნის ტერიტორიაზე არსებული ხეების რბილმერქნიან სახეობათა ერთდროული (პირწმინდა) მოჭრა, გარდა 20 წლამდე ასაკის მოზარდი ხეებისა და ხორციელდება მხოლოდ ვაკე რელიეფის, ნოლიდან 5 გრადუსამდე დაქანების ფერდობებზე.

4. თანდათანობითი ჭრა არის ტყის განსაზღვრული უბნის ტერიტორიაზე ჭრების განხორციელება ხანგრძლივი პერიოდის (30-40 წლის) განმავლობაში და გულისხმობს ამ პერიოდში ტყის საბურველის თანდათანობით და თანაბრად

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეთხელებას. თანდათანობითი ჭრა ხორციელდება 20 გრადუსამდე დაქანების ფერდობებზე.

5. ჯგუფურ-ამორჩევითი ჭრა არის ტყის განსაზღვრული უბნის ტერიტორიაზე ხანგრძლივი პერიოდის (20-40 წლის) განმავლობაში ამ უბნის ცალკეულ მცირე მონაკვეთებზე პირწმინდა ჭრა.

6. ჯგუფურ-ამორჩევითი ჭრის განსახორციელებლად მცირე მონაკვეთების შერჩევის და მათი გაფართოების ძირითადი პრინციპია ტყის განსაზღვრული უბნის ტერიტორიაზე მათი თანაბარი განაწილება და ტყის ბუნებრივი განახლებისათვის მაქსიმალური ხელშეწყობა. ჯგუფურ-ამორჩევითი ჭრა ხორციელდება 20 გრადუსამდე დაქანების ფერდობებზე.

7. ნებით-ამორჩევითი ჭრა არის ტყის განსაზღვრული უბნის ტერიტორიაზე არსებული მწიფე და მწიფეზე უხნესი, აგრეთვე სატყეო-სამეურნეო თვალსაზრისით მიზანშეწონილი სხვა ხეების თანდათანობით და მთელ უბანზე გადაანგარიშებით თანაბარი ჭრა.

მუხლი 71. ტყის სიმწიფისა და ჭრის ოპტიმალური ხნოვანების დადგენა

მთავარი სარგებლობის ჭრების განსახორციელებლად ტყის შემქმნელი ხეების ძირითად მერქნიან სახეობათა მიხედვით ბიოლოგიურ, რაოდენობრივ, ტექნიკურ და სხვა სახის სიმწიფესა და ჭრის ოპტიმალურ ხნოვანებას გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით ამტკიცებს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი.

მუხლი 72. საანგარიშო ტყეკაფი

1. სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი, ტყეთმოწყობის მასალების საფუძველზე, მისი ტერიტორიული ორგანოების სამოქმედო ტერიტორიების მიხედვით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძელვადიანი ტყითსარგებლობის მიზნით ადგენს მთავარი სარგებლობის ჭრებით ხე-ტყის დამზადების ყოველწლიურ შესაძლო ოპტიმალურ ოდენობას (შემდგომ - საანგარიშო ტყეკაფი).

2. საანგარიშო ტყეკაფს ადგენს და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით ამტკიცებს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი.

3. საანგარიშო ტყეკაფის გაზრდა ან შემცირება დაიშვება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით ტყეთმოწყობის მასალების, ტყეების დაცვის რეჟიმის, კატეგორიების და სხვა ისეთი პირობების შეცვლისას, რომლებიც გავლენას ახდენს ტყეების მდგომარეობაზე და შესაბამისად - ტყეთმოწყობის მასალებზე.

მუხლი 73. ტყეკაფი და მისი ტყითმოსარგებლისთვის გადაცემა

1. ტყეკაფი გამოიყოფა და ტყითმოსარგებლეს გადაეცემა ერთ წლამდე ვადით ტყითსარგებლობისათვის.

2. ტყეკაფის ოდენობის გადამეტებით ჭრა დაიშვება მხოლოდ წინა წელს აუთვისებელი ტყეკაფის ხარჯზე.

3. ტყითმოსარგებლეს ტყეკაფი გადაეცემა ტყითსარგებლობის დოკუმენტის საფუძველზე ხე-ტყის ზეზეურად გაცემის წესით შესაბამისად ამ კოდექსის მე-15 და მე-16 მუხლებით უფლებამოსილი ორგანოების ტერიტორიული ორგანოების მიერ.

4. ამოღებულია *(29.12.2004 N 899)*

5. ტყეკაფის გამოყოფის მიზნით კერძო დაფინანსების გამოყენების შემთხვევაში ინვესტორს (პრეტენდენტს) ტყითსარგებლობის ლიცენზიის გაცემის დროს თანაბარ პირობებში ენიჭება უპირატესობა.

6. თუ ინვესტორმა ვერ მიიღო ლიცენზია, მას ტყეკაფის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოყოფის მიზნით გაწეული ხარჯი უნაზღაურდება ლიცენზიის მფლობელის მიერ.

მუხლი 74. ტყითსარგებლობის წესები ხე-ტყის დამზადებისას

ხე-ტყის დამზადების მიზნით ტყითსარგებლობის განსახორციელებლად სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი:

ა) გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით შეიმუშავებს და საქართველოს პრეზიდენტს დასამტკიცებლად წარუდგენს დებულებას "მთავარი სარგებლობის ჭრის წესის შესახებ";

ბ) გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით შეიმუშავებს და ამტკიცებს დებულებას "საანგარიშო ტყეკაფის დადგენის წესის შესახებ";

გ) გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით შეიმუშავებს და ამტკიცებს დებულებას "ტყითსარგებლობის უფლების შეზღუდვის, შეჩერებისა და შეწყვეტის წესის შესახებ";

დ) შეიმუშავებს და საქართველოს პრეზიდენტს დასამტკიცებლად წარუდგენს დებულებას "ხე-ტყის ზეზეურად გაცემის წესის შესახებ";

ე) შეიმუშავებს და ამტკიცებს დებულებას "ტყეკაფის გამოყოფის წესის შესახებ".

თავი XVI. სატყეო პლანტაციური მეურნეობა

მუხლი 75. სატყეო პლანტაციური მეურნეობა

1. სატყეო პლანტაციური მეურნეობა არის გრძელვადიანი ტყითსარგებლობა და გულისხმობს სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე ხე-ტყის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასურველი პროდუქტებისა და სხვა მცენარეული რესურსების ოპტიმალური ოდენობით მოპოვებას.

2. სატყეო პლანტაციური მეურნეობის მოსაწყობად მერქნიან მცენარეთა სახეობების შერჩევა ხდება ტყითსარგებლობის ხელშეკრულების საფუძველზე და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

3. სატყეო პლანტაციურ მეურნეობაში მიღებული რესურსებით სარგებლობა ხორციელდება ტყითსარგებლობის ხელშეკრულების შესაბამისად.

მუხლი 76. ტყითსარგებლობის წესი სატყეო პლანტაციური მეურნეობის წარმოების მიზნით

სატყეო პლანტაციური მეურნეობის წარმოების წესს ადგენს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი დებულებით "სატყეო პლანტაციური მეურნეობის წარმოების წესის შესახებ".

თავი XVII. ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებისა და ხის მეორეხარისხოვანი მასალების დამზადება

მუხლი 77. ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებისა და ხის მეორეხარისხოვანი მასალების დამზადება

1. ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებისა და ხის მეორეხარისხოვანი მასალების დამზადების წესი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ საქართველოს ტყის ფონდისა და მისი ბიომრავალფეროვნების დაცვის მოთხოვნებს.

2. ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებისა და ხის მეორეხარისხოვანი მასალების დამზადების მიზნით ტყითსარგებლობა ხორციელდება ტყეთმოწყობისა და გამოვლენილი რესურსების მარაგის შესაბამისად.

3. ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებისა და ხის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორეხარისხოვანი მასალების დამზადება ხორციელდება გადამუშავების, მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისა და სხვა სამეწარმეო მიზნით ამ კოდექსისა და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

4. ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებისა და ხის მეორეხარისხოვანი მასალების დამზადება ხორციელდება "ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებისა და ხის მეორეხარისხოვანი მასალების დამზადების წესის შესახებ" დებულების შესაბამისად, რომელსაც შეიმუშავებს და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით ამტკიცებს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი.

მუხლი 78. ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებით სატყეო-სამეურნეო მიზნით სარგებლობა

ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებით სარგებლობა სატყეო-სამეურნეო მიზნით სატყეო მეურნეობის ან დაცული ტერიტორიების, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის ტერიტორიული ორგანოების მიერ შეიძლება განხორციელდეს ტყითსარგებლობის დოკუმენტის გარეშე.

თავი XVIII. სახელმწიფო ტყის ფონდის არამერქნული რესურსებით სარგებლობა

მუხლი 79. სახელმწიფო ტყის ფონდის არამერქნული რესურსებით სარგებლობა

1. სახელმწიფო ტყის ფონდის არამერქნული რესურსებით სარგებლობა ხორციელდება ტყეთმოწყობის მასალებისა და სპეციალური გამოკვლევებით გამოვლენილი რესურსების საფუძველზე.

2. სახელმწიფო ტყის ფონდის არამერქნული

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესურსების დამზადების წესი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს ტყის ფონდისა და ბიომრავალფეროვნების დაცვის შესახებ საქართველოს კანონმდებლობას.

3. სახელმწიფო ტყის ფონდის არამერქნული რესურსებით სარგებლობა ხორციელდება "სახელმწიფო ტყის ფონდის არამერქნული რესურსებით სარგებლობის წესის შესახებ" დებულების შესაბამისად, რომელსაც სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტთან შეთანხმებით შეიმუშავებს და ამტკიცებს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.

თავი XIX. სახელმწიფო ტყის ფონდით სასოფლო-სამეურნეო მიზნით სარგებლობა

მუხლი 80. სახელმწიფო ტყის ფონდის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებით სარგებლობა

სახელმწიფო ტყის ფონდის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებით სარგებლობის ნებართვის გაცემა წესრიგდება ამ კოდექსით, "სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ" საქართველოს კანონით და "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარით გაცემის წესის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 2 აგვისტოს N446 ბრძანებულებით.

მუხლი 81. სახელმწიფო ტყითა და სახელმწიფო ტყის ფონდის სატყეო, სპეციალური დანიშნულებისა და გამოუყენებელი მიწებით სასოფლო-სამეურნეო მიზნით სარგებლობა

1. სახელმწიფო ტყითა და სახელმწიფო ტყის ფონდის სატყეო, სპეციალური დანიშნულებისა და გამოუყენებელი მიწებით სასოფლო-სამეურნეო მიზნით სარგებლობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულისხმობს მათ გამოყენებას სათიბად, საძოვრად, სახნავად, მრავალწლიანი ნაყოფის მომცემი ნარგავების გასაშენებლად, პირუტყვის დროებითი სადგომებისა და სხვათა მოსაწყობად.

2. სახელმწიფო ტყისა და სახელმწიფო ტყის ფონდის სატყეო, სპეციალური დანიშნულებისა და გამოუყენებელი მიწებით სასოფლო-სამეურნეო მიზნით სარგებლობისათვის ტყითსარგებლობის დოკუმენტს, ტყეთმოწყობის მასალების საფუძველზე და ამ კოდექსის 56-ე მუხლის "ე" ქვეპუნქტის გათვალისწინებით გასცემენ შესაბამისად ამ კოდექსის მე-15 და მე-16 მუხლებით უფლებამოსილი ორგანოები ან მათი საქვეუწყებო დაწესებულებები.

3. სახელმწიფო ტყისა და სახელმწიფო ტყის ფონდის სატყეო, სპეციალური დანიშნულებისა და გამოუყენებელი მიწებით სასოფლო-სამეურნეო მიზნით სარგებლობისათვის ტყითსარგებლობის ბილეთი გაიცემა უპირატესად ადგილობრივ მოსახლეობაზე.

თავი XX. სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური მიზნით სარგებლობა

მუხლი 82. სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური მიზნით სარგებლობის უფლების გაცემა

1. ტყითმოსარგებლე სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური მიზნით სარგებლობის უფლებას ახორციელებს ტყითსარგებლობის ხელშეკრულების შესაბამისად იმ ფორმებითა და მეთოდებით, რომლებიც ყველაზე ნაკლებ ზიანს აყენებს სახელმწიფო ტყის ფონდს.

2. სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური მიზნით სარგებლობის ხელშეკრულების მფლობელი ანაზღაურებს სახელმწიფო ტყის ფონდის გამოყენებული და დაზიანებული რესურსების ღირებულებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური მიზნით სარგებლობის წესს, ამ კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად და ტყითმოსარგებლის ინტერესების გათვალისწინებით, ადგენს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი.

თავი XXI. სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო მიზნით ტყითსარგებლობა

მუხლი 83. სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო მიზნით ტყითსარგებლობა

1. საქართველოს ტყის ფონდი შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო მიზნით ტყითსარგებლობისათვის.

2. სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო დაწესებულებას სახელმწიფო შეკვეთების განხორციელების მიზნით სახელმწიფო ტყის ფონდით სარგებლობის უფლება ენიჭება ტენდერის გარეშე.

3. სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო მიზნით ტყითსარგებლობის დოკუმენტის გაცემისას ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ დაწესებულებებს შორის პრივილეგია ენიჭება იმ დაწესებულებას, რომელიც აპირებს სახელმწიფო ტყის ფონდის რესურსების კვლევასა და შესწავლას.

მუხლი 84. სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო მიზნით ტყითსარგებლობის განხორციელება

1. ტყის კვლევისა და შესწავლის მიზნით ტყითმოსარგებლე სახელმწიფო დაწესებულებას უფლება აქვს უფასოდ ისარგებლოს სახელმწიფო ტყის ფონდის მართვის უფლების მქონე სახელმწიფო ორგანოებში არსებული და მისთვის აუცილებელი ნებისმიერი ინფორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაციით, საქართველოს კანონმდებლობით გა ნსაზღვრული შემთხვევების გარდა.

2. ტყის კვლევისა და შესწავლის მიზნით ტყითმოსარგებლე სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება ვალდებულია სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტს უსასყიდლოდ მიაწოდოს სახელმწიფო ტყის ფონდისა და მისი მდგომარეობის შესახებ მის ხელთ არსებული ინფორმაცია ამ კოდექსის მე-8 თავით დადგენილი წესების შესაბამისად.

3. სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო დაწესებულებაზე, რომელიც ტყის კვლევისა და შესწავლის მიზნით სარგებლობს სახელმწიფო ტყის ფონდითა და მისი რესურსებით, ვრცელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შეღავათები.

4. სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე ისეთი სამეცნიერო-კვლევითი ღონისძიების ან დაკვირვების განხორციელება, რომელიც გავლენას არ ახდენს სახელმწიფო ტყის ფონდსა და მის რესურსებზე, უფასოა და სპეციალურ ნებართვას არ საჭიროებს.

5. ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული ინფორმაცია, რომელიც მოპოვებულია ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირის სახსრებით, არის ამ პირის საკუთრება და ქვეყნდება მესაკუთრესთან შეთანხმებით.

6. სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო ღონისძიებების განხორციელების ზოგადი წესი განისაზღვრება დებულებით "სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო ღონისძიებების განხორციელების ზოგადი წესის შესახებ", რომე ლსაც შეიმუშავებს და ამტკიცებს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი XXII. სახელმწიფო ტყის ფონდით საკურორტო, რეკრეაციული, სპორტული და სხვა კულტურულ-გამაჯანსაღებელი მიზნით სარგებლობა

მუხლი 85. სახელმწიფო ტყის ფონდით საკურორტო, რეკრეაციული, სპორტული და სხვა კულტურულ-გამაჯანსაღებელი მიზნით სარგებლობა

1. სახელმწიფო ტყის ფონდი შეიძლება გამოყენებულ იქნეს საკურორტო, რეკრეაციული, სპორტული და სხვა კულტურულ-გამაჯანსაღებელი მიზნით, აგრეთვე ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლებისა და მნიშვნელოვანი ეკონომიკური სარგებლის მიღების უზრუნველსაყოფად.

2. საკურორტო, რეკრეაციული, სპორტული და სხვა კულტურულ-გამაჯანსაღებელი მიზნით შენობა-ნაგებობებისა და დამხმარე სათავსების აშენება, მოწყობილობებისა და სპორტული ინვენტარის დამონტაჟება და სხვა სამუშაოების დაგეგმვა და შესრულება ხორციელდება შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე.

თავი XXIII. სამონადირეო მეურნეობის მოწყობა

მუხლი 86. სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე სამონადირეო სავარგულის შერჩევა

1. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარდა, ამ კოდექსის მე-15 და მე-16 მუხლებით უფლებამოსილ ორგანოებსა და იურიდიულ პირებს უფლება აქვთ სამონადირეო სავარგულის შესარჩევად აღრიცხონ ცხოველთა სამყაროს ობიექტები თავიანთი სამოქმედო ტერიტორიების იმ ფართობებზე ან მათ ცალკეულ ნაწილებზე, სადაც იგი არ ჩატარებულა "ცხოველთა სამყაროს შესახებ" საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნათა შესაბამისად.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული მიზნით შეიძლება გამოყენებულ იქნეს სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების სახსრები ან კერძო დაფინანსება.

3. ცხოველთა სამყარ ოს ობიექტების აღრი ცხვისათვის კერძო დაფინანსების გამოყენების შემთხვევაში:

ა) ინვესტორს (პრეტენდენტს) ენიჭება უპირატესობა "ცხოველთა სამყაროს შესახებ " საქართველოს კა ნონის 29-ე და 46-ე მუხლებით განსაზღვრული ლიცენზიების გაცემის დროს;

ბ) თუ ინვესტორმა ვერ მიიღო ლიცენზია, მას ცხოველთა სამყაროს ობიექტების აღრიცხვაზე გაწეულ ხარჯს უნაზღაურებს ლიცენზიის მფლობელი.

4. ამ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად ჩატარებული ცხოველთა სამყაროს ობიექტების აღრიცხვის მასალები ჩაითვლება "ცხოველთა სამყაროს შესახებ" საქართველოს კანონის 29-ე და 46-ე მუხლებით განსაზღვრული ლიცენზიების გაცემის და 28-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული დებულებისა და ბრძანების საფუძვლად.

5. დებულებას "სახელმწიფო ტყის ფონდის განსაზღვრულ ტერიტორიაზე ცხოველთა სამყაროს ობიექტების აღრიცხვის მეთოდებისა და წესის შესახებ" შეიმუშავებს და სატყეო მეურნეობის და დაცული ტერიტორიების, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტებთან შეთანხმებით ამტკიცებს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.

მუხლი 87. ტყითსარგებლობის ხელშეკრულება სამონადირეო მეურნეობის მოწყობისა და მართვის შესახებ

ტყითსარგებლობის ხელშეკრულება სამონადირეო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეურნეობის მოწყობისა და მართვის შესახებ იდება "ცხოველთა სამყაროს შესახებ " საქართველოს კანონის 29-ე და 46-ე მუხლებით განსაზღვრული ლიცენზიების საფუძველზე ამ კოდექსის მე-15 ან მე-16 მუხლით უფლებამოსილ შესაბამის ორგანოსა და ლიცენზიების მფლობელს შორის ლიცენზიის მოქმედების ვადით და ითვალისწინებს:

ა) სამონადირეო მეურნეობის წარმართვას ლიცენზიით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში და ისე, რომ სახელმწიფო ტყის ფონდს ზიანი არ მიადგეს;

ბ) სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე ცხოველთა დაცვას ლიცენზიის მფლობელის ხარჯებით.

თავი XXIV. მოსახლეობის ტყეში ყოფნა

მუხლი 88. მოსახლეობის ტყეში ყოფნა

1. მოსახლეობის ტყეში ყოფნა ტყითსარგებლობად არ ითვლება.

2. ყველას აქვს უფლება ისარგებლოს ტყის ბუნებრივი გარემოთი.

3. მოსახლეობას უფლება აქვს:

ა) იმყოფებოდეს და თავისუფლად გადაადგილდეს ტყეში, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი;

ბ) პირადი მოხმარების მიზნით შეაგროვოს ტყის არამერქნული რესურსები და ხის მეორეხარისხოვანი მასალები;

გ) ტყის ბუნებრივი თვისებები გამოიყენოს დასვენების, ტურიზმისა და ესთეტიკურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მიზნით.

4. მოსახლეობა ვალდებულია:

ა) გაუფრთხილდეს ტყეს და დაიცვას მისი სიმდიდრე;

ბ) დაიცვას ტყეში სახანძრო უსაფრთხოების წესები, არ და უშვას ხე ებისა დ ა ბუჩქნა რების მტვრევა და გაჩ ეხვა, ტყის კულტურების დაზიანება, ტყის დანაგვიანება და სხვა ისეთი ქმედება, რომელიც ზიანს აყენებს ბუნებრივ გარემოს.

5. მოსახლეობის ტყეში ყოფნა, მის მიერ ტყის არამერქნული რესურსების შეგროვება და სახელმწიფო ტყის ფონდთან დაკავშირებული მისი სხვა უფლებები შეიძლება შეიზღუდოს შესაბამისად ამ კოდექსის მე-15 და მე-16 მუხლებით უფლებამოსილი ორგანოების, აგრეთვე მათი ტერიტორიული ორგანოების მიერ ამ კოდექსით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

თავი XXV. ტყითსარგებლობის ზოგიერთი თავისებურება

მუხლი 89. ტყითსარგებლობის თავისებურება სახელმწიფო სასაზღვრო ზოლში

ტყითსარგებლობა სახელმწიფო სასაზღვრო ზოლში ხორციელდება ამ კოდექსის და "საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით.

მუხლი 90. ტყითსარგებლობა წყალდაცვით ზოლში

ტყითსარგებლობა წყალდაცვით ზოლში ხორციელდება "წყლის შესახებ " საქართველოს კანონის და საქართველოს საზღვაო კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

თავი XXVI . ტყითსარგებლობის გადასახადები და მოსაკრებლები

მუხლი 91. ტყითსარგებლობის გადასახადები და მოსაკრებლები

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. ტყითსარგებლობა ფასიანია.

2. ტყითსარგებლობისთვის გადახდილი უნდა იქნეს:

ა) ბუნებრივი რესურსების სანიხრე გადასახადი;

ბ) ტყითსარგებლობის ნებართვის მისაღებად აუცილებელი დოკუმენტაციის მომზადებისათვის, მათ შორის, ტყეკაფის გამოყოფისათვის აუცილებელი ხარჯები;

გ) საორგანიზაციო ღონისძიებათა ხარჯები, რომლებსაც იხდის ტყითსარგებლობის ლიცენზიის გაცემის ან ხელშეკრულების დადების მიზნით ჩატარებულ ტენდერში და აუქციონში მონაწილე ყველა პრეტენდენტი;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ხარჯები.

3. დებულებას "ტყითსარგებლობის სანებართვო დოკუმენტის გაცემისათვის აუცილებელი დოკუმენტაციის მომზადების, მათ შორის, ტყეკაფის გამოყოფისათვის საჭირო თანხების და მათი გადახდის წესის შესახებ" შეიმუშავებს და ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროებთან შეთანხმებით ამტკიცებს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი.

მუხლი 92. ტყითსარგებლობისა და ტყის რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებული გადასახადებისა და მოსაკრებლებისგან გათავისუფლება

1. ტყითსარგებლობა უფასოა:

ა) ამ კოდექსის მე-15 და მე-16 მუხლებით უფლებამოსილი ორგანოებისა და მათი ტერიტორიული ორგანოების მიერ ამ კოდექსის 78-ე მუხლითა და 106-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებისას;

ბ) სახელმწიფო შეკვეთით სამეცნიერო და სასწავლო მიზნით ტყითსარგებლობისას;

გ) მოსახლეობის მიერ ტყეში პირადი მოხმარებისათვის (არასამეწარმეო მიზნით) ფიჩხის, ველური ხილის, კენკრის,

კაკლოვანთა, სოკოს, სამკურნალო მცენარეთა შეგროვებისას;

დ) ტყის დაცვის მუშაკთა მიერ ტყის რესურსების არასამეწარმეო მიზნით, პირადი მეურნეობისათვის მოხმარებისას.

თავი XXVII. ხე-ტყის კანონიერად დამზადების დამადასტურებელი დოკუმენტი

მუხლი 93. ხე-ტყის კანონიერად დამზადების დამადასტურებელი დოკუმენტი

1. სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე ამ კოდექსის მოთხოვნათა დაცვით დამზადებული ხე-ტყის ტყიდან ტრანსპორტირებისთვის თითოეულ სატრანსპორტო საშუალებაზე გაიცემა ხე-ტყის კანონიერად დამზადების დამადასტურებელი დოკუმენტი.

2. ხე-ტყის კანონიერად დამზადების დამადასტურებელი დოკუმენტი გაიცემა შესაბამისად სატყეო მეურნეობის ან დაცული ტერიტორიების, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის ტერიტორიული ორგანოს, ხოლო ადგილობრივი ტყის ფონდის ტერიტორიაზე ხე-ტყის დამზადების შემთხვევაში – ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების შესაბამისი სამსახურის უფლებამოსილი ტყის დაცვის მუშაკის მიერ და არის ხე-ტყის საკუთრების დამადასტურებელი ერთადერთი და საკმარისი დოკუმენტი.

3. აკრძალულია ხე-ტყის კანონიერად დამზადების დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე ხე-ტყის პირველადი გადამუშავება და ხე-ტყისა და პირველადი გადამუშავების პროდუქტების ტრანსპორტირება და რეალიზაცია. ხე-ტყის კანონიერად დამზადების დამადასტურებელი დოკუმენტი მოთხოვნის შემთხვევაში წარედგინება საქართველოს კანონმდებლობით უფლებამოსილ პირს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. ხე-ტყის კანონიერად დამზადების დამადასტურებელი დოკუმენტის ფორმა და გაცემის წესი განისაზღვრება დებულებით "ხე-ტყის კანონიერად დამზადების დამადასტურებელი დოკუმენტისა და მისი გაცემის წესის შესახებ", რომელსაც შეიმუშავებს და შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით ამტკიცებს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი.

მუხლი 94. ტყის ნებაყოფლობითი სერტიფიცირება

1. დასაშვებია ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირის მიერ ტყის, მისი რესურსებისა და საქართველოს ტყის ფონდის მართვის ღონისძიებების ნებაყოფლობითი სერტიფიცირება.

2. ტყის ნებაყოფლობითი სერტიფიცირების წესი განისაზღვრება საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კარი V. ტყის აღდგენა და მოვლა

თავი XXVIII ტყის აღდგენა

მუხლი 95. საქართველოს ტყის ფონდის აღდგენა და მისი მიზანი

1. საქართველოს ტყის ფონდის აღდგენა არის სატყეო-სამეურნეო ღონისძიებათა მრავალწლიანი ციკლი, რომლის მიზანია ტყის ფონდის ტყით დაუფარავ ფართობებზე და დაბალი სიხშირის კორომებში ტყის აღდგენა და გაშენება.

2. სახელმწიფო ტყის ფონდის აღდგენის ღონისძიებებს, არსებული საშუალებების გათვალისწინებით, ტყეთმოწყობის მასალებისა და სხვა სპეციალური გამოკვლევების საფუძველზე ყოველწლიურად გეგმავენ შესაბამისად ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოდექსის მე-15 და მე-16 მუხლებით უფლებამოსილი ორგანოები შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს წინადადებების საფუძველზე.

3. საქართველოს ტყის ფონდის აღდგენისა და გაშენების ღონისძიებები ხორციელდება ისეთი ფორმებითა და მეთოდებით, რომლებიც ზიანს არ აყენებს გარემოს.

4. ტყის აღდგენის ღონისძიებებია:

ა) ქვეტყის გამოხშირვა ან მთლიანად მოცილება, ტყის ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის მიზნით ჭრაგავლილი უბნების, ტყისპირისა და სუბალპური მეჩხერი ტყეების მოვლა, დაცვა და გაწმენდა, დარგვა, თესვა;

ბ) ღონისძიებები, რომელთა მიზანია მეჩხერი ტყეების სახეობრივი შემადგენლობის, ხნოვანებითი სტრუქტურის, ხარისხის, პროდუქტიულობის, დაცვითი და სხვა სასარგებლო ფუნქციების გაუმჯობესება.

მუხლი 96. ტყის აღდგენისა და გაშენების დაგეგმვა და განხორციელება

1. ტყის აღდგენისა და გაშენების ღონისძიებები იგეგმება და მათი განხორციელების ფორმები დგინდება ტყეთმოწყობის მასალებისა და სხვა სპეციალური გამოკვლევების საფუძველზე, გარემოს დაცვის მოთხოვნების შესაბამისად.

2. ტყის აღდგე ნისა დ ა გაშე ნების მიზნით შე იძლება შემუშავებულ იქნეს სპეციალური სახელმწიფო პროგრამები.

3. ტყის აღდგენისა და გაშენების ღონისძიებებს ახორციელებენ შესაბამისად ამ კოდექსის მე-15 და მე-16 მუხლებით უფლებამოსილი ორგანოები, აგრეთვე მათი ტერიტორიული ორგანოები, ასევე მათთან შეთანხმებით ფიზიკური და იურიდიული პირები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. ტყის აღდგენის პროექტს ამტკიცებს და მის

ეროვნული ბიბლიოთეკა

განხორციელებას აკონტროლებს შესაბამისად სატყეო მეურნეობის ან დაცული ტერიტორიების, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი.

5. დებულებას "სახელმწიფო ტყის ფონდის აღდგენისა და გაშენების შესახებ" შეიმუშავებს და დაცული ტერიტორიების, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტთან შეთანხმებით ამტკიცებს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი.

6. დებულებას "სახელმწიფო ტყის ფონდის აღდგენისა და გაშენების მიზნით მცენარეთა სახეობების შერჩევისა და მათი გამოყენების წესის შესახებ" შეიმუშავებს და ამტკიცებს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.

თავი XXIX. ტყის მოვლა

მუხლი 97. ტყის მოვლა და მისი მიზანი

1. ტყის მოვლა არის ღონისძიებათა სისტემა, რომლის მიზანია ტყის მდგრადი, მაღალპროდუქტიული კორომების ჩამოყალიბება, მისი ბუნებრივი სასარგებლო თვისებებისა და სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესება, ხე-ტყის დამზადებისათვის კორომის მომზადება, ტექნიკური სიმწიფის ხნოვანების შემცირება და სხვა.

2. ტყის მოვლის ღონისძიებები იგეგმება ტყეთმოწყობის მასალებისა და სპეციალური გამოკვლევების საფუძველზე.

3. სახელმწიფო ტყის ფონდის მოვლის ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაზე პასუხს აგებენ შესაბამისად სატყეო მეურნეობის ან დაცული ტერიტორიების, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი.

4. ტყის მოვლის ღონისძიებებს ახორციელებენ შესაბამისად ამ კოდექსის მე-15 და მე-16 მუხლებით

უფლებამოსილი ორგანოები, აგრეთვე მათი ტერიტორიული ორგანოები, ასევე მათთან შეთანხმებით ფიზიკური და იურიდიული პირები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 98. ტყის სუბალპური ზოლის მოვლა და დაცვა

1. ტყის სუბალპურ ზოლში, ამ კოდექსის 39-ე მუხლით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელებასთან ერთად, იკრძალება ყველა სახის ტყითსარგებლობა.

2. ტყის სუბალპური ზოლის მოვლის და დაცვის ღონისძიებებია:

ა) მავნებლებით დასახლებული ზეხმელი ხეების მოჭრა და ტყიდან გამოტანა;

ბ) ზვავებისა და ნიადაგის ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელება;

გ) განსაკუთრებული აუცილებლობის შემთხვევაში ტყის დაცვისა და აღდგენის სხვა ღონისძიებების განხორციელება.

თავი XXX. მოვლითი ჭრა

მუხლი 99. მოვლითი ჭრის სახეები

კორომთა ხნოვანებისა და ფუნქციური დანიშნულების მიხედვით განისაზღვრება მოვლითი ჭრის შემდეგი სახეები:

ა)განათებითი;

ბ)გაწმენდითი;

გ) გამოხშირვითი;

დ) გავლითი;

ე) სანიტარიული;

ვ) სარეკონსტრუქციო.

მუხლი 100. განათებითი ჭრა

ეროვნული ბიბლიოთეკა

განათებითი ჭრა ხორციელდება 10 წლამდე ხნოვანების 0,7 და მეტი სიხშირის კორომებში და გულისხმობს ტყის განსაზღვრული უბნის ტერიტორიაზე ბალახის საფრისა და ქვეტყის მოცილებას და ტყიდან გამოტანას მცენარეთა ზრდის პირობების გაუმჯობესების მიზნით.

მუხლი 101. გაწმენდითი ჭრა

გაწმენდითი ჭრა ხორციელდება 20 წლამდე ხნოვანების 0,7 და მეტი სიხშირის შერეულ კორომებში და გულისხმობს იაფფასიანი და განსაზღვრული ადგილისათვის ნაკლებად ღირებული სახეობის ხეების მოჭრას და ტყიდან გამოტანას ძვირფასი და ამ ადგილისათვის დამახასიათებელი სახეობის ხეებისათვის ზრდის პირობების გაუმჯობესებისა და მათი თანაბარი განაწილების უზრუნველყოფის მიზნით.

მუხლი 102. გამოხშირვითი ჭრა

გამოხშირვითი ჭრა ხორციელდება 60 წლამდე (სახეობრივი შემადგენლობის მიხედვით) ხნოვანების 0,7 და მეტი სიხშირის კორომებში და გულისხმობს განსაზღვრული უბნის ტერიტორიაზე ზრდაში ჩამორჩენილი, მრუდღეროიანი და დაზიანებული ხეების მოჭრას დანარჩენი ხეების ღეროებისა და ვარჯების სასურველი ფორმის მისაღებად აუცილებელი პირობების შექმნის მიზნით.

მუხლი 103. გავლითი ჭრა

1. გავლითი ჭრა ხორციელდება 61 წლის და მეტი ხნოვანების 0,7 და მეტი სიხშირის კორომებში და გულისხმობს განსაზღვრული უბნის ტერიტორიაზე გადაბერებული, დაზიანებული, მრუდღეროიანი და ჭრისათვის მიზანშეწონილი სხვა ხეების მოჭრას დანარჩენი ხეებისათვის მერქნის შემატების პირობების გაუმჯობესების მიზნით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. გავლითი ჭრა ხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გარანტირებულია ჭრის შედეგად მიღებული პროდუქციის რეალიზაცია.

მუხლი 104. სანიტარიული ჭრა

1. სანიტარიული ჭრა ხორციელდება 0, 4-ზე მეტი სიხშირის კორომებში მათი სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესების აუცილებლობის შემთხვევაში და გულისხმობს განსაზღვრული უბნის ტერიტორიაზე ზეხმელი, ხმელი, ხმობადი, ძლიერ ფაუტი (ფუტურო) და მავნებლებით ძლიერ დაზიანებული ხეების მოჭრას და ტყიდან გამოტანას, აგრეთვე სტიქიით მოთხრილი და მოტეხილი ხეების ტყიდან გამოტანას.

2. 0, 4-მდე სიხშირის კორომებში სანიტარიული ჭრა დაიშვება მხოლოდ განსაკუთრებული აუცილებლობის და სათანადო არგუმენტების არსებობის შემთხვევაში.

მუხლი 105. სარეკონსტრუქციო ჭრა

სარეკონსტრუქციო ჭრა ხორციელდება იაფფასიანი და განსაზღვრული ადგილისათვის ნაკლებად ღირებული და დაბალი წარმადობის მერქნიანი სახეობის ხეების კორომებში მათი სახეობრივი და სტრუქტურული შემადგენლობის, აგრეთვე პროდუქტიულობის გაუმჯობესების მიზნით და იმ შემთხვევაში, თუ ჭრის შედეგად განთავისუფლებულ ფართობზე ტყის აღდგენა გარანტირებულია.

მუხლი 106. მოვლითი ჭრების განხორციელება

1. განათებით ჭრას, თავიანთ სამოქმედო ტერიტორიებზე, ტყითსარგებლობის დოკუმენტის გარეშე ახორციელებენ სატყეო მეურნეობის და დაცული ტერიტორიების, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტების ტერიტორიული ორგანოები და ადგილო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების შეაბამისი სამსახურები.

2. გაწმენდითი, გამოხშირვითი და სარეკონსტრუქციო ჭრები ხორციელდება ტყითმოსარგებლის მიერ ტყითსარგებლობის ბილეთის საფუძველზე, ხოლო ტყითმოსარგებლის არარსებობის შემთხვევაში – შესაბამისად სატყეო მეურნეობის და დაცული ტერიტორიების, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტების ტერიტორიული ორგანოების და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების სათანადო სამსახურების მიერ ამ მუხლის მე-4 ნაწილის გათვალისწინებით.

3. გავლითი და სანიტარიული ჭრები ხორციელდება ტყითმოსარგებლის მიერ ტყითსარგებლობის დოკუმენტის საფუძველზე.

4. დაცულ ტერიტორიებზე, "დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ხორციელდება მხოლოდ სანიტარიული ჭრა, ხოლო განსაზღვრული ეკოსისტემისათვის დამახასიათებელი ბიომრავალფეროვნების მდგრადობისათვის საფრთხის არსებობის შემთხვევაში _ განათებითი, გაწმენდითი და გამოხშირვითი ჭრები.

5. დებულებას "მოვლითი ჭრის წესის შესახებ" შეიმუშავებს და დაცული ტერიტორიების, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტთან შეთანხმებით ამტკიცებს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი.

თავი XXXI . სახელმწიფო ტყის მოვლის, დაცვისა და აღდგენის ღონისძიებების დაფინანსება

მუხლი 107. სახელმწიფო ტყის მოვლის, დაცვისა და აღდგენის ღონისძიებების დაფინანსება

1. სახელმწიფო ტყის მოვლის, დაცვისა და აღდგენის ღონისძიებები ფინანსდება შესაბამისად საქართველოს სახელმწიფო და ადგილობრივი (ადგილობრივი ტყის ფონდი) ბიუჯეტებიდან. ამ მიზნით შეიძლება აგრეთვე გამოყენებულ იქნეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა თანხები.

2. ამოღებულია *(29.12.2004 N 899)*

კარი VI. საქართველოს ტყისა და ტყის კანონმდებლობის დაცვის სახელმწიფო კონტროლი და ზედამხედველობა

თავი XXXII. საქართველოს ტყისა და ტყის კანონმდებლობის დაცვის სახელმწიფო კონტროლი და ზედამხედველობა

მუხლი 108. საქართველოს ტყისა და ტყის კანონმდებლობის დაცვის სახელმწიფო კონტროლი და ზედამხედველობა

ტყეების მდგომარეობის, სახელმწიფო ტყის ფონდის მოვლის, დაცვის, აღდგენისა და გაშენების, აგრეთვე ტყითსარგებლობის სახელმწიფო კონტროლსა და ზედამხედველობას ახორციელებენ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, სატყეო მეურნეობის და დაცული ტერიტორიების, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტები.

მუხლი 109. ტყის დაცვის მუშაკის სტატუსი

1. ტყის დაცვის მუშაკი ატარებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სპეციალური ფორმის ტანსაცმელს შ ესაბამისი თანამდ ებობრივი განმ ასხვავებელი ნიშნებით.

2. ტყის დაცვის მუშაკს უფლება აქვს:

ა) აღკვეთოს და აიცილოს ამ კოდექსის მოთხოვნათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარღვევები;

ბ) შეამოწმოს ფიზიკური და იურიდიული პირების ტყითსარგებლობის დოკუმენტები;

გ) შეადგინოს ოქმი საქართველოს ტყის კანონმდებლობის დარღვევების შესახებ;

დ) ტყის პროდუქტების მოპოვების კანონიერების დადგენის მიზნით გააჩეროს სატრანსპორტო საშუალებები და მოახდინოს მათი დათვალიერება;

ე) ხე-ტყის კანონიერად დამზადების დამადასტურებელი დოკუმენტის არარსებობის შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოახდინოს ხე-ტყისა და ტყის სხვა რესურსების ჩამორთმევა ტრანსპორტირების, შენახვისა და პირველადი გადამუშავების ადგილებზე;

ვ) შეაჩეროს, შეწყვიტოს და აკრძალოს ტყითმოსარგებლეთა სამეურნეო ან სხვა საქმიანობა, თუ იგი არ შეესაბამება ტყითსარგებლობის დოკუმენტს;

ზ) ატაროს სამსახურებრივი საშტატო იარაღი;

თ) თუ პირი სადაოდ არ ხდის მის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტს, ნებაყოფლობით აანაზღაურებინოს სახელმწიფო ტყის ფონდისათვის მიყენებული ზიანი.

3. ტყის დაცვის მუშაკი, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს:

ა) ტყის მდგომარეობასა და მის არადანიშნულებისამებრ გამოყენებაზე;

ბ) საქართველოს ტყის კანონმდებლობის დარღვევაზე.

მუხლი 110. ტყის დაცვის მუშაკთა სტიმულირება

1. ტყის დაცვის მუშაკთა სტიმულირების ღონისძიებებია:

ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი

წესით "საქართველოს დამსახურებული მეტყევის" წოდების მინიჭება;

ბ) ტყის დაცვის სფეროში 10 წლით და მეტი ვადით წარმატებით მუშაობისათვის სპეციალური სამკერდე ნიშნით დაჯილდოება.

2. დებულებას "საქართველოს დამსახურებული მეტყევის წოდების მინიჭების და სპეციალური სამკერდე ნიშნით დაჯილდოების წესის შესახებ" შეიმუშავებს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი და ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.

კარი VII. დავების გადაწყვეტა ტყის მოვლის, დაცვის, აღდგენის, გაშენების და გამოყენების სფეროში და პასუხისმგებლობა ტყის კანონმდებლობის დარღვევისათვის

თავი XXXIII. დავების გადაწყვეტა ტყის მოვლის, დაცვის, აღდგენის, გაშენების და გამოყენების სფეროში

მუხლი 111. დავების გადაწყვეტა ტყის მოვლის, დაცვის, აღდგენის, გაშენების და გამოყენების სფეროში

ტყის მოვლასთან, დაცვასთან, აღდგენასთან, გაშენებასა და გამოყენებასთან დაკავშირებული დავები წყდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი XXXIV. პასუხისმგებლობა საქართველოს ტყის კანონმდებლობის დარღვევისათვის

მუხლი 112. პასუხისმგებლობა საქართველოს ტყის კოდექსის დარღვევისათვის

პასუხისმგებლობა საქართველოს ტყის კოდექსის დარღვევისათვის განისაზღვრება საქართველოს კანონმდებ-ლობის შესაბამისად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 113. პასუხისმგებლობა საქართველოს ტყის კანონმდებლობის დარღვევის შედეგად გამოწვეული ზიანისათვის

1. ფიზიკური და იურიდიული პირები ვალდებულნი არიან, ამ კოდექსის 114-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნების დაცვასთან ერთად, სრულად აანაზღაურონ ტყის კანონმდებლობის დარღვევის შედეგად სახელმწიფო ტყის ფონდისათვის მიყენებული ზიანი ან, შესაძლებლობის შემთხვევაში, აღადგინონ დაზიანებამდე არსებული მდგომარეობა.

2. ამ კოდექსის და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით ტყითსარგებლობის შედეგად სახელმწიფო ტყის ფონდისათვის მიყენებული ზიანი გაიანგარიშება "უკანონო ტყითსარგებლობის შედეგად სახელმწიფო ტყის ფონდისათვის მიყენებული ზიანის გაანგარიშებისა და ანაზღაურების წესის შესახებ" დებულების შესაბამისად, რომელსაც ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროებთან და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტთან შეთანხმებით შეიმუშავებს და ამტკიცებს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.

მუხლი 114. საქართველოს ტყის კანონმდებლობის დარღვევით მოპოვებული მერქნის და ტყის სხვა რესურსების ამოღება

საქართველოს ტყის კანონმდებლობის დარღვევით მოპოვებული მერქანი და ტყის სხვა რესურსები ამოღებულ უნდა იქნეს, ან მათი ღირებულება უნდა ანაზღაურდეს დაზარალებული პირის სასარგებლოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი XXXV. გარდამავალი დებულებანი

მუხლი 115. ამ კოდექსის ამოქმედებასთან დაკავშირებული გარდამავალი დებულებანი

1. ამ კოდექსისა და სხვა კანონების სატყეო ურთიერთობების მომწესრიგებელ ნორმებს შორის კოლიზიის შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსის ნორმები.

2. სახელმწიფო ტყის ფონდით სარგებლობა, სახელმწიფო ტყის ფონდის კადასტრისა და ტყეთმოწყობის შესახებ ამ კოდექსით დადგენილ მოთხოვნათა განხორციელებამდე, დაიშვება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს შესაბამის რეგიონულ და ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმებით სპეციალური გამოკვლევებით წინა პერიოდის ტყეთმოწყობის მასალების ყოველწლიური კორექტირების საფუძველზე.

3. ტყითსარგებლობა ყოფილ საკოლმეურნეო ტყეებსა და საბჭოთა მეურნეობების გამგებლობაში არსებულ ტყეებში, რომლებიც "საქართველოს რესპუბლიკის საკოლმეურნეობათაშორისო და მუნიციპალური ტყეების შესახებ" საქართველოს პარლამენტის 1995 წლის 7 მარტის დადგენილების საფუძველზე უნდა გადასცემოდა სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოებს, მაგრამ არ გადაეცა, ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

4. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიწის აღრიცხვისა და ტყეთმოწყობის დოკუმენტებში რეგისტრირებული ყოფილი საკოლმეურნეო ტყეებისა და საბჭოთა მეურნეობების გამგებლობაში არსებული ტყის ფონდის მიწების სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოებისათვის გადაცემის წესი და ვადები განისაზღვრება დებულებით "ყოფილი საკოლმეურნეო ტყეებისა და საბჭო-

თა მეურნეობების გამგებლობაში არსებული ტყის ფონდის მიწების სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოებისათვის გადაცემის წესის და ვადების შესახებ“, რომელსაც შეიმუშავებს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი და ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.

5. აკრძალულია ყოფილი საკოლმეურნეო ტყეებისა და საბჭოთა მეურნეობების გამგებლობაში არსებული ტყის ფონდის მიწებზე კერძო საკუთრების უფლების დამადასტურებელი ნებისმიერი დოკუმენტის გაცემა.

6. ყოფილ საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობების გამგებლობაში არსებული ტყის ფონდის მოვლისა და დაცვის ღონისძიებების განხორციელება ევალება იმ ორგანიზაციებს, რომლებიც ახორციელებენ მათ მართვას (შესაბამისი სასოფლო-სამეურნეო ორგანოები).

7. ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო ტყის ფონდის დაცვასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონით „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ. (10.11.2000. N 596)

მუხლი 116. ამ კოდექსის ამოქმედებასთან დაკავშირებით მისაღები და გამოსაცემი ნორმატიული აქტები

ამ კოდექსის ამოქმედებასთან დაკავშირებით:

ა) მიღებულ იქნეს საქართველოს კანონი ”საქართველოს ტყეების განსახელმწიფოებრივების შესახებ“;

ბ) გამოცემულ იქნეს საქართველოს პრეზიდენტის შემდეგი ბრძანებულებები:

ბ.ა) ”ადგილობრივი ტყის ფონდის მართვის სფეროში ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების უფლებამოსილების, სახელმწიფო ტყის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფონდისაგან ადგილობრივი ტყის ფონდის გამიჯვნის წესის შესახებ";

ბ.ბ) "სახელმწიფო ტყის ფონდის მიჩენილი უბნის გამოყოფის და ამ უბნის ტერიტორიაზე ტყითსარგებლობის, მისი შეზღუდვის, შეჩერებისა და აკრძალვის წესის შესახებ";

ბ.გ) "სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ";

ბ.დ) "სახელმწიფო ტყისა და სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების საზღვრების დადგენისა და შეცვლის შესახებ";

ბ.ე) "სახელმწიფო ტყის ფონდის აღრიცხვის სისტემის შესახებ";

ბ.ვ) "მთავარი სარგებლობის ჭრის წესის შესახებ";

ბ.ზ) "ხე-ტყის ზესეურად გაცემის წესის შესახებ";

ბ.თ) "ტყითსარგებლობის ლიცენზიის გაცემისა და ხელშეკრულების დადების მიზნით ტენდერისა და აუქციონის ჩატარების წესის შესახებ";

ბ.ი) "საქართველოს დამსახურებული მეტყევის წოდების მინიჭების და სპეციალური სამკერდე ნიშნით დაჯილდოების წესის შესახებ";

ბ.კ) "ყოფილი საკოლმეურნეო ტყეებისა და საბჭოთა მეურნეობების გამგებლობაში არსებული ტყის ფონდის მიწების სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოებისათვის გადაცემის წესის და ვადების შესახებ";

ბ.ლ) "სახელმწიფო ტყის ფონდის დაცული ტერიტორიების აღრიცხვის სისტემის განსაკუთრებული მოთხოვნების შესახებ";

გ) გამოცემულ იქნეს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის შემდეგი ბრძანებები:

გ.ა) "ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის ტყის დაცვის მიზნით ბიოლოგიური და ქიმიური საშუალებების

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოყენების უფლების მინიჭების შესახებ“;

გ.ბ) ”სახელმწიფო ტყის ფონდის განსაზღვრულ ტერიტორიაზე ცხოველთა სამყაროს ობიექტების აღრიცხვის მეთოდების და წესის შესახებ“;

გ.გ) ”ტყის დაცვის მიზნით გამოსაყენებელი ბიოლოგიური, ქიმიური და სელექციური საშუალებების ნუსხის შესახებ“;

გ.დ) ”სახელმწიფო ტყის ფონდის აღდგენისა და გაშენების მიზნით მცენარეთა სახეობების შერჩევისა და მათი გამოყენების წესის შესახებ“;

გ.ე) ”უკანონო ტყითსარგებლობის შედეგად სახელმწიფო ტყის ფონდისათვის მიყენებული ზიანის გაანგარიშებისა და ანაზღაურების წესის შესახებ“;

გ.ვ) ”სახელმწიფო ტყის ფონდის არამერქნული რესურსებით სარგებლობის წესის შესახებ“;

დ) გამოცემულ იქნეს საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის შემდეგი ბრძანებები:

დ.ა) ”განსაკუთრებული ფუნქციური დანიშნულების და ლანდშაფტური უბნების გამოყოფისა და მათთვის შესაბამისი სტატუსის მინიჭების შესახებ“;

დ.ბ) ”სახელმწიფო ტყის ფონდის აღრიცხვის წესის შესახებ“;

დ.გ) ”სახელმწიფო ტყის ფონდის შესახებ ინფორმაციის და მისი სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტისთვის გადაცემის წესის შესახებ“;

დ.დ) ”საქართველოს სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდის უბნისთვის დაცვის განსაკუთრებული რეჟიმის მიკუთვნებისა და ამ რეჟიმის პირობებში სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების განხორციელების წესის შესახებ“;

დ.ე) ”ტყის დაცვის წესის შესახებ“;

დ.ვ) ”ტყის ხანძრებისაგან დაცვის ღონისძიებათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაგეგმვის და განხორციელების შესახებ";

დ.ზ) "მოვლითი ჭრის წესის შესახებ";

დ.თ) "საანგარიშო ტყეკაფის დადგენის წესის შესახებ";

დ.ი) "ტყითსარგებლობის უფლების შეზღუდვის, შეჩერების, შეწყვეტისა და აღდგენის წესის შესახებ";

დ.კ) "ტყეკაფის გამოყოფის წესის შესახებ";

დ.მ) "სატყეო პლანტაციური მეურნეობის წარმოების წესის შესახებ";

დ.ლ) "ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებისა და ხის მეორეხარისხოვანი მასალების დამზადების წესის შესახებ";

დ.მ) "სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო ღონისძიებების განხორციელების ზოგადი წესის შესახებ";

დ.ნ) "სახელმწიფო ტყის ფონდის აღდგენისა და გაშენების შესახებ";

დ.ო) "სპეციალური ჭრისა და მისი განხორციელების წესის შესახებ";

დ.პ) "სახელმწიფო ტყისა და სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების სამეურნეო მიზნით გამოყოფის და ტყითმოსარგებლისათვის გადაცემის შესახებ";

დ.ჟ) "ტყითსარგებლობის სანებართვო დოკუმენტის გაცემისათვის აუცილებელი დოკუმენტაციის მომზადების, მათ შორის, ტყეკაფის გამოყოფისათვის საჭირო თანხების და მათი გადახდის წესის შესახებ";

დ.რ) "ხე-ტყის კანონიერად დამზადების დამადასტურებელი დოკუმენტის და მისი გაცემის წესის შესახებ".

მუხლი 117. ამ კოდექსის ამოქმედებასთან დაკავშირებით მისაღები ნორმატიული აქტების გამოცემის ვადები

1. ამ კოდექსის 116-ე მუხლის:

ა) "ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული ნორმატიული აქტი გამოიცეს 2002 წლის 1 იანვრამდე;

ბ) "ბ", "გ" და "დ" ქვეპუნქტებით განსაზღვრული ნორმატიული აქტები, გარდა "ბ.თ" და "გ.ბ" ქვეპუნქტებით განსაზღვრული აქტებისა, გამოიცეს 2000 წლის 1 ივლისამდე;

გ) "ბ.თ" ქვეპუნქტით განსაზღვრული ნორმატიული აქტი გამოიცეს ამ კოდექსის ამოქმედებიდან 1 თვის ვადაში;

დ) "გ.ბ" ქვეპუნქტით განსაზღვრული ნორმატიული აქტი გამოიცეს ამ კოდექსის ამოქმედებიდან 3 თვის ვადაში.

მუხლი 118. ამ კოდექსის ამოქმედებასთან დაკავშირებით ნორმატიული აქტის მასთან შესაბამისობაში მოყვანის ვადა

"საქართველოში მცენარეული რესურსებით (მათ შორის ხე-ტყით) სარგებლობის სალიცენზიო საუწყებათაშორისო საექსპერტო საბჭოს შექმნის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 28 იანვრის N64 ბრძანებულება ამ კოდექსთან შესაბამისობაში მოყვანილ იქნეს ამ კოდექსის ამოქმედებიდან 1 თვის ვადაში.

თავი XXXVI. დასკვნითი დებულებანი

მუხლი 119. ნორმატიული აქტები, რომლებიც ძალას კარგავს საქართველოს ტყის კოდექსის ამოქმედებისთანავე

ამ კოდექსის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) 1978 წლის 21 დეკემბრის კანონით დამტკიცებული საქართველოს ტყის კოდექსი;

ბ) "საქართველოს ტერიტორიაზე ტყითსარგებლობის მოწესრიგების შესახებ" საქართველოს 1998 წლის 25 ივნისის კანონი.

მუხლი 120. საქართველოს ტყის კოდექსის ამოქმედება

1. საქართველოს ტყის კოდექსი, მე-9 მუხლის პირველი ნაწილის გარდა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილი ამოქმედდეს "საქართველოს სახელმწიფო ტყის განსახელმწიფოებრივების შესახებ" საქართველოს კანონის ამოქმედებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი
1999 წლის 22 ივნისი.
N 2124 - IIს

(გამოქვეყნებულია
საქართველოს პარლამენტის
უწყებანი 1997 წელი - N1-2)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ

კარი I. ზოგადი ნაწილი
თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონის რეგულირების საგანი

ეს კანონი არეგულირებს სამართლებრივ ურთიერთობებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და ფიზიკურ და იურიდიულ (საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის განურჩევლად) პირებს შორის გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის სფეროში (შემდგომ "გარემოს დაცვაში") საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მისი ტერიტორიული წყლების, საჰაერო სივრცის, კონტინენტური შელფისა და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის ჩათვლით.

მუხლი 2. კანონმდებლობის სისტემა გარემოს დაცვის სფეროში

საქართველოს კანონმდებლობა გარემოს დაცვის სფეროში შედგება საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, ამ კანონისა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისაგან.

მუხლი 3. კანონის ძირითადი მიზნები და ამოცანები

1. კანონის ძირითადი მიზნებია:

ა) განისაზღვროს გარემოს დაცვის სფეროში სამართლებრივ ურთიერთობათა პრინციპები და ნორმები;

ბ) დაიცვას გარემოს დაცვის სფეროში საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი ადამიანის ძირითადი უფლებები - ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარემოში და სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი;

გ) უზრუნველყოს სახელმწიფოს მიერ გარემოს დაცვა და რაციონალური ბუნებათსარგებლობა, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემო საზოგადოების ეკოლოგიური და ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად და ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით;

დ) ხელი შეუწყოს ბიოლოგიური მრავალფეროვნების, ქვეყნისთვის დამახასიათებელი ფლორისა და ფაუნის იშვიათი, ენდემური, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების შენარჩუნებას, ზღვის გარემოს დაცვას და ეკოლოგიური წონასწორობის უზრუნველყოფას; *(06.06.2003. N2383)*

ე) შეინარჩუნოს და დაიცვას თვითმყოფადი ლანდშაფტები და ეკოსისტემები;

ვ) სამართლებრივად უზრუნველყოს გარემოს დაცვის სფეროში საერთო გლობალური და რეგიონალური პრობლემების გადაჭრა;

ზ) უზრუნველყოს ქვეყნის მდგრადი განვითარების პირობები.

2. კანონის ძირითადი ამოცანებია:

ა) დაიცვას და შეინარჩუნოს ადამიანის ჯანმრთელობისათვის უვნებელი (უსაფრთხო) გარემო;

ბ) სამართლებრივად უზრუნველყოს გარემოს მავნე ზემოქმედებისაგან დაცვა;

გ) სამართლებრივად - უზრუნველყოს გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება;

დ) უზრუნველყოს საზოგადოების ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური ინტერესების ოპტიმალური ურთიერთშეთანაწყობა (ჰარმონიული შეხამება);

ე) სამართლებრივად უზრუნველყოს ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მართვა გარემოს პოტენციური შესაძლებლობებისა და მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით.

მუხლი 4. ძირითადი ცნებების განმარტებანი

ამ კანონში გამოყენებულ ძირითად ცნებებს, თუ კანონში არ არის განსაკუთრებული მითითებანი, აქვთ შემდეგი ძირითადი მნიშვნელობა:

ა) "გარემო" - ბუნებრივი გარემოსა და ადამიანის მიერ სახეცვლილი (კულტურული) გარემოს ერთობლიობა, რომელიც ურთიერთდამოკიდებულებაში მყოფ ცოცხალ და არაცოცხალ, შენარჩუნებულ და ადამიანის მიერ სახეცვლილ ბუნებრივ ელემენტებს, ბუნებრივ და ანთროპოგენულ ლანდშაფტებს;

ბ) "ბუნებრივი გარემო" - გარემოს შემადგენელი ნაწილი, რომელიც მოიცავს ურთიერთდამოკიდებულებაში მყოფ ბუნებრივ ელემენტებს და მათ მიერ ჩამოყალიბებულ ბუნებრივ ლანდშაფტებს;

გ) "ადამიანის მიერ სახეცვლილი (კულტურული) გარემო" - გარემოს შემადგენელი ნაწილი, რომელიც მოიცავს ადამიანის მიერ სახეცვლილ ბუნებრივ გარემოს, სახეცვლილ და შერეული ტიპის ეკოსისტემებს, ურთიერთდამოკიდებულებაში მყოფ სახეცვლილ ბუნებრივ ელემენტებს და მათ მიერ ჩამოყალიბებულ ანთროპოგენულ ლანდშაფტებს;

დ) "გარემოს დაცვა" - ადმინისტრაციულ, სამეურნეო, ტექნოლოგიურ, პოლიტიკურსამართლებრივ და საზოგადოებრივ ღონის ძიებათა ერთ ობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს გარემოში არსებული ბუნებრივი წონასწორობის შენარჩუნებას და აღდგენას;

ე) "ბუნებრივი რესურსები" - ბუნებრივი გარემოს შემადგენელი ბუნებრივი ელემენტები;

ვ) "ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სახელმწიფო მართვა" - ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის რეგულირება, აღრიცხვა, ლიცენზირება, ზედამხედველობა და კონტროლი;

ზ) „საქმიანობა“ – „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული, ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებული საქმიანობა; *(14.12.2007. N5604 ამოქმედდეს 2008 წლის 1 იანვრიდან)*

თ) "საქმიანობის სუბიექტი" - საქმიანობის განმახორციელებელი ფიზიკური ან იურიდიული პირი;

ი) "დაცული ტე რიტორია" - ბიოლოგიუ რი მრ ავალფეროვნების, ბუნებრივი რესურსებისა და ბუნებრივ გარემოში ჩართული კულტურული ფენომენების შენარჩუნების თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე სახმელეთო ტერიტორია და (ან) აკვატორია, რომლის დაცვა და მართვა ხორციელდება გრძელვადიან და მყარ სამართლებრივ საფუძველზე. დაცული ტერიტორია იქმნება უმნიშვნელოვანესი ეროვნული მემკვიდრეობის - უნიკალური, იშვიათი და დამახასიათებელი ეკოსისტემების,მცენარეთა და ცხოველთა სახეობების, ბუნებრივი წარმონაქმნებისა და კულტურული არეალების დასაცავად და აღსადგენად, მათი სამეცნიერო, საგანმანათლებლო, რეკრეაციული და ბუნებრივი რესურსების დამზოგავი მეურნეობის განვითარების მიზნით გამოყენების უზრუნველსაყოფად;

კ) "მდგრადი განვითარება" - საზოგადოების განვითარების ისეთი სისტემა, რომელიც საზოგადოების ეკონომიკური განვითარებისა და გარემოს დაცვის ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს ადამიანის ცხოვრების დონის ხარისხის ზრდას და მომავალი თაობების უფლებას - ისარგებლონ შ ექცევადი რაო დენობრივი და ხა რისხობრივი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცვლილებებისაგან მაქსიმალურად დაცული ბუნებრივი რესურსებითა და გარემოთი;

ლ) "მდგრადი განვითარების პრიციპები" - პრინციპები, რომლებიც ინტეგრირებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1992 წლის რიო-დე-ჟანეიროს გარემოსა და განვითარების საერთაშორისო კონფერენციის (United Nations Conference on Environment and Development, Rio de Jeneiro, 1992) მიერ მიღებული "გარემოსა და განვითარების რიოს დეკლარაციის" "21-უ საუკუნის გლობალური მდგრადი განვითარების პროგრამის - დღის წესრიგ 21-ის" და "ტყეების დაცვის, მდგრადი განვითარებისა და მართვის პრინციპების შესახებ არასაკანონმდებლო ვალდებულებათა განცხადების" დასკვნით დოკუმენტებში;

მ) "გარემოს დაბინძურების ინტეგრირებული კონტროლის სისტემა" - გარემოს დაბინძურების რეგულირების ისეთი სისტემა, რომელიც ეფუძნება დაბინძურების აკუმულირების უნარის მქონე გარემოს ძირითადი კომპონენტების - მიწის , წყლისა და ატმოსფერ ული ჰაერის დ აბინძურების ინტეგრირებულ (კომპლექსურ) კონტროლს;

ნ) "საუკეთესო ტექნოლოგია" - გარემოსდაცვითი თვალსაზრისით სუკეთესო, გამოყენებადი და ეკონომიკურად ხელმისაწვდომი ტექნოლოგია, რომელიც ყველაზე უფრო ეფექტურია გარემოზე მავნე ზემოქმედების თავიდან აცილების, მინიმუმამდე შემცირების ან გარდაქმნის თვალსაზრისით; შესაძლოა არ იყოს ფართოდ გავრცელებული, მაგრამ მისი ათვისება, დანერგვა და გამოყენება შესაძლებელია ტექნიკური თვალსაზრისით; შესაძლოა ეკონომიკურად არ განაპირობებდეს მნიშვნელოვნად მაღალი ღირებულების ხარჯზე ზღვრული გარემოსდაცვითი სარგებლის მიღების მიზანშეწონილობას, მაგრამ იგი, ამავე დროს, ეკონომიკური თვალსაზრისით ხელმისაწვდომია საქმიანობის სუბიექტისათვის;

ო) "საუკეთესო ტექნიკა" - საუკეთესო ტექნოლოგია და მისი მართვის, ორგანიზაციის, ზედამხედველობის, კონტროლის მეთოდები და განხორციელების საშუალებები;

პ) "ბიომრავალფეროვნება" - ცოცხალ ორგანიზმთა მრავალსახეობა, ხმელეთის, ზღვის და წყლის ეკოსისტემები და ეკოლოგიური კომპლექსები, რომლებიც მოიცავენ მრავალფეროვნებას სახეობის ფარგლებში, სახეობათა შორის და ეკოსისტემებში;

ჟ) "სამეურნეო ობიექტები" - საქმიანობის ობიექტი;

რ) "ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია" - ეკოლოგიურად უსაფრთხო ნედლეულისაგან რესურსთდამზოგველი და საუკეთესო ტექნოლოგიითა და ტექნიკით წარმოებული პროდუქცია;

ს) "უფრო სუფთა წარმოება" - საწარმოო პროცესი, რომლის დროსაც ხორციელდება ინტეგრირებული გარემოსდაცვითი პოლიტიკის უწყვეტი გამოყენება;

„ტ) „სამინისტრო“ – საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო; (14.12.2007. N5604 ამოქმედდეს 2008 წლის 1 იანვრიდან)

უ) "გარემოს დაცვის სამენეჯმენტო სისტემა" - საქმიანობის ობიექტის მართვის სისტემისა და ბიზნესსტრატეგიის შემადგენელი ნაწილი, რომელიც მოიცავს გარემოზე ზემოქმედების საკითხებთან პირდაპირ ან არაპირდაპირ დაკავშირებულ, ობიექტების ფუნქციონირების ყველა ასპექტს (გარემოს დაცვის სამენეჯმენტო გეგმის, გარემოსდაცვითი პოლიტიკის, ორგანიზაციისა და კადრების, გარემოს დაცვის ნორმების რეესტრის ჩათვლით);

ფ) ამოღებულია (14.12.2007. N5604 ამოქმედდეს 2008 წლის 1 იანვრიდან)

მუხლი 5. გარემოს დაცვის ძირითადი პრინციპები

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელების დროს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, ფიზიკური და იურიდიული (საკუთრების და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის განურჩევლად) პირები ვალდებული არიან იხელმძღვანელონ გარემოს დაცვის ძირითადი პრინციპებით.

2. გარემოს დაცვის ძირითადი პრიციპებია:

ა) რისკის შემცირების პრინციპი" - საქმიანობის სუბიექტი თავისი საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელებისას ვალდებულია მიიღოს სათანადო ზომები გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მავნე ზემოქმედების რისკის თავიდან ასაცილებლად ან შესამცირებლად;

ბ) "მდგრადობის პრინციპი" - გარემოსა და ბუნებრივი რესურსების გამოყენება, როდესაც საშიშროება არ ექმნება საზოგადოების განვითარებას და უზრუნველყოფილია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვა შეუქცევადი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებებისაგან;

გ) "პრიორიტეტულობის პრინციპი" - ქმედება, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს უარყოფითი ზეგავლენა გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე,შეიძლება შეიცვალოს სხვა, ნაკლებრის კიანი, თუნ დაც უფრო ძვირადღირებული ქმედებით. პრიორიტეტი ენიჭება უკანასკნელს, თუ მისი ღირებულება არ აღემატება ნაკლებადღირებული ქმედებით მიყენებული ეკოლოგიური ზიანის შედეგად ზარალის ანაზღაურების ხარჯებს;

დ) "ფასიანი ბუნებათსარგებლობის პრინციპი" - საქმიანობის სუბიექტისათვის მიწის, წყლის, ტყის, ფლორისა და ფაუნის წიაღის და წიაღისეულის ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა ფასიანია;

ე) პრინციპი "დამაბინძურებელი იხდის" - საქმიანობის სუბიექტის, ასევე სხვა ფიზიკური და იურიდიული

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირის ვალდებულება აანაზღაუროს გარემოსთვის მიყენებული ზარალი;

ვ) "ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნების პრინციპი" - საქმიანობა არ უნდა იწვევდეს ბიომრავალფეროვნების შექცევად დეგრადაციას;

ზ) "ნარჩენების მინიმიზაციის პრინციპი" - საქმიანობის განხორციელებისას უპირატესობა ენიჭება ისეთ ტექნოლოგიას,რომელიც უზრუნველყოფს ნარჩენების მინიმიზაციას;

თ) "რეციკლირების პრინციპი" - საქმიანობის განხორციელებისას უპირატესობა ენიჭება ხელმეორედ გამოყენებად ან გადაუმუშავებად, ბიოლოგიურად დეგრადირებად ან გარემოსათვის უვნებლად დაშლად ნივთიერებებს, მასალებს და ქიმიურ ნაერთებს;

ი) რესტიტუციის პრი ნციპი" - საქმიანობის გა ნხორციელების შ ედეგად დ ეგრადირებული გარ ემო აღდგ ენილი უნდა იყოს პირვანდელ (restitution in integrum) მდგომარეობასთან მაქსიმალურად მიახლოებული სახით;

კ) "გარემოზე ზემოქმედების შეფასების პრინციპი" - საქმიანობის სუბიექტი თავისი საქმიანობის პროექტირების ან დაგეგმვის დროს ვალდებულია გაითვალისწინოს და შეაფასოს ამ საქმიანობის შესაძლო ზემოქმედება გარემოზე კანონით დადგენილი წესით;

ლ) "გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოებრიობის მონაწილეობის პრინციპი" - უზრუნველყოფილია საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოებრიობის მონაწილეობა;

მ) "ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრინციპი" - ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ ღია და ხელმისაწვდომია საზოგადოებრიობისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ ა ვ ი II. მოქალაქეთა უფლება-მოვალეობანი დაცვის სფეროში

მუხლი 6. მოქალაქეთა უფლებები გარემოს დაცვის სფეროში

მოქალაქეს უფლება აქვს:

ა) ცხოვრობდეს თავისი ჯანმრთელობისათვის უვნებელ ჯანსაღ გარემოში;

ბ) სარგებლობდეს ბუნებრივი გარემოთი;

გ) მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია თავისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ;

დ) მიიღოს გარემოსდაცვითი და ეკოლოგიური განათლება, აიმაღლოს გარემოსდაცვითი ცნობიერების დონე;

ე) გაერთიანდეს გარემოსდაცვით საზოგადოებრივ ორგანიზაციებში;

ვ) მონაწილეობა მიიღოს გარემოს დაცვით სფეროში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების განხილვასა და მიღების პროცესში;

ზ) მიიღოს ანაზღაურება მისთვის მიყენებული ზარალისათვის, რომელიც გამოიწვია საქართველოს გარემოს დაცვის კანონმდებლობის მოთხოვნათა შეუსრულებლობამ;

თ) სასამართლო წესით მ ოითხოვოს ეკოლოგი ურად საშიში ობიექტების განთავსების, პროექტირების, მშენებ-ლობის, რეკონსტრუქციისა და ექსპლუატაციის შესახებ გადაწყვეტილებათა შეცვლა.

მუხლი 7. მოქალაქეთა ვალდებულებები გარემოს დაცვის სფეროში

მოქალაქე ვალდებულია:

ა) დაიცვას საქართველოს კანონმდებლობის მოთ-ხოვნები გარემოს დაცვის სფეროში:

ბ) გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს;

გ) იზრუნოს გარემოს დაცვაზე;

დ) მოსალოდნელი ან მომხდარი ბუნებრივი და ტექნოგენური ავარიისა და სხვა ეკოლოგიური კატასტროფის შესახებ ინფორმაციის მიღებისას დროულად აცნობოს სათანადო კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოებს ან განაცხადოს საჯაროდ.

კ ა რ ი II .ძირითადი ნაწილი

თ ა ვ ი III . განათლება და სამეცნიერო კვლევა გარემოს დაცვის სფეროში

მუხლი 8. განათლება გარემოს დაცვის სფეროში

საზოგადოებრიობის გარემოსდაცვითი დონის ამაღლებისა და სპეციალისტების მომზადების მიზნით გარემოსდაცვითი განათლების ერთიანი სისტემა, რომელიც მოიცავს საგანმანათლებლო სასწავლებლების, კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების დაწესებულებათა ქსელს.

მუხლი 9. გარემოს დაცვის საფუძვლების სწავლება

1. გარემოსდაცვითი განათლების ერთიანი სისტემია მოიცავს სკოლამდელი, დაწყებითი, საბაზო, საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლების ეტაპებს.

2. გარემოს დაცვისა და მისი რესურსების რაციონალურად გამოყენების შესახებ სავადებულო ცოდნის მინიმუმის დაუფლება უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო დაწესებულების სასწავლო პროგრამით.

3. საშუალო, პრფესიულ და უმაღლეს სასწავლებლებში განსაზღვრულია გარემოს დაცვის მართვის, ეკოლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიისა და გარემოსდაცვითი პროფილის სხვა საგნების სპეციალური კურსით სწავლება.

4. გარემოსდაცვითი გა ნათლების სისტემის მართვა - სთან და ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ საკითხებს განსაზღვრავს საქართველოს კანონმდებლობა.

მუხლი 10. სამეცნიერო კვლევა გარემოს დაცვის სფეროში

გარემოს დაცვის სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებისა და განხორციელების, აგრეთვე საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმლებლობის მოთხოვნათა შესრულების მიზნით ეკოლოგიისა და გარემოს დაცვის სფეროში მუშავდება სამეცნიერო კვლევის პროგრამები და გეგმები.

თ ა ვ ი IV. გარემოს დაცვის სახელმწიფო მართვა

მუხლი 11. სახელმწიფო ორგანეოების კომპეტენცტია გარემოს დაცვის სფეროში

1. საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, მმართველობის ადგილობრივი ორგანოების კომპეტენცია გარემოს დაცვის სფეროში განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციით, ამ კანონით და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

2. საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება:

ა) გარემოს მდგომარეობაზე დაკავების სისტემა;

ბ) მიწის, წიაღისეულისა და ბუნებრივი რესურსების კანონმდებლობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 12. კომპეტენციათა გასინჯვის კრიტერიუმები გარემოს დაცვის სფეროში

გარემოს დაცვის სფეროში საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანეოების, ავტონომიური რესპუბლიკების მმართველობის ადგილობრივი ორგანოების კომპეტენციათა გამიჯვნის ძირითადი კრიტერიუმებია:

ა) გარემოს დაცვის ღონისძიებათა დაფინანსების წყაროები (სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტები);

ბ) ბუნებრივი რესურსების მნიშვნელობა (სახელმწიფო ან ადგილობრივი მნიშვნელობის);

გ) გარემოზე მავნე ზემოქმედების მასშტაბები (ტრანსსასაზღვრო, რეგიონათაშორისი, რეგიონალური ან ლოკალური მნიშვნელობისა);

დ) დაცული ტერიტორიების დაქვემდებარების დონე.

მუხლი 13. კომპეტენცია გარემოს დაცვის სფეროში

1. გარემოს დაცვის სფეროში სამინისტროს კომპეტენციას განეკუთვნება:

ა) დარგთაშორისი მართვის ფუნქცია;

ბ) გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალური, მდგრადი და კომპლექსური სარგებლობის სახელმწიფო მართვა;

გ) სახელმწიფო კონტროლი;

დ) გარემოს მონიტორინგის (გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვების ერთიანის სისტემის ორგანიზება; (30.06.2000. N465)

ე) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა ფუნქციები.

2. სამინისტრო პასუხისმგებელია გარემოს დაბინძურების ინტეგრირებული კონტროლის სისტემის რეგულირებასა და ზედამხედველობაზე როგორც ქვეყნის, ასევე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეგიონალურ, ადგილობრივ და საქმიანობის ობიექტთა დონეებზე.

3. გარემოს დაცვის სფეროში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომპეტენცია განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით. (14.12.2007. N5604 ამოქმედდეს 2008 წლის 1 იანვრიდან)

4. ა) საქმიანობის სუბიექტები ვალდებული არიან აწარმოონ გარემოს დაბინძურების ინტეგრირებული კონტროლი.

ბ) გარემოს დაბინძურების ინტეგრირებული კონტროლის წარმოების წესსა და ქვეყნის მასშტაბით გარემოს დაბინძურების ინტეგრირებული კონტროლის სისტემის დანერგვის, მართვისა და განვითარების მიმართულებების განსაზღვრასთან დაკავშირებულ საკითხებს აწესრიგებს საქართველოს კანონმდებლობა.

5. მიწის რესურსებით სარგებლობის რეგულირების რეჟიმი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

6. ცალკეული სახეობების ბუნებრივი რესურსების დაცვის ფუნქცია ეკისრებათ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოებს.

მუხლი 14. ეროვნული მოხსენება გარემოს მდგომარეობის შესახებ

1. საზოგადოებრიობის ინფორმირების მიზნით სამინისტრო 3 წელიწადში ერთხელ წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტს ეროვნულ მოხსენებას გარემოს მდგომარეობის შესახებ. (14.12.2007. N5604 ამოქმედდეს 2008 წლის 1 იანვრიდან)

2. სახელმწიფო ორგანოები და სახელმწიფო იურიდიული პირები ვალდებული არიან მოთხოვნიდან არა

უგვიანეს ორი თვისა უსასყიდლოდ მიაწოდონ სამინისტროს მათ ხელთ არსებული ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების შესადგენად.

3. გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების შედგენის წესს ადგენს საქართველოს პრეზიდენტი.

4. სავალდებულოა ეროვნული მოხსენების გამოქვეყნების გზით მისი საზოგადოებრიობისათვის ხელმისაწვდომობის პრინციპის დაცვა.

5. ეროვნული მოხსენების გამოქვეყნებასა და გავრცელებასთან დაკავშირებული ხარჯები ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

მუხლი 15. გარემოს დაცვის დაგეგმვა

1. გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის მიზნით იქმნება გარემოს დაცვის დაგეგმვის სისტემა.

2. გარემოს დაცვის დაგეგმვის სისტემა მოიცავს გრძელვადიან სტრატეგიულ გეგმას (მდგრადი განვითარების სტრატეგია), ხუთწლიან გეგმას (გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული პროგრამა) და საქმიანობის ობიექტებისათვის შედგენილ გარემოს დაცვის სამენეჯმენტო გეგმას.

3. გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული პროგრამის საფუძველია ქვეყნის მდგრადი განვითარების სტრატეგია, რომელსაც შეიმუშავებს სამინისტრო სხვა დაინტერესებულ უწყებებთან ერთად; მასვე ეკისრება პასუხისმგებლობა გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული პროგრამის პროექტის მომზადების ორგანიზებისათვის. აუცილებელია საზოგადოებრიობის მონაწილეობა მდგრადი განვითარების სტრატეგიის პროექტის შემუშავებაში.

4. მდგრადი განვითარების სტრატეგიის პროექტს განიხილავს და ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი.

5. ა) გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული პროგრამა წარმოადგენს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინდიკატური გეგმის ნაწილს; ბ) გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული პროგრამის პროექტის განხილვა და დამტკიცება წარმოებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6. გარემოს დაცვის მოქმედებათა პროგრამები დგება რეგიონალურ, ადგილობრივ და უწყებრივ დონეებზე.

7. მდგრადი განვითარების სტრატეგია წარმოადგენს მდგრად განვითარების პრინციპების საფუძველზე შედგენილ სტრატეგიულ გეგმას, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და გარემოს დაცვის ინტერესების თანაფარდობას.

8. ქვეყნის მდგრადი განვითარების სტრატეგიის, გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული პროგრამის, გარემოს დაცვის მოქმედებით. რეგიონალური, უწყებრივი და ადგილობრივი პროგრამებისა და საქმიანობის ობიექტთა გარემოს დაცვის სამენეჯმენტო გეგმების შედგენის წესსა და პერიოდულობას განსაზღვრავს საქართველოს კანონმდებლობა.

თავი V. ეკონომიკური მექანიზმები გარემოს დაცვის სფეროში

მუხლი 16. გადასახადები გარემოს დაცვის სფეროში

1. "ფასიანი ბუნებათსარგებლობისა" და "დაბინძურებული იხდის" პრინციპებიდან გამომდინარე საქართველოში დადგენილია გარემოზე მავნე ზემოქმედებისათვის,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის და სხვა გადასახადები.

2. ამ გადასახადების სტრუქტურა, ოდენობა და გადახდის წესი საქართველოს კონსტიტუციის 94-ე მუხლის თანახმად დგინდება საქართველოს კანონით.

3. გადასახადების გადახდა არ ათავისუფლებს საქმიანობის სუბიექტს გარემოსათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებისაგან.

მუხლი 17. ეკოლოგიური დაზღვევა

1. საქართველოში ხორციელდება ეკოლოგიური დაზღვევა, მათ შორის ეკოლოგიურად განსაკუთრებით საშიში საქმიანობის ობიექტების სავალდებულო ეკოლოგიური დაზღვევა.

2. ეკოლოგიური დაზღვევით შემოსული თანხები გამოიყენება ეკოლოგიური ავარიისა და კატასტროფის შედეგების აღმოფხვრისა და მათი პროფილაქტიკისათვის.

3. ეკოლოგიური დაზღვევის სამართლებრივი რეჟიმი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 18. გარემოს დაცვის ეკონომიკური სტიმულირება

1. გარემოს დაცვის ეკონომიკური სტიმულირების მიზანია უნარჩენო, გარემოსდაცვითი თვალსაზრისით მისაღები, ეკოლოგიურად სუფთა, მცირენარჩენიანი ტექნოლოგიისა და ტექნიკის დამუშავებისა და დანერგვის, მეორადი ნედლეულის გამოყენების, ეფექტური გარემოსდაცვითი პროექტების განხორციელების ხელშეწყობა, რაც შეიძლება განხორციელდეს:

ა) რეკლამით გარემოს დაცვის საკითხებზე;

ბ) საგადასახადო შეღავათით;

გ) შეღავათიანი სახელმწიფო კრედიტით.

2. გარემოს დაცვის ეკონომიკური სტიმულირების სამართლებრივ რეჟიმს განსაზღვრავს საქართველოს კანონმდებლობა. საგადასახადო შეღავათი შეიძლება დაწესდეს მხოლოდ საქართველოს კანონით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 19. ეკომარკირება

1. ეკომარკა წარმოადგენს ნიშანს, რომელიც მიენიჭება საქართველოში წარმოებულ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციას მომხმარებელთა უკეთ ორიენტირებისა და აღნიშნული პროდუქციის წარმოების სტიმულირების მიზნით.

2. ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციას ეკომარკას ანიჭებს სამინისტროსთან არსებული ეკომარკირების საუწყებათაშორისო კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სხვა დაინტერესებული უწყებებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. (14.12.2007. N5604 ამოქმედდეს 2008 წლის 1 იანვრიდან)

3. ეკომარკირების წესი და საუწყებათაშორისო ეკომარკირების კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება დებულებით "ეკომარკირების შესახებ", რომელსაც შეიმუშავებს და ამტკიცებს სამინისტრო.

4. ეკომარკით უკანონოდ სარგებლობა ისჯება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 20. გარემოსდაცვითი აუდიტი

1. გარემოსდაცვითი აუდიტი წარმოადგენს საქმიანობის სუბიექტის მიერ გარემოს დაცვის კანონმდებლობის მოთხოვნათა, გარემოს დაცვის ნორმების (თვით საქმიანობის სუბიექტის მიერ დადგენილის ჩათვლით) შესრულებისა და ბუნებათსარგებლობის სისტემის მართვის ეფექტურობის ანალიზს, რომელიც მოიცავს მთელ საწარმოო-ტექნოლოგიურ ციკლს და ტარდება საქმიანობის ეკოლოგიური შეფასებისა და მოხმარებული ბუნებრივი რესურსების დანაკარგების, გარემოზე მავნე ზემოქმედებისა და

ნარჩენების მინიმიზაციის გზებისა და საშუალებების გამოვლენის მიზნით.

2. გარემოსდაცვითი აუდიტი ტარდება საქმიანობის სუბიექტის ინიციატივით ან სამინისტროს გადაწყვეტილებით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ განსაკუთრებულ შემთხვევებში.

3. გარემოსდაცვით აუდიტთან დაკავშირებულ ხარჯებს გაიღებს სამინისტრო,თუ გარემოსდაცვითი აუდიტი ტარდება მისი გადაწყვეტილების საფუძველზე.

4. საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს უფლება აქვთ მოითხოვონ გარემოსდაცვითი აუდიტის შედეგების გაცნობა, თუ მოთხოვნილი ინფორმაცია არ შეიცავს სახელმწიფო, კომერციულ ან საწარმოო საიდუმლოებას.

5. გარემოსდაცვითი აუდიტის ჩატარების წესს განსაზღვრავს საქართველოს კანონმდებლობა.

მუხლი 21. გარემოსდაცვითი მოთხოვნები პრივატიზაციის პროცესში

1. პრივატიზებული სამეურნეო ობიექტის მესაკუთრე არ თავისუფლდება იმ გარემოსდაცვითი ვალდებულებების შესრულებისაგან, რომლებიც დაკისრებული ჰქონდა სამეურნეო ობიექტის ყოფილ მესაკუთრეს.

2. საქართველოს გარემოს დაცვის კანონმდებლობის დარღვევით სამეურნეო ობიექტის პრივატიზებამდე საქმიანობის განხორციელების შედეგად გამოწვეული ზარალის ანაზღაურება ეკისრება პრივატიზებული სამეურნეო ობიექტის ყოველ ახალ მესაკუთრეს, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

3. პრივატიზებულ სამეურნეო ობიექტ ებზე არსებული ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასების, საქმიანობის ეკოლოგიური რისკის დადგენის, ჩასატარებელი გამწმენდაღდგენითი სამუშაოების ღირებულების დადგ ენის მიზნით

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიძლება ჩატარდეს გარემოსდაცვითი აუდიტი სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

თავი VI. ამოღებულია (14.12.2007. N5604 ამოქმედდეს 2008 წლის 1 იანვრიდან)

თავი VII. გარემოს დაცვის ინფორმაციული უზრუნველყოფა

მუხლი 26. გარემოს მდგომარეობის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების აღრიცხვა, ანგარიშგება და შეფასება

1. გარემოს მდგომარეობის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების აღრიცხვა, ანგარიშგება და შეფასება მოიცავს გარემოს მდგომარეობის და ბუნებრივი რესურსების კადასტრების შედგენას, სტატისტიკას, ინვენტარიზაციას, პასპორტიზაციას, კარტოგრაფირებას.

2. გარემოს მდგომარეობის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების სახელმწიფო აღრიცხვას, ანგარიშგებასა და შეფასებას საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და სხვა შესაბამის უწყებებთან ერთად თავისი კომპეტენციის ფარგლებში ხელმძღვანელობს და კოორდინაციას უწევს სამინისტრო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.(14.12.2007. N5604 ამოქმედდეს 2008 წლის 1 იანვრიდან)

მუხლი 27. გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვების სისტემა

1. გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვების (მონიტორინგის) სისტემა წარმოადგენს გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვებით მიღებული ინფორმაციის ანალიზისა და პროგნოზირების ერთობლიობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვების (მონიტორინგის) სისტემის საერთო კოორდინაციას ახორციელებს სამინისტრო.

3. გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვების (მონიტორინგის) შედეგები ხელმისაწვდომია საზოგადოებრიობისათვის.

4. გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვების (მონიტორინგის) სისტემის, მასში შემავალი დაკვირვების (მონიტორინგის) სახეობებისა და მათი წარმოების სამართლებრივ რეჟიმს განსაზღვრავს საქართველოს კანონმდებლობა.

თავი VIII. გარემოს დაცვის ნორმები

მუხლი 28. გარემოს დაცვის ნორმები

გარემოს დაცვის ნორმების დაწესების მიზანია დადგინდეს გარემოზე საქმიანობის ზემოქმედების ისეთი ნორმები, რომლ ებიც უზრუნველყოფენ გარემოს ეკოლოგიურ წონასწორობას. ამ მიზნით წესდება:

ა) გარემოს მდგომარეობის ხარისხობრივი ნორმები;

ბ) გარემოში მავნე ნივთიერებათა ემისიისა და მიკროორგანიზმებით გარემოს დაბინძურების ზღვრულად დასაშვები ნორმები;

გ) გარემოში ქიმიურ საშუალებათა გამოყენების ნორმები;

დ) ეკოლოგიური მოთხოვნები პროდუქციისადმი;

ე) გარემოზე დატვირთვის ნორმები.

მუხლი 29. გარემოს მდგომარეობის ხარისხობრივი ნორმები

1. გარემოს მდგომარეობის ხარისხობრივი ნორმებია:

ა) ატმოსფერულ ჰაერში, წყალსა და ნიადაგში ადამიანის ჯანმრთელობისა და ბუნებრივი გარემოსათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მავნე ნივთიერებების კონცენტრაციისა და მიკროორგანიზმების რაოდენობათა ზღვრულად დასაშვები ნორმები;

ბ) ხმაურის, ვიბრაციის, ელექტრომაგნიტური ველებისა და სხვაგვარი ფიზიკური ზემოქმედების ზღვრულად დასაშვები ნორმები;

გ) რადიაციული ზემოქმედების ზღვრულად დასაშვები ნორმები.

2. გარემოს მდგომარეობის ხარისხობრივი ნორმები განისაზღვრება 5 წელიწადში ერთხელ, დებულებით „გარემოს მდგომარეობის ხარისხობრივი ნორმების შესახებ", რომელსაც სამინისტროსთან შე თანხმებით შ ეიმუშავებს და ამტკიცებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. (14.12.2007. N5604 ამოქმედდეს 2008 წლის 1 იანვრიდან)

მუხლი 30. გარემოში მავნე ნივთიერებათა ემისიისა და მიკროორგანიზმებით გარემოს დაბინძურების ზღვრულად დასაშვები ნორმები

1. გარემოში მავნე ნივთიერებათა ემისიისა და მიკროორგანიზმებით გარემოს დაბინძურების ზღვრულად დასა - შვები ნორმები მუშავდება დაბინძურების ყოველი კონკრეტული წყაროსათვის მათი ტექნოლოგიური თავისებურებებისა და ადგილმდებარეობის ფონური დაბინძურების გათვალისწინებით იმგვარად,რომ ემისიური ნივთიერებების და მიკროორგანიზმების კონცენტრაციამ ადგილზე არ გადააჭარბოს ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის დონეს.

2. გარემოში მავნე ნივთიერებათა ემისიისა და მიკროორგანიზმებით გარემოს დაბინძურების ზღვრულად დასაშვები ნორმები განისაზღვრება ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ "გარემოში მავნე ნივთიერებათა ემისიისა და მიკრორგანიზმებით გარემოს დაბინძურების ზღვრულად

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასაშვები ნორმების შესახებ" დებულებით, რომელსაც შეიმუშავებს და ამტკიცებს სამინისტრო.

3. ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება დადგინდეს გარემოში მავნე ნივთიერებათა ემისიისა და მიკროორ-განიზმებით გარემოს დაბინძურების დროებითი ნორმები გარკვეული მოთხოვნებითა და ვადით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ხუთ წელიწადს, ცა ლკეულ შემთხვევებში გარემოში მავნე ნივთიერებათა ემისიისა და მიკროორ-განიზმებით გა რემოს დაბინძურების დრ ოებითი ნო რმების დადგენის წესს განსაზღვრავს დებულება "ცალკეულ შემთხვევებში გარემოში მავნე ნივთიერებათა ემისიისა და მიკროორგანიზმებით გარემოს დაბინძურების დროებითი ნორმების დადგენის წესის შესახებ", რომელსაც შეიმუშავებს და ამტკიცებს სამინისტრო.

მუხლი 31. გარემოში ქიმიურ საშუალებათა გამოყენების ნორმები

1. მინერალური სასუქების, მცენარეთა დაცვის, ზრდის სტიმულატორების და სხვა ქიმიური საშუალებების გარემოში გამოყენების ნორმები დგინდება იმგვარად, რომ საფრთხე არ შეექმნას ადამიანის ჯანმრთელობას, მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს, ნიადაგს.

2. გარემოში ქიმიურ საშუალებათა (მათ შორის, მცენარეთა დაცვისა და ნიადაგის განოყიერების ქიმიურ საშუალებათა) გამოყენების ნორმებს და ამ ქიმიურ საშუალებათა (ნივთიერებათა) ტრანსპორტირების, შენახვისა და გამოყენების წესებს 5 წელიწადში ერთხელ შეიმუშავებს და დებულებით „გარემოში ქიმიურ საშუალებათა გამოყენების ნორმებისა და ქიმიურ საშუალებათა ტრანსპორტირების, შენახვისა და გამოყენების წესების შესახებ“ ამტკიცებს სამინისტრო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეთანხმებით. (14.12.2007. N5604 ამოქმედდეს 2008 წლის 1 იანვრიდან)

3. ქიმიურ ნივთიერებათა ოპტიმალური გამოყენების, მოხმარების, მათ გამოყენებასთან დაკავშირებული რისკის შემცირების, აღრიცხვისა და კონტროლის მიზნით დგება ქიმიურ ნივთიერებათა ერთიანი სახელმწიფო რეესტრი, რომლის შედგენის წესს განსაზღვრავს საქართველოს კანონმდებლობა.

მუხლი 32. გარემოზე დატვირთვის ნორმები

1. ბუნებრივი ეკოსისტემებით, ლანდშაფტებით და სხვა ტერიტორიებით სარგებლობისას და ათვისებისას დგინდება მათი დატვირთვის ზღვრულად დასაშვები ნორმები (გარემოზე დატვირთვის ნორმები).

2. გარ ემოზე დატვირთვის ნორმები მოიცავენ ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის კვოტებს, რომლებიც მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით დგინდება სახელმწიფო დონეზე. ბუნებრივი რესურსების ცალკეული სახეობებით სარგებლობის კვოტები დგინდება რეგიონალურ და ადგილობრივ დონეებზე.

3. გარემოზე დატვირთვის ნორმებს 5 წელიწადში ერთხელ შეიმუშავებს და ამტკიცებს სამინისტრო დებულებით „გარემოზე დატვირთვის ნორმების შესახებ". (14.12.2007. N5604 ამოქმედდეს 2008 წლის 1 იანვრიდან)

მუხლი 33. ეკოლოგიური მოთხოვნები პროდუქციისადმი

1. ფართო მოხმარების პროდუქციის წარმოების, ტრანსპორტირებისა და შენახვის დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მავნე ზემოქმედების ზღვრულად დასაშვები ნორმები.

2. საკვებ პროდუქტებში ქიმიურ ნივთიერებათა რაოდენობის ზღვრულად დასაშვები ნორმები დგინდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. (14.12.2007. N5604 ამოქმედდეს 2008 წლის 1 იანვრიდან)

თავი IX. ეკოლოგიური მოთხოვნები ნარჩენებისადმი

მუხლი 34. ეკოლოგიური მოთხოვნები ნარჩენებისადმი

1. საქმიანობის სუბიექტი ვალდებულია უზრუნველყოს სამრეწველო, საყოფაცხოვრებო და სხვა სახის ნარჩენების შემცირება , გაუვნებელყოფა, უტილიზაცია, განთავსება და დამარხვა გარემოს დაცვის, სანიტარიულ-ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური ნორმებისა და წესების დაცვით.

2. საყოფაცხოვრებო და სამრეწველო ნარჩენების განთავსება და დამარხვა ნებადართულია სპეციალურად განსაზღვრულ ადგილებში გარემოს დაცვის, სანიტარიულ-ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური ნორმებისა და წესების დაცვით.

3. ტოქსიკური, რადიაქტიური და სხვა სახიფათო ნარჩენების განთავსება და დამარხვა წარმოებს მხოლოდ საგანგებოდ განსაზღვრულ ადგილებში გარემოს დაცვის, სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმებისა და წესების დაცვით.

4. აკრძალულია ყოველგვარი ნარჩენების განთავსება ზღვაში და წყლის სხვა ობიექტებში.

5. ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული საკითხები, მათი იმპორტი,ექსპორტი, რეექსპორტი და ტრანზიტი რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი X. გარემოსდაცვითი მოთხოვნები საქმიანობაზე გადაწყვეტილების მიღებისას და განხორციელებისას

მუხლი 35. გარემოზე ზემოქმედების ნებართვა

1. საზოგადოებისა და სახელმწიფოს ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური ინტერესების გათვალის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინებისა და ადამიანის ჯანმრთელობის, ბუნებრივი გარემოს, ასევე კულტურულ და მატერიალურ ფასეულობათა დაცვის მიზნით საქართველოს ტერიტორიაზე საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელია გარემოზე ზემოქმედების ნებართვა.

2. გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის წესს ადგენს საქართველოს კანონი „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ". (14.12.2007. N5604 ამოქმედდეს 2008 წლის 1 იანვრიდან)

მუხლი 36. ამოღებულია (14.12.2007. N5604 ამოქმედდეს 2008 წლის 1 იანვრიდან)

მუხლი 37. გარემოზე ზემოქმედების შეფასება

1. გარემოზე მავნე ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად ან შესამცირებლად, საქმიანობაზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემამდე სავალდებულოა ჩატარდეს გარემოზე ზემოქმედების შეფასება. (14.12.2007. N5604 ამოქმედდეს 2008 წლის 1 იანვრიდან)

2. გარემოზე ზემოქმედების შეფასება განსაზღვრავს საქმიანობით გარემოზე მოსალოდნელ ზეგავლენას და შეაფასებს ამ ზეგავლენით გამოწვეულ ეკოლოგიურ, სოციალურ და ეკონომიკურ შედეგებს.

3. გარემოზე ზემოქმედების შეფასების შედეგებს საქმიანობის სუბიექტი ასახავს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში.

მუხლი 38. ამოღებულია (14.12.2007. N5604 ამოქმედდეს 2008 წლის 1 იანვრიდან)

მუხლი 39. ზოგადი გარემოსდაცვითი მოთხოვნები საქმიანობის განხორციელების პროცესში

1. საქმიანობისას უნდა შესრულდეს ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მოთხოვნები, გათვალისწინებულ იქნეს გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების, გარემოს აღდგენის ღონისძიებები და მათი განხორციელებისათვის საჭირო ფინანსური საშუალებები.

2. საქმიანობის სუბიექტი ვალდებულია:

ა) ჰქონდეს შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან შეთანხმებული ტექნოგენური ავარიისა და ბუნებრივი კატასტროფის შედეგების თავიდან აცილებისა და პროფილაქტიკის ოპერატიული და სისტემატური ღონისძიებების, ავარიისა და კატასტროფის დროს მოქმედების გეგმები;

ბ) შექმნას და მზადყოფნაში ჰყავდეს ავარიის სალიკვიდაციო ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფილი სამსახური; ყოველი მოსალოდნელი და მომხდარი ტექნოგენური ავარიისა და ბუნებრივი კატასტროფის შესახებ დროულად აცნობოს შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს და მოსახლეობას;

გ) ამ პიროებების შესრულების სამართლებრივ რეჟიმს არეგულირებს საქართველოს კანონმდებლობა.

მუხლი 40. გარემოსდაცვითი მოთხოვნები სამეურნეო ობიექტების ექსპლუატაციაში გადაცემისას

დაუშვებელია სამეურნეო ობიექტების ექსპლუატაციაში შესვლა, თუ არ არის უზრუნველყოფილი:

ა) საშიში ნარჩენების უტილიზაციის, გაუვნებელყოფის დანადგარების, გამწმენდი ნაგებობების,გარემოს მდგომარეობაზე კონტროლის საშუალებების გამართული მუშაობა

ბ) პროექტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი ღონისძიებების განსახორციელებელი საშუალებების არსებობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 41. გარემოსდაცვითი მოთხოვნები სამეურნეო ობიექტების ლიკვიდაციისას

სამეურნეო ობიექტის ნაწილობრივი ან სრული ლიკვიდლაციისას საქმიანობის სუბიექტი ვალდებულია დაიცვას ამ კანონით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნები.

თავი XI. საგანგებო ეკოლოგიური მდგომარეობა

მუხლი 42. საგანგებო მდგომარეობა ეკოლოგიური კატასტროფის დროს

1. ეკოლოგიური კატასტროფის დროს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ან მის რომელიმე ნაწილში ცხადდება საგანგებო მდგომარეობა.

2. ტერიტორიაზე, სადაც გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა, იქმნება საგანგებო ეკოლოგიური მდგომარეობის ან ეკოლოგიური უბედურების ზონა.

მუხლი 43. საგანგებო ეკოლოგიური მდგომარეობის ზონა

1. ტერიტორია, სადაც საქმიანობის ან სტიქიური უბედურების შედეგად გაუარესდა გარემოს მდგომარეობა და საფრთხე შეექმნა ადამიანის ჯანმრთელობას, მცენარეულ საფარს და ცხოველთა სამყაროს, ცხადდება საგანგებო ეკოლოგიური მდგომარეობის ზონად.

2. საგანგებო ეკოლოგიური მდგომარეობის ზონას აცხადებს და აუქმებს საქართველოს პრეზიდენტი.

3. საგანგებო ეკოლოგიური მდგომარეობის ზონის რეჟიმს განსაზღვრავს საქართველოს კანონმდებლობა.

მუხლი 44. ეკოლოგიური უბედურების ზონა

1. ტერიტორია, სადაც საქმიანობის, ავარიის, კატას - ტროფის და სტიქიური უბედურების შედეგად დაირღვა

ეკოლოგიური წონასწორობა,საფრთხე შეექმნა ადამიანის სიცოცხლეს, ცხადდება ეკოლოგიური უბედურების ზონად.

2. ეკოლოგიური უბედურების ზონას აცხადებს და აუქმებს საქართველოს პრეზიდენტი.

3. ეკოლოგიური უბედურების ზონის რეჟიმს განსაზღვრავს საქართველოს კანონმდებლობა.

თავი XII. ბუნებრივი ეკოსისტემების დაცვა

მუხლი 45. ბუნებრივი ეკოსისტემების დაცვის მიზანი

1. ბუნებრივი ეკოსისტემები, ლანდშაფტები და ტერიტორიები დაცული უნდა იყოს ლაბინძურების, დარღვევის,დაზიანების, დეგრადაციის, გამოფიტვისა და დაშლისაგან.

2. დაცვას ექვემდებარება:

ა) ზღვის სანაპირო ზოლი;

ბ) ჭაობები, წყაროსთავები, წყალსატევების, მდინარეების სათავეები, მყინვარები, მღიმეები;

გ) სუბალპური და ჭალის ტყეები;

დ) ძვირფასი ტყის მასივები;

ე) მწვანე ზონის ტყეები;

ვ) სანიტარიული დაცვის ზონები და ტერიტორიები.

3. ბუნებრივი ეკოსისტემების, ლანდშაფტებისა და ტერიტორიების გამოყენებასთან და მართვასთან დაკავშირებული ნებსმიერი საქმიანობა, მათი მართვის რეჟიმი ხორციელდება გარემოს დაცვის ნორმებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით.

4. ბუნებრივი ეკოსისტემების, ლანდშაფტებისა და ტერიტორიების გამოყენებასთან და მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს (მიწათსარგებლობის დაგეგმვისა და ზონირების ჩათვლით) განსაზღვრავს საქართველოს კანონმდებლობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 46. ველურ მცენარეთა და გარეულ ცხოველთა დაცვა

1. ველურ მცენარეთა და გარეულ ცხოველთა რესურსების თვითაღწარმოების და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისათვის მათი გარემოდან ამოღება მკაცრად ლიმიტირებულია და ლიცენზირებას ექვემდებარება.

2. აკრძალულია ყოველი ქმედება, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს ველურ მცენარეთა და გარეულ ცხოველთა სამყაროს, საბინადრო გარემოს, გამრავლების არეალებს და სამიგრაციო გზებს.

3. საქართველოში ველურ მცენარეთა და გარეულ ცხოველთა დაცვის და სარგებლობის წესს ადგენს საქართველოს კანონმდებლობა.

მუხლი 47. გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა დაცვა

1. გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი გარეული ცხოველები და ველური მცენარეები რეგისტრირებულნი არიან საქართველოს „წითელ ნუსხასა" და „წითელ წიგნში".

2. საქართველოს „წითელ ნუსხასა" და „წითელ წიგნში" შეტანილ გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა მიმართ აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, მათ შორის, ნადირობა, რეწვა, მოპოვება, ჭრა, თიბვა, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა, რაც იწვევს ამ მცენარეებისა და ცხოველების რაოდენობის შემცირებას, აუარესებს მათ საბინადრო გარემოსა და საარსებო პირობებს.

3. საქართველოს „წითელი ნუსხისა" და „წითელი წიგნის" შედგენის წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით. (06.06.2003. N2383

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი XIII. დაცული ტერიტორიები

მუხლი 48. დაცული ტერიტორიების სისტემის შექმნის მიზანი

დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბება ემსახურება თვითმყოფადი ბუნებრივ-კულტურული გარემოსა და მისი ცალკეული კომპ ონენტების დაცვასა დ ა შენარჩუნებას.

მუხლი 49. დაცული ტერიტორიების კატეგორიები

1. დაცული ტერიტორიების კატეგორიებია: სახელ-მწიფო ნაკრძალი, ეროვნული ბანკი, ბუნების ძეგლი, აღკვეთილი, დაცული ლანდშაფტი, მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია.

2. საქართველოში დასაშვებია დაცული ტერიტო-რიების საერთაშორისო ქსელში ჩართული კატეგორიების - ბიოსფერული რეზერვატის, მსოფლიო მემკვიდრეობის უბნის, საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის - არსებობა.

3. დაცული ტერიტორიები იქმნება საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით.

4. დაცული ტერიტორიების მართვა ხორციელდება "დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

თავი XIV. გარემოს დაცვის გლობალური და რეგიონალური მართვა

მუხლი 50. გარემოს დაცვის გლობალური და რეგიონალური პრობლემების გადაჭრის სამართლებრივი უზრუნველყოფა

სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, ფიზიკური და იურიდიული (საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართ-

ლებრივი ფორმის განურჩევლად) პირები, თავიანთი კომპეტენციისა და საქართველოს მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებათა ფარგლებში,ახორციელებენ დამატებით ღონისძიებებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გარემოს დაცვის გლობალური და რეგიონალური პრობლემების გადასაჭრელად.

მუხლი 51. კლიმატის დაცვა გლობალური ცვლილებებისაგან

1. გლობალური ცვლილებისაგან დედამიწის კლიმატის დაცვის მიზნით საქმიანობის სუბიექტი ვალდებულია დაიცვას ატმოსფეროში სათბურის ეფექტის გამომწვევი გაზების გამოყოფის (ემისიის) ნორმები და განახორციელოს მათი შემცირების ღონისძიებანი.

2. სათბურის ეფექტის გამომწვევი გაზების გამოყოფა რეგულირდება გარემოს დაბინძურების ინტეგრირებული კონტროლის სისტემის საფუძველზე.

3. საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში გლობალური ცვლილებებისაგან კლიმატის დაცვის სამართლებრივ რეჟიმს აწესებს საქართველოს კანონმდებლობა.

მუხლი 52. ოზონის შრის დაცვა

1. საქმიანობის სუბიექტი ვალდებულია შეამციროს ან შეწყვიტოს ისეთი ქიმიური საშუალებების (ნივთიერებების) წარმოება ან გამოყენება, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ და შლიან დედამიწის ოზონის შრეს.

2. აღნიშნული ქიმიური ნივთიერებების შემცველი პროდუქცია საქართველოში შემოაქვთ მხოლოდ სპეციალური ნებართვით.

3. საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში ოზონის შრის დაცვის სამართლებრივ რეჟიმს აწესებს საქართველოს კანონმდებლობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 53. ბიომრავალფეროვნების დაცვა

1. საქმიანობა არ უნდა იწვევედეს ბიომრავალფეროვნების შეუქცევად რაოდენობრივ ან ხარისხობრივ ცვლილებებს და მის დეგრადაციას.

2. საქართველოში ბიომრავალფეროვნების დაცვის სამართლებრივ რეჟიმს აწესებს საქართველოს კანონმდებლობა.

მუხლი 54. შავი ზღვის დაბინძურებისაგან დაცვა

1. შავი ზღვის გარემოს დაცვისა და შენარჩუნების მიზნით ყოველი საქმიანობის სუბიექტი ვალდებულია განახორციელოს ღონისძიებები,რომლებიც უზრუნველყოფენ ხმელ ეთზე მდ ებარე დაბინძურების წ ყაროებიდან, გემებიდან, კონტინენტურ შელფზე საქმიანობის შედეგად, ტრანსსასაზღვრო ტვირთზიდვის დროს, ატმოსფეროდან, ზღვაში ჩამდინა რე წყ ლებით და ჩამარხვით ზღვის საშიში ნივთიერებებითა და მასალებით დაბინძურების თავიდან აცილებას, აღკვეთას, შემცირებასა და კონტროლს.

2. საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში შავი ზღვის დაბინძურებისაგან დაცვის სამართლებრივ რეჟიმს აწესებს საქართველოს კანონმდებლობა.

თავი XV. საერთაშორისო თანამშრომლობა გარემოს დაცვის სფეროში

მუხლი 55. საერთაშორისო თანამშრომლობა გარემოს დაცვის სფეროში

საქართველო კანონმდებლობით დადგენილი წესით ახდენს იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების დადებას, რატიფიცირებას, დენონსაცია და მათთან შეერთებას, რომლებიც არეგულირებენ გარემოს დაცვის სფეროში საქართველოს ურთიერთობებს სხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფოებთან, სახელმწიფოთა კავშირებთან, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

მუხლი 56. საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები გარემოს დაცვის სფეროში

საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ.

თავი XVI. პასუხისმგებლობა "გარემოს დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის დარღვევისათვის

მუხლი 57. პასუხისმგებლობა "გარემოს დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის დარღვევისათვის

1. ამ კანონის დარღვევისათვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

2. პასუხისმგებლობის დაკისრება არ ათავისუფლებს სამართალდარღვევის ჩამდენს "გარემოს დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის დარღვევით მიყენებული ზარალის დადგენილი ოდენობითა და წესით ანაზღაურებისაგან.

კარი III. დასკვნითი ნაწილი

თავი XVII. დასკვნითი დებულებანი

მუხლი 58. საქართველოს ნორმატიული აქტები, რომლებიც ძალას კარგავენ "გარემოს დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის ამოქმედებიდან

"გარემოს დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის ამოქმედებიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ 1958 წლის 28 ნოემბრის კანონი "ბუნების დაცვის შესახებ"(საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

1958 წ., N 5 მუხ. 1) და მის საფუძველზე მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

მუხლი 59. "გარემოს დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის ამოქმედების დრო

"გარემოს დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი *ედუარდ შევარდნაძე.*

თბილისი,
1996 წლის 10 დეკემბერი.
N 519-Iს

285.149
3